



# ისტორიული გეგვიდრობა

სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, 2013 წ. ნოემბერი, №11 (40), ფასი 3 ლარი



## საქართველოს პატრიარქი დავით V დავდარიანი 24



გერმანიის მხარეზე, კორპანიას, გაქრამეხისნაირ გავლენიან აბანტებს უხვად ამარაგებენ დასავლეთის სპეცსამსახურები და სხვა შავხელი ორგანიზაციები მწვანე დოლარებით... ამიტომ თავის უზადრუკ ტელეგამოსვლებში, ისინი ქალზე მონდომებულნი არიან, დაარწმუნონ მაყურებელი, თითქოს სტალინი და კომუნისტები სასტიკად უსწორდებოდნენ საკუთარ ხალხს, რომ სტალინის რეჟიმმა 40 მილიონი ადამიანი დახვრიტა და ეს ფაქტი უკვე დამტკიცებულიაო...

## «გებელსის პრეზიდენტი» პირველი ლაურეატები გახდებიან ლევან გერმანიის მხარეზე და თამარ კორქაია 10

4 ქვეყანა  
დას  
ფსიქო-  
ლოგიური  
გაგონების  
წინააღმდეგობა

«დაგვიბრუნეთ  
საქართველო»  
— მასალა

12 ვინაა  
საბინის  
ხსოვრებიდან

17 დაუყო-  
ნებლივ  
უნდა  
ვიზრდეთ  
სამედიკო  
ქაღალდის  
ნარკოზებზე

ევრაზიის  
ერთ-ერთი  
უკველანი  
ადამიანი  
ქართული  
იყო

19 ელენე  
გოგოლაძე  
უგანგი

21 ჩხეიძის  
თეატრში  
დაბრუნებას  
სთხოვდა

დიმიტრი  
36 ბაქრაძე

ეთნოსი და  
პოლიტიკა  
ჩრდილოეთ  
ქვეყანაში:  
ჩრქვეული

37 საქითნი

44 ნიკო  
ნიკოლაძე  
პატრიოტული  
აღზრდის  
თაობაზე



ლადო მასტვირიძე იწოდებოდა მამოზაბეზაძის ერითად

# სარჩევი

ინტერვიუ

- **თამარ ქიქნაძე: ქვეყანა დგას ფსიქოლოგიური გამოწვევის წინაშე და, სამწუხაროდ, ქართული სოციალური მეცნიერებები არ აღმოჩნდა მზად ამისთვის** 4
- სპორტი
- **ლადო ვესტვირიშვილი: არასდროს არაფერი ვითხოვია, დიდაბაზე არასოდეს ვიფიქრია** 7
- ისტორიის გამყალბებლები
- **გივი ბერკენიშვილი: „გეგელსის პრემიის“ პირველი ლაურეატები განდებიან ლევან ბერკენიშვილი და თამარ ქორქაია** 10
- რუსი ქართველები
- **„დამმარხეთ საქართველო“ — მასალაები მიხეილ საბინინის მსოფრთხიდან** 12
- სპეციალისტი გვირჩევეს
- **თამაზ ჭარაქაშვილი: დაუყოვნებლივ უნდა ვიზრუნოთ სამაგულო ქაღალდის წარმოებაზე, რაც გაგზავნის გულისხემოვს** 17
- არქიტექტურა
- **ევრაზიის ერთ-ერთი უკველანი ადამიანი ქართველი იყო** 19
- **თბილისის უბნების სხელები ისტორია** 20
- თეატრი
- **ელენე გოგოლაძე უბნები ჩხეიძის თეატრში დაბრუნებას სთხოვდა** 21
- ფოტოალბომი
- **საქართველოს კატრინაჩი დავით V დევდარიანი** 24
- დიდი მხატვარი
- **ფირსმანი: „ჩემი საქართველოდან მე არსად წავალ!“** 28
- მეგობრებები გალაკტიონზე
- **ოთარ შალაგბერიძე: სიხოსხლა... მუვენიერია! კავლა ფირფილაშვილი: როდესაც ხელი გამოწვდილი რჩება კაერვი** 33
- მამულიშვილი
- **დიმიტრი ბაქრაძე** 36
- ამბუალური თემა
- **ნიქოლაი სილავეი: ეთნოსი და პოლიტიკა ჩრდილოეთ კავკასიაში: ჩრქვეული საკითხი** 37
- თვალსაზრისი
- **ნიქო ნიქოლაძე ახალგაზრდობის როლის, განათლებისა და კატრიოტული აღზრდის თაობაზე** 44

გამომცემელი: არასამეწარმეო იურიდიული პირი „ისტორიული მემკვიდრეობა“

სარედაქციო კოლეგია

პასუხისმგებელი რედაქტორი ღერეჯან ანდრიასძე

მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. № 6 ტელ.: 234-32-95

თამარ კიკნაძე:

# ქვეყანა ღვას ფსიქოლოგიური გამოწვევის წინაშე და, სამწუხაროდ, ქართული სოციალური მენეჯერები არ აღმოჩნდა მზად ამისთვის

„ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო დაპირებათაგან ერთ-ერთი მთავარი იმთავითვე რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება და როგორც აფხაზეთთან, ისე სამხრეთ ოსეთთან პირდაპირი დიალოგის დაწყება იყო. ახლარჩეულმა პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა რამდენიმე დღის წინ რუსული მედიისთვის მიცემულ ინტერვიუში ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა, თუმცა მთლიანობაში კოალიციის პოლიტიკა მისი მესვეურების მიერ განცხადებების დონეზე დეკლარირებულ პრინციპებს სრულიად არ ემთხვევა. საგარეო ორიენტირები კვლავინდებურად უცვლელია, სწრაფვა ნატოსა და ევროკავშირისკენ ისევ პრიორიტეტად რჩება; მეორე მხრივ, ჩრდილოელი მეზობლის ინტერესიც ერთმნიშვნელოვნად ნათელია, — მისთვის ალიანსის გაფართოება პოსტსაბჭოთა სივრცეში ცალსახად მიუღებელია. მოკლედ, როგორ დააბალანსებს ხელისუფლება მკვეთრად პროდასავლურ პოლიტიკას ისე, რომ კრემლისთვის ეს გამაღიზიანებელი არ აღმოჩნდეს, ჯერჯერობით უცნობია, ერთი რამ კი უკვე ცხადია: მმართველი გუნდის პრინციპულად მნიშვნელოვან ყველა ნაბიჯს ადრინდელივით ისევ „თეთრი სახლი“ და უშუალოდ ამერიკის ელჩი განსაზღვრავს. რა პერსპექტივა აქვს ასეთ პირობებში ორი ქვეყნის ურთიერთობას და რას უნდა ველოდოთ მომავალში — ამ საკითხებზე გვესაუბრება პოლიტოლოგი თამარ კიკნაძე.



უაღრესად პრაგმატულია. ჩვენი მაგალითიც რომ ავიღოთ, ნახეთ, რას აკეთებენ: ჩვენ არ ვართ ნატოს წევრი, მაგრამ საერთაშორისო უსაფრთხოების მისიაში ვმონაწილეობთ ყველაზე აქტიურად. ამით რის თქმა მინდა: სულაც არ სჭირდება მას, რომ მიგიღოს ალიანსში და აუტკივარი თავი აიტკივოს. ასეთი პარტნიორული პროგრამა მათ აქვთ ძალიან ბევრ ქვეყანასთან — დაწყებული არგენტინიდან, დამთავრებული ავსტრალიით, ანუ ამ პროგრამის ფარგლებში ისინი თავის ამოცანებს მშვენივრად ახორციელებენ. ასე რომ, ნაკლები ვალდებულებებით მაქსიმუმს აკეთებინებენ სხვა სახელმწიფოებს თავიანთი სტრატეგიული მიზნებისთვის და გრძელვადიანი ამოცანებისთვის.

— ქალბატონო თამარ, ბიძინა ივანიშვილი ჯერ კიდევ 1 ოქტომბრის არჩევნებამდე აცხადებდა, რომ ხელისუფლებაში მისი მოსვლის შემთხვევაში რუსეთთან ურთიერთობას დააღაგებდა. ამის მიუხედავად მან საგარეო ორიენტირები უცვლელი დატოვა. როგორ ფიქრობთ, რამდენად ადეკვატურია ეს მიდგომა და რეალურად შესაძლებელია თუ არა ისეთი შუალედური პოლიტიკის გატარება, რომ ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან ერთად კრემლის გაღიზიანება არ გამოვინვიოთ?

— პირველ რიგში, ეს ევროპული არჩევანი უფრო არის გეოპოლიტიკური და ცივილიზაციური, ვიდრე პრაქტიკული, მაგრამ, თავის მხრივ, რუსეთი ამ არჩევანს ძალიან მტკივნეულად აღიქვამს. ამაში გასაკვირი არც არაფერია, იმიტომ, რომ ის მოქმედებს საკუთარი ინტერესებით. რაც შეეხება დასავლეთს, კონკრეტულად ევროპას, იგი ასევე ძალიან კარგად ფუთავს თავის ინტერესებს და ახორციელებს. ზოგადად, ისინი გამობრძმედილი პოლიტიკური მოთამაშეები არიან და ამიტომ მათი ნაბიჯები, მათი მოქმედების სტილი

— გამოდის, რომ ის მსხვერპლი, რომელსაც საქართველო იღებს აისაფის მისიაში მონაწილეობით, რეალურად ალიანსთან არ გვაახლოებს?

— ყოველ შემთხვევაში ჩვენ ვხედავთ, რომ წინსვლა ამ მიმართულებით პრაქტიკულად არ არის. მუდმივად გვესმის ხან აიპაპი, ხან ასპირანტი, დოქტორანტი და ა. შ. მაგრამ კონკრეტულ წინგადადგმულ ნაბიჯებს ვერ ვხედავთ. ალბათ, დამეთანხმებით, რომ ეს არის დროში განელილი პროცესი, რაც ახასიათებს ტიპიურ ევროპულ პოლიტიკას. ზოგადად, ჩვენ მათ ვერ შევედრებით, იმიტომ, რომ სულ რაღაც 20 წელია, მივიღეთ დამოუკიდებლობა და მათსავით არ ვართ ამ თამაშში გამობრძმედილნი.

— კონკრეტულად რაში გამოიხატება ჩვენი გამოუცდელობა?

— ბოლო 20 წლის მანძილზე გადადგმული სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი თითქმის ყველა ნაბიჯი ამას ცხადყოფდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში ქვეყნის ინტერესები არ ხორციელდებოდა. დავაკვირდეთ თუნდაც ვითარებას: მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, დემოგრაფიული სტაგნაცია, ომი და ა. შ. სად არის აქ, სად ჩანს წარმატებული პოლიტიკა?! ამ დროს გეუბნებიან, რომ შენ ევროპული ოჯახის წევრი გახდები და იცხოვრებ ევროპული ღირებულებებით. სინამდვილეში ეს არის ცინიზმი და რეალურად შენი, როგორც სახელმწიფოს, ფუნქცია მათთვის განისაზღვრება იმით, რომ ხარ რუსეთისთვის პრობლემების შემქმნელი ქვეყანა.

— ხელისუფლების შეცვლასთან ერთად რუსეთის მიმართ რიტორიკაც შეიცვალა, მაგრამ საინტერესოა, რეალურ პოლიტიკაზე თუ აისახა ეს ყველაფერი. თქვენ როგორ ფიქრობთ?

— გეთანხმებით, რიტორიკა შეიცვალა და ესეც, ალბათ, გარკვეული წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ პოლიტიკა რჩება აბსოლუტურად იგივე. ახალარჩეულმა პრეზიდენტმაც ხაზგასმით განაცხადა ამასწინათ, რუსეთთან

ურთიერთობა მიხდება ევროპული სტრუქტურების ჩარევით. ასე რომ, ჩვენ კარგად ვიცით რუსეთის რეაქცია ამგვარ მოქმედებებზე; ისინი ერთმნიშვნელოვნად გვეუბნებიან, რომ არ არის საჭირო მესამე ძალა, რომ პირდაპირ ერთმანეთთან უნდა დავსხდეთ და ვილაპარაკოთ. დანარჩენი უკვე დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ნაბიჯებს გადადგამს ახალი ხელმძღვანელობა და რა გზას აირჩევს მომავალში. ზომიერი, დაბალანსებული პოლიტიკის შემთხვევაში, ურთიერთობების დალაგების შანსი ბევრად მეტი იქნება.

— ვილნიუსის სამიტამდე მცირე დრო რჩება და იმედები ძალიან დიდია. თქვენი აზრით, რას უნდა ველოდოთ ჩვენ ამ სამიტიდან?

— მარტივად რომ ვთქვათ, არაფერს იმაზე მეტს, რაც ევროპის ინტერესებში არ შედის. ამის ნათელი მაგალითებია თურქეთი და სერბეთი, რომლებსაც ამდენი ხანია, ახალ-ახალ პირობებს უყენებენ და, იმის მიუხედავად, რომ ეს ქვეყნები ყველაფერს აკეთებენ კავშირში შესასვლელად, არაფრისდიდებით არ იღებენ. ახლა ჩვენ შემთხვევაში რა ხდება: გამუდმებით გვეუბნებიან, რომ ევროპული ორიენტაციის უნდა ვიყოთ, რომ მათი ღირებულებები უნდა გავიზიაროთ, მაგრამ ვინმეს უნახავს რამე ფუნდამენტური დებატები იმის შესახებ, თუ რა არის კონკრეტულად ეს ევროპული ღირებულებები?! მე მსგავსი რამ არ მსმენია, ამიტომ, მოლოდინზე როცა ვსაუბრობთ, ის კი არაა მთავარი, ჩვენ რას ვაკეთებთ და რამდენად ვაკმაყოფილებთ დასავლეთის მოთხოვნებს, არამედ მთავარია, ინტერესების თანხედრა რამდენად ხდება — თუ მათ სჭირდებათ, მიგიღონ, მიგიღებენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, არც შენი დემოკრატიის ხარისხი აინტერესებთ დიდად და არც სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

— სამაგიეროდ ეროვნულ ღირებულებებსა და რელიგიაზე მიდის შეტევა.

— ეს, რა თქმა უნდა, მიზანმიმართული და ძალიან შორსმიმავალი გეგმებია. ამის ფესვები ჩვენ ბევრად უფრო შორს უნდა ვეძებოთ, ვიდრე თანამედროვე დასავლეთში. რაც შეეხება ანტირელიგიურ კამპანიას, ამ გლობალიზაციის სულიერ ცენტრად დღესდღეობით მოიაზრება კათოლიციზმი; ხოლო შენ როდესაც შენი მართლმადიდებლობა გაქვს და ამ გზაზე შენს იდენტობას შეიძლება საფრთხე შეექმნას, ამაზე არავინ მსჯელობს. გარდა ამისა, სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმისას გადაწყვეტილებების მიღება ხდება წმინდა ჰერმანეტიკული მიდგომით. ეს გამოიხატება განუხრელ პიარში, რომ ევროპა კარგია და იქ კარგად ცხოვრობენ, მაგრამ მათი ღირებულებების სიღრმისეულად განხილვა არ ხდება.

— თქვენი აზრით, რატომ? იმიტომ ხომ არა, რომ საზოგადოებამ არ იცის, რეალურად რას ირჩევს?

— ცხადია. კიდევ ვიმეორებ, ესაა ძალიან კარგად ორგანიზებული პიარი, როდესაც ყველა ის გავლენის აგენტი, რომელიც საზოგადოების აზრს ქმნის, გეუბნება, რომ ევროპა, ევროპული გზა ერთმნიშვნელოვნად არის შენი მომავალი.

— წინა ხელისუფლება და გარკვეულწილად დღევანდელიც დასავლეთმა მოიყვანა, ამიტომ ორივე მათგანაა დავალებული. როგორ ფიქრობთ, რა შეიძლება გაკეთდეს იმისთვის, რომ მეტნაკლებად დაბალანსებული ძალები მოვიდნენ ქვეყნის სათავეში და ზოგადად, პოლიტიკაში?

— ამას სჭირდება ძირეული ცვლილება და ეს მარტო ჩვენზე არაა დამოკიდებული. საერთაშორისო ასპარეზზე, სამწუხაროდ, საქართველო არ არის ის მოთამაშე, რომელიც თვითონ გადაწყვეტს, საით წავა და რა გზას აირჩევს. მეტიც, ჩვენ უკვე ოცი წელია, რაღაც პოლიტიკურ ჩარჩოში ვზივართ და იმის იქით ნაბიჯს ვერ ვდგამთ. თუ ვინმე დაიწყებს ლაპარაკს, რომ, დასავლური ორ-



ინტელექტის გარდა, კიდევ შეიძლება რაიმე სხვა მიმართულება არსებობდეს, მაშინვე მისი მარგინალიზება ხდება.

— **თუმცა სახელმწიფო დონეზე მსგავსი რიტორიკა არ მოგვისმენია.**

— ერთხელ წამოსცდა ბიძინა ივანიშვილს, იქნებ ევრაზიულ კავშირზეც ვიფიქროთო და გახსოვთ, რა ამბავი ატყდა? ანუ ეს შეხედულება არის უზურპირებული, ამიტომ, როგორც კი შენ მათ საწინააღმდეგო საუბარს დაიწყებ, მაშინვე ხდება შენი დისკრედიტება.

— **მოკლედ, პროდასავლურობა ერთგვარ პანაცეად იქცა?**

— მეტიც, მაგალითად წინა ხელისუფლების პერიოდში თუკი ვინმე ღიად იტყოდა, რომ რუსეთს უნდა დავუახლოვდეთ, მის მიმართ მაშინვე რეპრესიები იწყებოდა. ამ დროს რატომ არ უნდა ვიფიქროთ ჩვენ იმავე ევრაზიულ კავშირზე, თუ ის ჩვენთვის მომგებიანია?! ერთის მხრივ, იქ არიან ძალიან პრაგმატული ძალები და მეორე მხრივ, ნუ დაგვაკინებენ, რომ ესაა უზარმაზარი კონკურენტული ბაზარი, რომელიც ჰაერივით გვჭირდება დღეს; თვითონ ევროპაც კი ამ ბაზრისკენ ისწრაფვის და ცდილობს, შეძვრეს როგორმე. ჩვენ კი რას ვაკეთებთ? — ყველანაირ კავშირს ვსპობთ. საერთოდ, ბოლო პერიოდში რაღაც საყმანვილო სენივით გვჭირს რუსეთთან დაკავშირებით — ყველაფერი, რაც რუსულია, ცუდია და მას არ უნდა გავეკაროთ.

— **„ნაციონალიზმის“ მესვეურებმა იმდენი გააკეთეს, რომ ახალ ხელისუფლებას საგარეო ორიენტირების უცვლელობის თაობაზე რეზოლუციაც მიაღებინეს.**

— ეს იყო სამარცხვინო და ანტი-სახელმწიფოებრივი დოკუმენტი, რომლითაც კიდევ ერთხელ მოაქციეს საქართველო რაღაცის ზღუდეებსა და ჩარჩოებში. ამან ცხადყო, რომ ქვეყანა დგას ფიქციონერული გამოწვევის წინაშე და, სამწუხაროდ, მინდა გითხ-

რათ, რომ ქართული სოციალური მეცნიერებები არ აღმოჩნდა მზად ამისთვის.

— **კონკრეტულად რაში გამოიხატა ეს?**

— რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელში ვასწავლი და, ჯერ ერთი, წიგნები ყველა ნათარგმნია, რომ არაფერი ვთქვათ მათ ტენდენციურობაზე; გარდა ამისა, უნივერსიტეტები გადაქცეულია წმინდა სოციალიზაციის კერად და არა განათლების. კი, იქ აძლევენ გარკვეულ განათლებას, მაგრამ შემთხვევითი არ იყო, რომ სააკაშვილმა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე გამოცვალა მთელი პროფესურა. ამან მას საშუალება მიცა, თავისი გავლენის აგენტები მიეყვანა ყველგან და ახლა ისინი ტვინს ურეცხავენ ახალგაზრდებს.

— **საპრეზიდენტო არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე აქ იმყოფებოდნენ შვედეთისა და პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრები, რომლებმაც პირდაპირ განაცხადეს, რომ საქართველომ არ უნდა გაიმეოროს უკრაინის შეცდომები. თქვენი აზრით, რას ნიშნავდა ეს? ხომ არ იყო მინიშნება იმაზე, რომ წინა ხელისუფლების მიმართ სამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს?**

— საერთოდ, ევროპას გააჩნია ორმაგი და სამმაგი სტანდარტები, ანუ, სად როგორც დასჭირდებათ, იმის მიხედვით. მათი ქმედებები ზუსტად ამ საჭიროებებზეა მიბმული. ასე რომ, საქართველოსთან დაკავშირებით, ბუნებრივია, ძალიან ფრთხილ, ზომიერ მიდგომებს იყენებენ. რაც შეეხება სამართლებრივ პროცესს, 9 ნლის მანძილზე „ნაციონალური მოძრაობა“ მათი მოკავშირე იყო, ამიტომ უყოყმანოდ სრულდებოდა ისეთი მითითებებიც კი, რომლებიც ქვეყნის ინტერესებს პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა. ახლა, რა თქმა უნდა, ამ პარტიას არ განირავენ და მეტიც, თუ საჭირო გახდება, საქართველოს გარკვეული ფორმით დასჯიან კიდევ ამისთვის. ეს ტენდენცია უკვე ამკარად იკვეთება, მაგრამ, ვფიქ-

რობ, ქვეყანამ, პირველ რიგში, საკუთარი სუვერენული უფლება უნდა დაიცვას, რაც სამართლიანობის აღდგენაში გამოიხატება. ჩემი აზრით, მთავარი დამნაშავე არის სააკაშვილი და ის უნდა მიეცეს პასუხისმგებლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, რაც უნდა გაკეთდეს, საზოგადოებას ყოველთვის ექნება განცდა, რომ სახელმწიფო მისი, როგორც მოქალაქის, უფლებების დაცვას ვერ უზრუნველყოფს.

— **დასასრულ, რაც შეეხება ახალ პრეზიდენტს, წინასაარჩევნო პერიოდში საუბარი იყო იმაზე, უშუალოდ პირველ პირს უნდა აეღო თუ არა საკუთარ თავზე როგორც რუსეთთან, ისე აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთობის მოგვარება. თქვენ რა აზრის ხართ ამაზე და საერთოდ, როგორ ფიქრობთ, რამდენად არის მარგველაშვილი ის ფიგურა, რომელსაც კრემლში, სოხუმსა და ცხინვალში მოლაპარაკებათა მაგიდასთან დაუჯდებიან?**

— ახალი კონსტიტუციით პრეზიდენტის ძალაუფლება შეზღუდულია, მას არ აქვს იმდენი შესაძლებლობა, რამდენიც მის წინამორბედს ჰქონდა. რაც შეეხება პირადად მარგველაშვილს, ამ ადამიანს გააჩნია სუფთა ბიოგრაფია და, გარდა ამისა, მან ივანიშვილისგან მიიღო საკმაოდ დიდი პოლიტიკური კრედიტი, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია; **აფხაზებთან და ოსებთან დაკავშირებით კი, ალბათ, გადამწყვეტია, ჩვენ რას შევთავაზებთ მათ. რაც მთავარია, აქ უნდა ჩამოყალიბდეს პროქართული, ეროვნული ელიტა, რომელიც თავიდან ბოლომდე იმოქმედებს საკუთარი ქვეყნის ინტერესებით. მერე შეიძლება პრობლემის მოგვარებაზე რეალურად ვიფიქროთ, თუმცა ეს არ არის ორი და სამი წლის პერსპექტივის ამბავი. ყოველ შემთხვევაში, პროცესის დასაწყისი უკვე იქნება ჩვენთვის სერიოზული გარღვევა და ამით ქვეყანა დიდ სარგებელს მიიღებს...**

ესაუბრა ჯაბა ჟვანიანი



ლადო მესტვინიშვილი:

# არასდროს არაფერი მითხოვია, დიდებაზე არასოდეს მიფიქრია

საქართველოსთვის უკვე ჩვეულ ამბად იქცა ის, რომ ყველა წარმატებული და დიდი მომავალის მქონე ხელოვანი თუ სპორტსმენი ქვეყნიდან უნდა წავიდეს, რადგან აქ დაფასებას, ფულს და აღიარებას ვერ ეღირსება. ასეთ შემთხვევაში წაგებული ყოველთვის ქვეყანა რჩება, ხოლო საქართველოს დიდებულ მოქალაქეებს ნოსტალგია უჭამს ნერვებს და საკუთარი წარმატებით საჭირო დოზითაც ვერ ტკბებიან. შესაძლებელია, მათ სხვა ქვეყანაში საკუთარი დიდება და წარმატება მოსწონთ, მაგრამ გულის სიღრმეში, ალბათ, ყველა ქართველი იმაზე ფიქრობს, რა იქნებოდა, ეს ჩემს ქვეყანაში მქონოდა და ჩემი ხალხისთვის დავხარჯულიყავიო. ასეთ ადამიანებთან შეხვედრა ყოველთვის სიამაყესთან ერთად სევდასაც გგვრის და გული გწყდება, რომ მათ შესახებ მხოლოდ ტელევიზიით ან უცხოური პრესის საშუალებით იგებ.

ჩვენ საქართველოდან იძულებით წასულ მსოფლიოს დამსახურებულ მწვრთნელს — ვლადიმერ მესტვინიშვილს შევხვდით, რომელიც სულ ცოტა ხნით ჩამოვიდა ინდოეთიდან და მალე გაბრუნდება უკან, ქვეყანაში, სადაც მისი შრომა სათანადოდ დააფასეს.

ჩვენი რესპონდენტი მეტად სიტყვაძუნწი აღმოჩნდა, საკუთარ დამსახურებაზე არ საუბრობს, მისი განვლილი ცხოვრების დეტალებზე უფრო მეტად ოჯახის წევრები გვიყვებოდნენ, ის კი მოკრძალებულად იჯდა და ისმენდა, ხან გაეცინებოდა და შენიშვნას აძლევდა, ზედმეტად არ შემაქოთო.

თავისუფალი ჭიდაობის ერთ-ერთი ლეგენდარული მწვრთნელი ლადო მესტვინიშვილი ჩვენი ქვეყნის ცნობილი მოჭიდავეების: ლერი ხაბელოვის, დავით გობეჯიშვილის, ლუკა კურტანიძის და უამრავი სხვა წარმატებული სპორტსმენის გამზრდელია. როდესაც საუბარი დავიწყეთ, თვალები ისე უბრწყინავდა, მივხვდი, გამარჯვების ყოველი წუთი თვალწინ დაუდგა. მისი ცხოვრება ხშირად ტკივილიანიც და შეუ-

რაცხყოფილიც იყო, მაგრამ უფრო მეტი სიხარული ჰქონდა. დაუფასეს თუ არა ეს მისმა მოწაფეებმა, ამას დიდად არ ნაღვლობს, უხარია, რომ ეს მის ცხოვრებაში იყო და დღემდე არის, ოღონდ ინდოეთში.

როგორი წლები გამოიარა სპორტის წარმატებული სახეობის — თავისუფალი ჭიდაობის დიდოსტატმა ჯერ საქართველოში, შემდეგ მაკედონიაში, ჩინეთში და ახლა უკვე ინდოეთში, თავად მოგვითხრობს:

— 1973 წლიდან თავისუფალ ჭიდაობაში პროფესიონალი მწვრთნელი ვარ. მუშაობა ძალიან მაღალი დონის მოჭიდავეებთან მომინია, ლევან თედიაშვილთან ერთად ვმუშაობდი. ორი წელი შრომით რეზერვებში ვწვრთნიდი ბავშვებს, მაგრამ მერე, როგორც ცუდი მწვრთნელი, ისე გამომიშვეს. რალა უნდა მექნა?! მუშაობა ქარხანაში დავიწყე, მაგრამ დიდი დრო არ გასულა, რომ ერთმა ჩემმა კოლეგამ ზურაბიშვილმა დახმარება მთხოვა, ჩემი საქმე ძალიან მიყვარდა და უარი არ მითქვამს, ისე უანგაროდ ვეხმარებოდი. რალაც პერიოდის შემდეგ შემომთავაზა, რომ მათთან მუშა-



ობა დამეწყო, მაგრამ არ ვთანხმდებოდი, გულნატკენი ვიყავი... დრო გავიდა, ბავშვები, რომლებთანაც ვმუშაობდი, ძალიან მომწონდა და ზურაბიშვილს „ლოკო-მოტივში“ მუშაობაზე დავთანხმდი. ამის შემდეგ შრომითი რეზერვებიდან ხელახალი მოწვევა მომივიდა. იმ პერიოდში მოჭიდავეთა გუნდი მეცხრე ადგილზე იყო, ზუსტად ორ წელიწადში გუნდი პირველ ადგილზე გავიდა. ძალიან ძლიერი და კარგი ახალგაზრდები იყვნენ. ლერი ხაბელოვი რომ ჩემი გაზრდილია, ძალიან ვამაყობ.

ჩემი დიდი დამსახურება იყო, რომ გლდანის სპორტულ სკოლა-ინტერნატში თავისუფალი ჭიდაობის კლასიც გაიხსნა. ამ სკოლის გახსნამ ქართველი მოჭიდავეების გუნდს ბევრი საინტერესო ახალგაზრდა შესძინა, კარგი თაობა გაიზარდა, დიდ წარმატებებს მიაღწიეს.

შრომით რეზერვებში დიდხანს ვმუშაობდი და უკვე უფროსი მწვრთნელი ვიყავი, როდესაც წამოსვლა დავაპირე, ჩემი შემცვლელი მე თვითონ დავტოვე, ბენდიანიშვილი დავასახელე, რომელიც დღემდე მუშაობს და საკმაოდ დიდი წარმატებებიც აქვს. ჩვენ წლების განმავლობაში ერთად ვმუშაობდით: ბენდიანიშვილი, ნიკოლაძე და მე. **მთელს საბჭოთა კავშირში პირველობა არასოდეს დავგითმია. დანარჩენი რესპუბლიკები ძალიან ბრაზობდნენ, როგორ თუ ქართველებს ვერ უნდა მოეფოთო, მაგრამ დროთა განმავლობაში ქართველთა პირველობას ისე მივაჩვიეთ, რომ უკვე ჩვეულებრივ ამბად გადაიქცა, ყველამ იცოდა, რომ პირველი ადგილი ნებისმიერ ტურნირზე ჩვენი იყო.**



მალე ლერი ხაბელოვი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, მას არაფრით ჩამოუვარდებოდა გოგოლიშვილი, რომელიც ახლა უცხოეთში მოღვაწეობს. მოკლედ, ევროპისა და მსოფლიოს თასებზე ბრძოლა ჩვენთვის პრობლემას აღარ წარმოადგენდა.

1980 წელს ლევან თედიაშვილმა ჭიდაობას თავი დაანება და მისი შემცვლელი თითქოს აღარავინ ჩანდა, მაგრამ ძალიან მალე თბილისის საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა, რომელშიც თითქმის მთელი მსოფლიოდან ჩამოსული საუკეთესო მოჭიდავეები იღებდნენ მონაწილეობას. პირველივე წელს ეს თასი **ოთარ ყურაშვილმა** მოიგო, რაც ქართველებისთვის უდიდესი წარმატება გახლდათ. ჩვენ ამ წარმატებით არ ვკმაყოფილდებოდით და უფრო მეტი გვინდოდა, მეტი ნიჭიერი ახალგაზრდა გვჭირდებოდა. იმ პერიოდში საბჭოთა კავშირის მთავარი მწვრთნელი ჩამოდიოდა და ის არჩევდა, ტურნირში ვინ უნდა გასულიყო და ვინ არა. ერთხელაც რომ ჩამოვიდა, იმდენი სპორტსმენი გადაგვიხაზა, რომ რვა კაცის ამარა დავჩრით, ამ რვიდანაც მხოლოდ ექვსზე ვამყარებდით იმედს. იძულებული გავხდით, პატარა მოჭიდავეები ჩამერ-

თო საქმეში, სწორედ მაშინ ამიტვიტივდა ხაბელოვი, რომელმაც ძალიან მალე დიდ წარმატებებს მიაღწია. მას მოჰყვნენ: **თურმანიძე, გოგოლიშვილი...**

მწვრთნელის თანამდებობა 1991 წელს დავტოვე. იმ პერიოდისთვის საქართველოს 57 საუკეთესო მოჭიდავე ჰყავდა, რომლებიც დიდ ტურნირებში მონაწილეობდნენ, 6 კი საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი იყო: **გოგოლიშვილი, გიბეჯიშვილი, ხაბელოვი, ტატუაშვილი, მაგამედოვი და გალდავა. 1985 წელს გობეჯიშვილსა და ხაბელოვს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები მოგებული ჰქონდათ.** ლერი ხაბელოვი ოლიმპიურ თამაშებზე უკვე პირველი ნომერი იყო, ასევე პირველი ნომერი გახლდათ გობეჯიშვილიც, თუმცა მათ თავისი სიძლიერის დამტკიცება მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონატზე შეძლეს, ოლიმპიურ თამაშებზე ვერ წავედით.

იმ პერიოდის ყველა წარმატებული სპორტსმენი შრომით რეზერვებში იყო გაზრდილი.

1990-იანი წლები, ყველას კარგად მოეხსენება, როგორიც იყო. იმ პერიოდის უბედურება ყველა ქართველს შეეხო და არც მე აღ-

მოვჩნდი გამონაკლისი. 1992 წელს ქვეყნის დატოვება მომიწია.

სპორტსმენებს ასეთი წესი აქვთ, როდესაც თამაშს ასრულებენ, თავის ადგილს ვერსად პოულობენ და პირველი, ვისაც დარტყმას აყენებენ, მწვრთნელია. ასე მოხდა ჩემ შემთხვევაშიც, ასე ხდებოდა ყველგან. ჩემი გაზრდილები იმას მსაყვედურობდნენ, საზღვარგარეთ რატომ არ დავდიოდითო, მათ ძალიან კარგად იციან, რომ ჩვენ ფილას წევრები არ ვიყავით და საქართველო ასე, თავის ჭკუაზე, ვერ ივლიდა. მათ გადანყვიტეს, რომ მე უფროსი მწვრთნელის მოვალეობას ვერ ვასრულებდი, ეს ჩემთვის მოულოდნელი დარტყმა იყო და წამოვედი. არ მწყენია, უბრალოდ, ცუდია, ასე გულცივად რომ მომექცნენ. საბოლოოდ, ჩემი შემოსავალი ორმოც მანეთზე დავიდა და გადავწყვიტე რუსეთში წასვლა. რუსეთში იმ გუნდში მივედი, რომელსაც ჩვენ რამდენიმეჯერ თასი მოვუგეთ. სხვათა შორის, რუსებმა ჩვენგან ერთი სადავო თასი წაიღეს, იქ რომ დავინყე მუშაობა, ეს თასი მაგიდაზე მედგა და ვამბობდი, რომ ქართველების თასი იყო.

უცნაური ბედის კაცი ვარ. რუსეთშიც ფადეევი იყო მოჭიდავე, რომელსაც კარიერა დასრულებული ჰქონდა და გადანყვიტა, ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის მიღება, გამომიცხადა, რომ დავბრუნდები, შენი ადგილი მე დამითმეო, მეც დავთანხმდი. მერე მას უზბეკეთში მოუწია წასვლა და იმ ადგილს ძალიან ბევრი მსურველი გამოჩნდა, თუმცა ყველა ითხოვდა, რომ უფროსი მწვრთნელი მე ვყოფილიყავი, მაგრამ ამ ომში ჩართვა უკვე აღარ მინდოდა. მაშინ ჭიდაობის აკადემიაშიც ვმუშაობდი. იყო ასეთი პიროვნება იური შახმურადოვი, რომელიც ამ აკადემიის დამარსებელი იყო, მწვრთნელთა მწვრთნელი შეიძლება ვუწოდოთ. იმ პერიოდში ბევრი მონვევა მოდიოდა და ვთხოვე, სადმე გავეშვი. ის წინააღმდეგი იყო ჩემი წასვლის, მაგრამ მაინც გაითვალისწინა ჩემი თხოვნა და მაკე-





დონიაში გამიშვა, 1995 წელს უკვე იქ ვმოღვაწეობდი. ჩასვლისთანავე გუნდი გავაკეთე, რომელმაც ევროპის კლუბების თასზე გამართულ ტურნირში მიიღო მონაწილეობა, მოჭიდავეები რუსეთიდან და საქართველოდანაც მივიწვიე და მაკედონიის გუნდის სახელით ვაჭიდავე, რამაც გამარჯვება მოგვაპოვებინა. ეს პრიზი მსოფლიო თასს ჯობია, რადგან უძლიერესი მოჭიდავეები იღებენ მონაწილეობას. ბულგარელებიც ჩავიყვანე, სუსტი გუნდიდან ერთერთ ძლიერ გუნდად ვაქციე. მათ ჭიდაობის დიდი ისტორია არ ჰქონდათ, მოჭიდავეებს ძალიან ცოტას უხდინენ, ყველაფერს ვაკეთებდი, რომ მათთვის კარგად გადაეხადათ და საკუთარი თავით ვაგებდი პასუხს ყველა კაპიკზე.

**ჩემი და ბატონი ლადოს საუბარში ოჯახის წევრები ჩაერთნენ, მაკედონიაში გატარებულ პერიოდს დიდი სიყვარულით იხსენებდნენ, ყვებოდნენ, თუ როგორი დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ იქ, როგორ უფასებდნენ შრომას. როგორ ამაცობდნენ იმით, რომ ლადო მესტვირიშვილის ჩასვლის შემდეგ იქაური გუნდი ათჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი.**

**ბატონ ლადოსაც სიამაყე ჩაუდგა თვალეში და კვლავ განაგრძო მაკედონიაში გატარებული დღეების გახსენება:**

— ლუკა კურტანიძე ხშირად მყავდა მინვეული, ყველას უყვარდა, ძალიან მოწონდათ ფიზიკურადაც, ხალხი ფეხზე იდგა, როდესაც ის ჭიდაობდა. სულ ვიცოდი, საბჭოთა კავშირიდან რომელ რესპუბლიკას რომელი მოჭიდავე უნდა გამოეყვანა და მის საპირნონეს ვახვედრებდი-ხოლმე. უძლიერეს კლუბებს ვუნევედი კონკურენციას.

2000 წელს მაკედონიაში არეულობა დაიწყო, ზუსტად ისეთი, როგორიც ჩვენთან იყო 1990-იანი წლების დასაწყისში. დაიხურა ოქროს კარიერი, რომელიც ჩვენს გუნდს აფინანსებდა. მაკედონიიდან დღემდე მირეკავენ და მკითხულობენ. აგვისტოს ომის დროს



დამირეკეს და სახლ-კარს მთავაზობდნენ, თქვენთან არეულობაა და ცოლ-შვილით ჩვენთან ჩამოდი დროებითო.

**მაკედონიიდან ბატონი ლადო კვლავ საქართველოში დაბრუნდა იმ იმედით, რომ სამშობლოში ამჟამად მაინც შესთავაზებდნენ თუნდაც მცირე სამუშაოს, მაგრამ ამოდ... თუმცა უფულობას იმ პერიოდში ქართული სპორტი არ უჩიოდა. საქართველოში გულისხმიერება და თანადგომა არავის გამოუჩენია, მათ შორის, არც იმათ, ვისი უდიდესი სპორტული კარიერაც ლადო მესტვირიშვილის დამსახურება იყო.**

— გულდასაწყვეტია, როდესაც ხედავ, უცხო ტომის წარმომადგენელი როგორ პატივს სცემს შენს შრომას და შენიანები კი არც გახსენებენ. მაკედონიის შემდეგ რამდენიმე თვით ჩინეთში ვიყავი, ერთი პატარა გუნდით მთელი ჩინეთის ჩემპიონობა მოვიგეთ. მერე ინდოეთში წავედი და იქ უკვე საკმაოდ დიდი ხანია, რაც თავისუფალი ჭიდაობის საიდუმლოსა და ხიბლს ინდოელ ახალგაზრდებს ვუზიარებ. მწვრთნელობა დიდი პასუხიმგებლობაა, თვალეში რომ ჩახედავ სპორტსმენს, მაშინვე უნდა იცოდე, როგორი მომავალი ექნება, მათი წონის მიხედვით შესაძლებლობები უნდა განსაზღვრო, თითოეული ჩემი გაზრდილისთვის სისხლის უკანასკნელ წვეთამდე მიბრძოლია, უსახსრობის გამო ბავშვი არ გამინირია, ჩემთვის ფული პირველ

ადგილზე არასოდეს ყოფილა, მთავარი იყო, ახალგაზრდაში სურვილი და ჟინი დამენახა. ახლა რომ საუბრობენ, სოჭის ოლიმპიურ თამაშებზე უნდა წავიდნენ თუ არა ქართველი სპორტსმენები, სწორია არ არის, რადგან სპორტსმენისთვის ყველაზე დიდი ასეთ შეჯიბრებებში მონაწილეობის მიღებაა.

საქართველოში მოღვაწეობის პერიოდში საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვიყავი. ნიკოლაძე, ლორია და მე ვიყავით ძირითადად მწვრთნელები. არასდროს არაფერი მითხოვია, დიდებაზე არასოდეს მიფიქრია. ჩვენმა ბიჭებმა სპარტაკიკადა რომ მოიგეს, მაშინ იქ უკითხავთ, ამათი მწვრთნელი სად არისო, მე კი სახლში ვიყავი. **მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელის წოდებაც სრულიად მოულოდნელად მომანიჭეს 2011 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე.** მაშინ იქ ქართველებიც იყვნენ და ყველამ გაიგო, მაგრამ საქართველოში ამისთვის დიდი მნიშვნელობა არ მიუნიჭებიათ, — **სხვათა შორის გვითხრა ლადო მესტვირიშვილმა, თუმცა ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ გული წყდებოდა. მას არც დაფასება აკლია და არც სიყვარული, ოღონდ არა თავის ქვეყანაში, დღეს ის ინდოელებისთვის შრომობს და თავის პროფესიონალიზმს ინდოელ ახალგაზრდებს უზიარებს.**

ესაუბრა **მკა ნასყიდაშვილი**



გივი ბერძენიშვილი:

# «ბეზელსის პრეზიდენტი» პირველი ლაურეატები გახდებიან ლევან ბერძენიშვილი და თამარ კორძაია

სოციალურ ქსელებში გავრცელებულმა ინფორმაციამ, რომ დეპუტატები ლევან ბერძენიშვილი და თამარ კორძაია პარლამენტში განსახილველად ისეთი კანონპროექტის შეტანას აპირებენ, რომლის დამტკიცების შემთხვევაში მოქალაქე 1000 (ათასი) ლარით დაჯარიმდება მხოლოდ იმიტომ, რომ საჯარო ადგილას განათავსა კომუნისტური სიმბოლიკაო, რატომღაც გამახსენა დიდი ილია ჭავჭავაძის დიდაქტიკური ლექსი „ბედნიერი ერი“.

მართალია, ეს გენიალური ნაწარმოები ასახავს XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი ერის კოლექტიურ პორტრეტს, მაგრამ, როგორც ყველაფერი გენიალური, ის ახლაც, XXI საუკუნის დასაწყისშიც, უაღრესად აქტუალურია, რადგან ზუსტად ასახავს ჩვენი დროის ქართველობის (რა თქმა უნდა, მისი უმეტესობის) შინაარსობრივ სახეს: „...ყველა ყრუი, ყველა ცრუი, მცირე-დიდი — ყველა ფლიდი, ცუდლუჭი და მანკიერი“... და, საერთოდ, ვისაც ჰქონდა „ბედნიერება“, ამ ბოლო თვეების განმავლობაში ეხილა და მოესმინა სხვა „დემოკრატების“ პათოლოგიური ზიზღითა და ბინძური ჭორებით გაჯერებული გამოსხვებები იოსებ სტალინისა და მისი ეპოქის წინააღმდეგ, დარწმუნდება, რომ თავადმა ჭავჭავაძემ სწრაფი სიზუსტით მოახვედრა სამიზნეს — ნეოლიბერალიზმს! ვესაუბრები საქართველოს დამსახურებულ ინჟინერს, ენერგეტიკისა და სამხედრო აკადემიების ნამდვილ წევრს, აკადემიკოსს, მწერალს, დავით აღმაშენებლის სახელობის პრემიის ლაურეატს, სტალინური ეპოქის გამორჩენილ მკვლევარს, ავტორს წიგნებისა: „სტალინი — პერმანენტული გამარჯვების ღმერთი“, „ვადასტურებ, რომ ომის დასაწყისი გამოუპარათ ჟუკოვსა და ტიმოშენკოს“ (რუსულ ენაზე) და პიესების „მის ადგილს დაიკავეს სტალინი“ და „დამარცხება შეუძლებელია“ — გივი ბერძენიშვილს.



ამტკიცებდა, რომ სტალინურმა რეპრესიებმა იმსხვერპლა 67 მილიონი ადამიანი; ხოლო, ცრუ-ს აგენტმა, „საზოგადო მოღვაწემ“, დოსტოვესკის შემოქმედების მკვლევარმა (რომლის ანტიეროვნულმა ქმედებებმა თვალნათლივ დაადასტურა, რომ დოსტოვესკის ვერაფერი გაუგო), იური კარიაკინმა, ჩაღამოვლებული დატოვა თვით სოლჟენიცინი! მისი მტკიცებით, დაიხვრიტა, არც მეტი, არც ნაკლები, 100 (!) მილიონი ადამიანი, ანუ მაშინდელი საბჭოთა კავშირის მოსახლეობის (194 მლნ.) უმრავლესობა! ამ „მოაზროვნებს“ თუ დაფუჯვრებთ, რა გამოდის? გამოდის ის, რომ საბჭოთა კავშირის მოსახლეობას გამრავლების არავითარი შესაძლებლობა არ გააჩნდა! არადა, „ლიბერალ-დემოკრატების“ მიერ „განახევრებულ“ მოსახლეობას წინ უმძიმესი ომის გადატანა ელოდა. მაგრამ უმსხვერპლო ომი ბუნებაში რომ არ არსებობს? არადა, სსრკ-ის ხელოვნურად დანგრევის წინ, 80-იანი წლების ბოლოს, ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა თითქმის 300(!) მილიონს აღწევდა!

— ბატონო გივი, თქვენ ხართ სტალინური ეპოქის მკვლევარი. წავიკითხე თქვენი ორი წიგნი და ვიტყვი, რომ ისინი გაჯერებულია დოკუმენტური მასალებით, ანუ თქვენი მსჯელობა ეყრდნობა სარქივო დოკუმენტებს, რაც ნებისმიერი მკვლევარისთვის აუცილებელია. თქვენი აზრით, თავის სატელევიზიო გამოსვლებში მოყვანილ ფაქტებს რით უმაგრებენ ზურგს ჩვენი შინაზარდი ლიბერალები?

— მხოლოდ და მხოლოდ მწვანე დოლარით! ანუ იმ გრანტებით, რომლებითაც ბერძენიშვილების, კორძაიების, ბაქრაძეებისნაირ გავლენიან აგენტებს უხვად ამარაგებ-

ბენ დასავლეთის სპეცსამსახურები და სხვა შავბნელი ორგანიზაციები.

დავინყებ იმით, რომ თავის უბადრუკ ტელეგამოსვლებში, ისინი ძალზე მონდომებულნი არიან, და არწმუნონ მაყურებელი, თითქოს სტალინი და კომუნისტები სასტიკად უსწორდებოდნენ საკუთარ ხალხს, რომ სტალინის რეჟიმმა 40 მილიონი ადამიანი დახვრიტა და ეს ფაქტი უკვე დამტკიცებულია... უნდა აღინიშნოს ერთი უცნაურობა — დახვრეტილების რაოდენობაზე „დემოკრატ“ მკვლევარებს შორის არაა ერთსულოვნება; მაგალითად, ბანაკის დამსმენი, შემდგომში კი „დიდი“ მწერალი და „დისიდენტი“ — ალექსანდრე სოლჟენიცინი

— ბატონო გივი, კარიაკინთან და სოლჟენიცინთან შედარებით, „ჩვენი“, თუ არ ვცდები, ლაშა ბაქ-



**რადე მათზე ბევრად პატიოსანი აღმოჩნდა — სულ 40 მილიონი დახვრეტესო...**

— ვერც ბაქრადის „ვერსიაა“ მთლად სარწმუნო, რადგან მაგ შემთხვევაშიც, 1991 წლისთვის, საბჭოთა კავშირის მოსახლეობის რაოდენობას სამას მილიონამდე რომ მივღწიო, თითოეულ ოჯახში უნდა შობილიყო არანაკლებ 20 ბავშვისა, რაც აბსურდია!.. კარგი, დავუშვათ (და ამ შემთხვევაში, ისევე ბაქრადის „მონაცემი“ განვიხილოთ), 40 მილიონი ადამიანი იყო არა დახვრეტილი, არამედ დაჭერილი. ისმის კითხვა: ეს უზარმაზარი მასა სად უნდა მოეთავსებინა სტალინს?! იმდროინდელი მოსკოვის მოსახლეობა არ აღემატებოდა ორ მილიონს. გამოდის, რომ „სისხლისმსმელი დიქტატორი“ იძულებული იქნებოდა, აეშენებინა, სულ ცოტა, ოცი მოსკოვის ხელა ბარაკიანი დასახლება, რაც იმხელა თანხას მოითხოვდა, რომ სტალინს ქვეყნის ინდუსტრიულიზაციაზე ხელი უნდა ჩაექნია! აღარაფერს ვამბობ ამ ხალხის კვებაზე, ჩაცმა-დახურვაზე და ა. შ.

**— ბატონო გივი, ამ სახის ინფორმაცია, ადამიანთა რა კატეგორიაზეა გათვლილი?**

— ჩემი აზრით, საინფორმაციო გადაცემების მაყურებლებზე, რომელთაც მიზანმიმართულად ძალზე უარყოფითი ინფორმაციის მიწოდებით, საერთოდ დააკარგვინეს მსჯელობის უნარი, ლოგიკური აზროვნება; აი, თუნდაც დღეს „მაესტროს“ საინფორმაციომ მაყურებელს დილა „გაუთენა“ ისნის რაიონში მომხდარი ხანძრით, რომელსაც ერთი ხანშიშესული ქალბატონი შეენირა... „ლიბერალების“ აბსურდი გათვლილია, აგრეთვე, ლათინოამერიკული და თურქული მდარე ხარისხის სერიალებით გონებანართმეულ ინდივიდუმებზეც, უკულტურო, უმეცარ და ძალზე მიამიტი ადამიანებზე.

ხელისუფლების ხელში ჩაგდებისთანავე **ხრუმჩოვმა** დაიწყო სტალინის „გაშავების“ კამპანია. მისი მითითებით შეიქმნა კომისია, რომელსაც უნდა გამოეძია, თუ რამდენი ადამიანი იყო რეპრესირებული 1921 წლიდან 1953 წლის ჩათვლით. კომისიამ საგულდაგულოდ იმუშა-

ვა და საიდუმლოდ მოახსენა ხრუმჩოვს: „საბჭოთა კავშირში 1921 წლიდან 1954 წლის 1 თებერვლამდე კონტრევოლუციური დანაშაულისთვის გასამართლდა 3 მილიონ 777 ათას 300 ადამიანი. მათგან დახვრეტა მიუსაჯეს 642 ათასს, რომელთაგან 300 ათასზე მეტს შეეცვალა სიკვდილით დასჯის ზომა გადასახლებით“. ამ ფრიად მნიშვნელოვან დოკუმენტს ხელს აწერენ: საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორი — **რუდენკო**, შინაგან საქმეთა მინისტრი — **კრუგლოვი** და იუსტიციის მინისტრი — **გორშინინი**. სახარებიდანაა ცნობილი, არა არსებობს არაფერი დაფარული, რაც არ გაცხადდებაო. ამ საიდუმლო საბუთმაც იხილა მზის შუქი და არაერთხელ გამოქვეყნდა პრესაში. მაგრამ, როგორც ჩანს, ქართველი „დემოკრატები“ არათუ წიგნებს, გაზეთებსაც არ კითხულობენ... ვეკითხები მათ: სად არის აქ 40 მილიონი დახვრეტილი?! თუნდაც, 1 მილიონი?! და, რაც მთავარია, მითი „სტალინურ რეპრესიებზე“ „მოიფიქრა“ **იოზეფ გებელსმა**, ხოლო მისგან ეს „საპატიო“ ესტაფერა გადაეცა ხრუმჩოვს; ამ უკანასკნელისგან კი — ფაშისტურ, სიონისტურ, მასონურ ორგანიზაციებს და სულ ახლახან ე. წ. **ლგბტ**-საც!..

**— დღევანდელი ქართველი „ლიბერალები“ თავის გამოსვლებში სტალინს ადანაშაულებენ „ტოტალიტარული ნეოპის“ ჩამოყალიბებაში.**

— კი, ბატონო, იყო: ტოტალური გარდაქმნა ქვეყნის ეკონომიკისა, ტოტალური აღმშენებლობა სოფლის მეურნეობისა, ტოტალური მშენებლობა მრეწველობისა და მძიმე ინდუსტრიისა, ქვეყნის თავდაცვისა! იყო ტოტალური გარდაქმნები განათლებაში, მეცნიერებაში, კულტურაში, კინოსა და თეატრალურ ხელოვნებაში ა.შ. იყო ტოტალური ძვრები მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაში, რაც გამოიხატა ფასების ტოტალურ შემცირებაში კვების პროდუქტებზე და ფართო მოხმარების საქონელზე! შევახსენებ ბატონ „ლიბერალებს“ კომუნალური გადასახადების სიმბოლურ ფასებზე, უფასო ბინებზე, უფასო ჯანდაცვაზე, უფასო გა-

ნათლებაზე, უფასო დასვენება-მკურნალობაზე ქვეყნის საუკეთესო სანატორიუმებში! შევახსენებ მათ, ასევე, 7-საათიან სამუშაო დღეზე და 5-დღიან სამუშაო კვირაზე; და ეს მაშინ, როცა „აყვავებულ“ კაპიტალისტურ სამყაროში სამუშაო დღე გრძელდებოდა 12-16 საათი, სადაც ადამიანები (განსაკუთრებით მუშები) მძიმე სამუშაო პირობებში იმყოფებოდნენ და მათ მცირე ანაზღაურება ჰქონდათ.

ეს ახლა ბერძენიშვილ-კორძაიას „დამოუკიდებელ და თავისუფალ“ საქართველოში მიზერულ ანაზღაურებაზე ამუშავებენ მუშას და ინტელიგენტს, თავად კი ასტრონომიულ ხელფასებს (მუშისა და ინტელიგენტის ხელფასთან შედარებით) იღებენ და უფრო მეტ პრემიებს უწერენ საკუთარ თავს. მტკიცებულებები? რამდენსაც ინებებთ! „ნაციონალი“ მინისტრების ხელფასი იყო 4 ათას ლარამდე, დამატებით ისინი ორ ამდენ პრემიას იწერდნენ. სამწუხაროდ, ახალი ხელისუფლების მოსვლამ ამ საკითხში უკეთესობისკენ ვერაფერი შეცვალა. თავის კაბინეტში შესვლაც კი ვერ მოასწრო „ოცნების“ ფინანსთა მინისტრმა, ბატონმა **ხაღურმა**, რომ თავის თავს 7080 ლარის ოდენობის პრემია გამოუწერა! ბატონმა **ივანიშვილმა** ეს თანხაც იცოტავა და საკუთარი კაბინეტის წევრებს ხელფასი გაუორმაგა. მინისტრის დღევანდელი შრომის ანაზღაურება 7875 ლარია, რაც საარსებო მინიმუმს (146 ლარი) დაახლოებით 52-ჯერ აღემატება!

**— რა დამსახურებისთვის გაუზარდეს მინისტრებს ხელფასი?**

— ბათუმში ყოფნისას ბატონმა ივანიშვილმა თავი ასე იმართლა: გაუორმაგეთ იმიტომ, რომ ქრთამი არ აიღონო... მე კი, ასე ვეტყოდი პრემიერმინისტრს: თუ ადამიანი უპატიოსნოა, მილიონიანი ხელფასიც რომ დაუნიშნო, ქრთამს მაინც აიღებს! ბატონ ივანიშვილის ქმედებიდან ჩანს, რომ იგი ქართულ პლუტოკრატას ამკვიდრებს, ანუ მმართველობის იმ ფორმას, როცა ხელისუფლების გადაწყვეტილებას განსაზღვრავს არა ხალხის, არამედ მდიდარი ადამიანების კასტის ნება-სურვილი.

**ესაუბრა ბიორბი კორძაძე**



# «დაგმარებით საქართველოში»

## მასალა მიხეილ საბინინის ხსოვნად

წარმოშობით რუსი მიხეილ (გობრონ) პავლეს ძე საბინინი ჭეშმარიტად დიდი ქართული საქმეების შემოქმედი იყო. იგი, მიუხედავად წინააღმდეგობებისა და მრავალი სირთულისა, შეუპოვრად იკვლევდა საქართველოს ეკლესიის ისტორიას, კრებდა და აქვეყნებდა პირველწყაროებს, რომელთაც დღესაც ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვთ საქართველოს ისტორიისთვის. „მეცნიერის ღვაწლის შესახებ დაბეჭდილია ცალკეული სტატიები (ქ. ცხადაძე, ვ. გურგენიძე), მაგრამ იგი, ვითარცა საქართველოსათვის დამაშვრალი, მეტს იმსახურებს. მიხეილ საბინინის ცხოვრება და მოღვაწეობა უთუოდ მონოგრაფიული შესწავლის საგანი უნდა გახდეს“, — აღნიშნავს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რეინ მატრაქევი წარკვევში ამ დიდებული ადამიანის შესახებ, რომელსაც აქვე გთავაზობთ.

1900 წლის 13 მაისს გაზეთი „ცნობის ფურცელი“ მოკრძალებულად ადგილს უთმობდა განცხადებას, რომ „მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ცნობილი გამომცემელი „საქართველოს სამოთხისა“, „საქართველოს დიდებისა“ და სხვა ისტორიულ თხზულებათა საქართველოს შესახებ მიხეილ (გობრონ) საბინინი“.

მიხეილ საბინინი ფილტვების ანთებით გარდაიცვალა 1900 წლის 10 მაისს, მოსკოვში, დაიკრძალა იქვე.

მიხეილ საბინინის გარდაცვალებას მწუხარებით შეხვდნენ საქართველოში. 15, 16 და 17 მაისს შუამთის მონასტერში პანაშვიდი გადაუხდიათ მისი სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი იქნა გადახდილი, აგრეთვე, თეთრი წმ. გიორგის მონასტერში (კახეთში). 27 მაისს ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსს კირიონს გადაუხდია წირვა და პანაშვიდი („ცნობის ფურცელი“, 1900 წ., 27 მაისი, N 1136).

ეს „ცოდვილი“ და „ყველასგან დაჯაბნილი“ პიროვნება გახლდათ საქართველოს სიძველეებისა და ეკლესიის ისტორიის გამორჩენილი მკვლევარი, ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლების რუსულ ენაზე მთარგმნელი და გა-

მომზეურებელი, „საქართველოს სამოთხის“ შემდგენელი და დამსურათებელ-გამომცემელი და სხვა მრავალი სასიკეთო საქმის შემოქმედი მიხეილ (გობრონ) საბინინი.

მიხეილ საბინინი დაიბადა 1845 წელს. მისი მამა — პავლე საბინინი ტვერის ეპარქიის მღვდელი იყო. იგი შემდეგში საქართველოში დასახლებულა და ცოლიც ქართველი — მირზიაშვილის ქალი — ჰყოლია. მიხეილს ოჯახში ქართული აღზრდა მიუღია. მას წარმატებით დაუმთავრებია თბილისის კლასიკური გიმნაზია. გიმნაზიაში სწავლის პერიოდშივე მიუქცევია ყურადღება საქართველოს სასულიერო ისტორიისთვის. მ. საბინინს შეუსწავლია საქართველოს ეკლესია-მონასტრებში დაცული ქართული ხელნაწერები, დაინტერესულა ხატებით, წმინდანთა საფლავებით, ჩაუნერია სხვადასხვა თქმულება-გადმოცემანი, გიმნაზიის წლებში ნაუკითხავს პლატონ იოსელიანის შრომები და გასცნობია მის მიერ გამოცემული ძველი ქართული მწერლობის ძეგლებს.

მეცხრამეტე საუკუნის სამოცდაათიანი წლების პეტერბურგი მოწინავე რუსული კულტურის ჭეშმარიტი ცენტრი იყო და დაინტერესებულ, სწავლამონყურ-

ბულ ახალგაზრდას ბევრი რამის მიღება შეეძლო. მიხეილ საბინინი იმთავითვე დაუახლოვდა პეტერბურგის მიტროპოლიტს — ისიდორე ნიკოლსკისა (1844 წ. 12. XI-დან 1858 წლის 1. III-მდე საქართველოს ეგზარქოსი იყო) და იოანე გრიგოლის ძე გრუზინსკის. იოანე გრიგოლის ძე ქართველი სახელმწიფო მოღვაწის, განმანათლებელ-ენციკლოპედისტის, მწერლის, მეცნიერისა და ლექსიკოგრაფის — იოანე ბატონიშვილის (ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის — გიორგი მეორემეტის შვილი) შვილიშვილი იყო. მას ქართული ხელნაწერების მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა და მიხეილი შეუზღუდავად სარგებლობდა ამ სიკეთით.

მ. საბინინი პეტერბურგში გაეცნო გამოჩენილ ქართველოლოგებს — მ. ბროსესა და დ. ჩუბინაშვილს. მათთან ურთიერთობამ და კონსულტაციებმა კი მნიშვნელოვნად განაპირობეს ახალგაზრდა მეცნიერის წარმატება.

1871-73 წლებში მ. საბინინმა გამოსცა საქართველოს ეკლესიის წმინდანთა სრული აღწერილობა (სამი წიგნი), რომელიც უძღვნა რუსეთის იმპერატორის მემკვიდრის, დიდი მთავრის — ნიკოლოზ ალექსანდრეს ძის ხსოვნას.

პეტერბურგის სასულიერო აკადემია მიხეილმა 1875 წელს დაამთავრა. აქვე მიიღო ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხი — თხზულებისთვის „საქართველოს ეკლესიის ისტორია VI საუკუნის ბოლომდე“. აქედან მოყოლებული მეტად ნაყოფიერი იყო მიხეილ საბინინის მოღვაწეობა საქართველოსა და რუსეთში. მისი დიდი ღვაწლი შეუმჩნეველი არ დარჩენიათ თანამედროვეებს. ნიშანდობლივია, რომ 1899 წელს (მ. საბინინის სიცოცხლეშივე) გამოცემული „ენციკლოპედიურ ლექსიკონის“ XXVIII ტომში საგანგებო



სტატიის ავტორი მ. საბინინის შესახებ.

მ. საბინინმა „საქართველოს სამოთხის“ გამოცემით ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო ძველი ქართული მწერლობის შესწავლა-კვლევას. ეს იყო ქართული სასულიერო-მწერლობის ფაქტობრივად სრულყოფილი კრებული, რომლის მსგავსი მანამდე არ იცოდა ქართულმა საზოგადოებამ. კარგად ესმოდა თვით მ. საბინინსაც, რომ „...არა სადა იპოვების ასრე ვრცელი და შეკაზმული მშუენიერთა მხატვრობებითა, ვითარ წიგნი ესე“. კრებულში შეტანილი მასალები მეცნიერს მიუკვლევი პეტერბურგის საიმპერატორო სამეცნიერო აკადემიისა და საზოგადო საწიგნობელებში. ძვირფასი ხელნაწერები, როგორც აღნიშნავდა მ. საბინინი, „დარჩომილნი ბატონისშვილთაგან, - რომელნიმე მათგანი მერვე, მეცხრე, მეათე და ჩამომავალთა საუკუნეთა არიან. აგრეთვე პარიჟის სამეფო საწიგნობელისაგან - მოსკოვის დავით ბატონისშვილისა და რუმინანცევის საწიგნობელთა ხელნაწერთა წიგნთაგან...“ აქ მ. საბინინი გაცნობია არსენ იყალთოელის ხელნაწერებს, კათალიკოსებს: ვასილ, ბესარიონისა და ანტონ პირველის შრომებს. იგი აღნიშნავს, რომ შესაძლებელი იყო ამ კათალიკოსთა შრომების ცალ-ცალკე დაბეჭდვა, მაგრამ გამეორებას მოვერიდე და არც ჩემს მიზანს შეადგენდაო („ჩემს პროგრამაში არა იყო ცალ-ცალკის შრომის დაბეჭდვა“).

**„საქართველოს სამოთხეში“ მ. საბინინმა შეიტანა ქართული ისტორიული ლიტერატურის ორმოცდაათი უძვირფასესი ძეგლი** (მოთხრობა მიძინებისა ყ-დ წმიდისა ლუთის მშობლისა, ანდრია მოციქულის ქადაგება, წამება წმ. მთავარმონაშისა გიორგისი, ცხოვრება წმ. ნინოსი, ცხოვრება იოანე ზედაზნელისა, ცხოვრება და წამება წმ. მონაშისა კონსტანტინე მთავრისა, ცხოვრება ღირსი მამის ილარიონ ქართველისა, ანდერძი გიორგი მთაწმინდელისა, ცხოვრება წმ. დიდებულისა მეფისა დავით IV აღმაშენებლისა, ანდერძი



საბინინი — ხატი „საქართველოს დიდება“

წმ. მეფისა დავითისა და გალობა სინანულისა მისივე, სიტყვისგება ბერისა ეფთვიმე გრძელისა, სოსთენის მიმართ სომეხთ მოძღუარისა და სხვ.) და გარკვეული ქრონოლოგიური პრინციპით დაალაგა. ამასთან, თითოეული თხზულების შეტანა, მეცნიერის აზრით, მიზნობრივი დანიშნულებით იყო განპირობებული „ლუთისმშობლის მიძინებისა, — ამისათვის ვითარმედ ჩუენი ეკლესია წილხდომილია ყოვლად უბინოსისა და მარადის ქალწულისა დედოფლისა მარიამისა, მოთხრობა ანდრია მოციქულისა, რამეთუ მან სანატრელმან, პირუელად ჰქადაგა

სიტყუა ლუთისა ქუეყანასა ჩუენსა. მოთხრობა წმ. გიორგისა, რამეთუ დიდი გიორგი ახლო ნათესავი იყო წმ. ნინოსი...“ და ა.შ.

ზაზგასასმელია, რომ ეს დიდი წიგნი, რომელიც 650-მდე გვერდს შეიცავს და ფორმატიც საკმაოდ შთამბეჭდავი აქვს, ერთ საუკუნეზე მეტი ხნის წინ დაისტამბა და ადვილი წარმოსადგენია, თუ რაოდენ რთული იქნებოდა მისი პოლიგრაფიულად ესოდენ მაღალ დონეზე შესრულება.

დიმ. ჯანაშვილი დაუდევრობად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ ქართველობაში არ მოიპოვება ისეთი პირი, რომელმაც საქართველოს ეკ-



ლესიის ისტორია ზედმინევენით იცოდეს და შეშფოთებულია იმის გამო, რომ მ. საბინინის „საქართველოს სამოთხე“ არც ერთ მღვდელს იმ დროისათვის არ გამოუწერია. ამის მიზეზად კორესპონდენციის ავტორი სამღვდელოების მოშლილობას მიიჩნევს: **„ახლანდელ სამღვდელოებს, დაუდევრობისა გამო, აღარა აქვს ისეთი სასოება, ღვთისმოყვარეობა და გულითადი სურვილი გააგრძელოს ხალხში წმიდათა მამათა ცხოვრებიდან მაგალითები სათნო ცხოვრებისა... ის იქამდე გულგრილია თავის მოვალეობაზე, რომ იშვიათად იპოვით მღვდელს, რომელმაც იცოდეს ზედმინევენით წმ. ნინოს ცხოვრება მაინც“.**

დიმ. ჯანაშვილი „საქართველოს სამოთხის“ ავტორის დიდ დამსახურებად თვლის, რომ მან პირველმა მოძებნა და შეკრიბა „ქვეყნის პირზე მოფენილი ხელთნაწერები“. ავტორს ესმის ის სირთულე, რაც ასე დიდი წიგნის გამოცემასთან არის დაკავშირებული: **„წიგნი... სიდიდით არის ორი სახარებისოდენი. ამოდენა წიგნის გამოცემაზე. საბინინის ისრეთი ბეჯითი მეცადინეობა გაუწევია, რომ ის სრულიად უნაკლულოდ არის დასტამბული. სხვა არა იყოს რა, მარტო მისი გარეგანი შეხედულების ხილვა მეტისმეტად სასიამოვნოა. ჭეშმარიტად, რომ ის დიდს ძვირფასს საუნჯეს შეადგენს ჩვენს ისტორიულ ლიტერატურის“.**

დიმ. ჯანაშვილი „საქართველოს სამოთხეს“ თავისი მნიშვნელობით „ქართლის ცხოვრებას“ უტოლებს. მისი აზრით, პირველი ავსებს მეორეს. აქ ისეთი ახალი ცნობებია, რომელიც სხვაგან არსად მოიპოვება; ნათქვამია საღმრთო და საეკლესიო წიგნების

მთარგმნელებზე, ევსტათი ეპისკოპოსისის მოსვლაზე ანტიოქიიდან საქართველოში, წმ. ნინოს თხოვნით (გვ. 96), ქართველთა უსწავლელობასა და დაუდევრობაზე (გვ. 104-105), ქიზიყის დედოფალ სუჯიზე, რომელიც წმ. ნინომ გამოგზავნა ქიზიყიდან მირიან მეფისთვის კახეთის გაქრისტიანების მისალოცად, რუსის ეკლესიაზე, რომლის ეპისკოპოსი და ეპარქია თამარ მეფის დედის ბურდუხანის მზრუნველობაში იყო (გვ. 111), ათონის მთაზე მონასტრების აშენებაზე, იქაური ბერების მოღვაწეობაზე, გიორგი მთაწმინდელის ბაასზე ანტიოქიის პატრიარქთან საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის შესახებ (გვ. 338-488) და სხვ.

დიმ. ჯანაშვილი განცვიფრებულია მათი მოქმედებით, ვინც „საქართველოს სამოთხის“ გავრცელებას ეწინააღმდეგებოდა იმ მიზეზით, რომ თითქოს მ. საბინინის ხელნაწერები გადანერისას დაემახინჯებინოს. იგი ასაბუთებს აღნიშნული აზრის უსაფუძვლობას, ხაზს უსვამს, რომ საბინინის წიგნი ძლიერ სინდისიერად არის შედგენილი და გამოცემული და რომ მ. საბინინი ღრმა მადლობის ღირსია ასეთი შესამჩნევი განძის შეკრების, შედგენისა და გამოცემისთვის. ნიშანდობლივია, რომ წერილი ასეთი განცხადებით მთავრდება: **„ფასი წიგნისა გამონერით 17 მანეთია“.**


თვით მ. საბინინისთვის არსებითი იყო „საქართველოს სამოთხის“-ს გაყიდვის საკითხი. ეს მის მომავალთან, სასიცოცხლო პრობლემებთან იყო დაკავშირებული. მეცნიერი 1882 წლის 18 დეკემბერს ზაქარია ჭიჭინაძეს სწერდა: **„საყვარელო ძმაო ზაქარიავ! დიდი ხანია შენგან არა რაიმე**

**ბავი მაქვს. მოგილოცავ წმ. დლესასწაულთა. აი ძმაო მე ჩემი წიგნი გავათავე და ახლა შენზედაცა არის დამოკიდებული მისი გაყიდვა. ამ წიგნსა 17 მანეთადა ვყიდი და ამას გარდა ყოველი მყიდველი შემდეგ დაბეჭდვისა უფასოდ მიიღებს „მზამეტყველებას“ კათალ. ანტონ პირველისა და მოთხრობასა კათალ. ანტონ პირველისა. სრულიად მზადა მაქვს მაგრამ უფულობის გამოთ ისე მიწყვიან და გასყიდულის ფულით მინდა ქალაქი ვიყიდო და სტამბის ფასი მივცე. აბა თუ შეგიძლიან შემენიე ეხლა. ერთს წიგნს უფასოდ მიიღებ, თუ ათიოდენის ფულსა შეჰკრიბამ და ფორტით გამომიგზავნი...“**

**შენი ძმა და მეგობარი მიხაილ საბინინი“.**

სამწუხაროდ, როგორც ზემოთაც აღინიშნა, მიხეილ საბინინსა და მის კრებულს ბევრი მტერი გამოუჩნდა, „საქართველოს სამოთხეს“ ბოიკოტი გამოუცხადეს და წიგნი არ იყიდებოდა. სასოწარკვეთილი მ. საბინინი ზ. ჭიჭინაძეს სწერს: **ტფილისიდან მომივიდა ფრიად უსიამოვნო წერილი, ვითომ ჩემი წიგნები სრულიად არ იყიდება და ამის გარდა გამოგზავნის ვალი 130 მანეთიც არ იციან საიდან აიღონო. გულნაკლული მეცნიერი შემწეობას ითხოვს და თან მწარედ განიცდის მისი შრომის დაუფასებლობას. „...სრულიად არ მეგონა, რომ მე ამ უბედურებას შევემთხვეოდი, თორემ სამსახურში შევიდოდი და გარდა ჩემი თავისა არა მეცოდინებოდა რა. ქუა-ქუაზედაც ნუ იქმნებოდა. განა ჩემზედ მეტი ქართულები არავინ არიან — რატომ ისინი არა ფიქრობენ თავიანთ სამშობლოსათვის“.** აქ მეტად საგულისხმოა, რომ მიხეილ საბინინი თავს ქართველად სთვლიდა („...ჩემზედ მეტი ქართველები არავინ არიან“), ამასთან იგი ჭეშმარიტი ქართველი პატრიოტი იყო.

როგორც ჩანს, საზოგადოების ერთი (განსაკუთრებით სასულიერო) ნაწილისგან მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩაყენებულ მიხეილ საბინინს თანაუგრძნობდა გა-





მოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, ისტორიკოსი და მწერალი ზაქარია ჭიჭინაძე. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ მეცნიერის გულისტკივილით დანერგილი ბევრი ბარათის ადრესატი სწორედ ზ. ჭიჭინაძეა. მას მისწერა მ. საბინინმა, რომ შევიტყვე ჩემს მტრებს უთქვამთ „თუ საბინინი აქ ჩამოვა უთუოდ მოვკლამთო. თუ მომკლამენ დიდ რამეს არ ნაიღებენ? მე კი სასუფევლის მეკერძოეს გამხდინა“.

საერთოდ, მ. საბინინის კეთილი საქმეებისადმი უდიერი დამოკიდებულება მეცხრამეტე საუკუნის ბოლო ოცნლეულის გადაგვარებული სამღვდლოებიდან მოდიოდა. სამღვდლოების გავლენა კი ქვეყანაში დიდი იყო და მისი ამგვარი პოზიცია არც იმ დროის ზოგიერთი სამოქალაქო პირისთვის იყო უცხო.

მიხეილ საბინინი დიდად აფასებდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობას. მან 1893 წელს საზოგადოებას შესწირა ივანე ბატონიშვილისგან ნაბოძები რიგი ხელნაწერები. საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცულია მ. საბინინის წერილი, რომელშიც იგი უმოჩილესად სთხოვს საზოგადოებას, რომ მისგან გადაცემული „წერილები“ დაიცვან, თან დასძენს: „ეს წერილები ბატონიშვილის ივანესაგან მქონდა ნაბოძები და აქმომამდე ვინახავდი — და ამის პირი გადავინერე ჩემს ავტო-

**მ. საბინინმა საიმპერატორო საზოგადოების წიგნთსახავს შესწირა XI-XII საუკუნეების „მშვენივრად მორთული და დანერგილი ქართული სახარება შესანიშნავი მინიატურებით“**

ბიოგრაფიას შინა — დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიისათვის“.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადაუწყვეტია მიხეილ საბინინისაგან შეეძინა „საქართველოს სამოთხეში“ დაბეჭდილი ილუსტრაციების კლიშეები 600 მანეთად. მეცნიერს 25 სურათის კლიშე გადაურჩევია.

მიხეილ საბინინმა ჯერ კიდევ 1889 წელს შესწირა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსახავს სურათი „დიდება საქართველოს ეკლესიისა“. არაერთ კულტურულ დაწესებულებას შესწირა „საქართველოს სამოთხეც“. ამის შესახებ ცნობები დაცულია მეცხრამეტე საუკუნის ბოლო ოცნლეულის პრესის ფურცლებზე. გაზეთმა „ივერიამ“ 1889 წლის 18 მაისს მოათავსა კავკავის ქართული სკოლის ხაზინადარის ილარიონ გიორგის ძე ბაქრაძის მადლობის წერილი: „ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით მადლობა გამოვუცხადო ბ-ნ მიხეილ პავლეს ძე საბინინს, რომელმაც შესწირა კავკავის ქართული სკოლის

წიგნთსახავს თავისი წიგნი „სამოთხე“. „მწყემსი“ მკითხველს აწვდის ცნობას, რომ მ. საბინინმა საიმპერატორო საზოგადოების წიგნთსახავს შესწირა XI-XII საუკუნეების „მშვენივრად მორთული და დანერგილი ქართული სახარება შესანიშნავი მინიატურებით“. გაზეთი აქვე სვამს შეკითხვას: „საინტერესოა შეიტყოს კაცმა თუ საიდან მოიპოვა მ. საბინინმა ეს ძველი და ჩვენი ისტორიისათვის შესანიშნავი ნაშთი?“

მ. საბინინი ყველგან კრებდა საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებულ მასალას. მას ერთი მენვრილმანისგან შეუძენია სიგელ-გუჯრები, სამეფო განჩინება, საეკლესიო გადაწყვეტილება და სხვ.; მასალები საქართველოში კათოლიკობის გავრცელების, ანტონ კათალიკოსის, ზაქარია გაბაშვილის და სხვათა შესახებ. ამ მასალათა მფლობელი თავის დროზე პლატონ იოსელიანი ყოფილა. მისი სიკვდილის შემდეგ კი ზემოხსენებულ მენვრილმანეს ჩავარდნია ხელთ.

**მიხეილ საბინინის სახელთან არის დაკავშირებული ბოდბის ტაძრის განახლება და მასთან რუსი და ქართველი მონაზვნებისათვის დედათა მონასტრის დაარსება.** მან ფული შეაგროვა და სთხოვა საქართველოს ეგზარქოსს პალადის და უწმიდეს სინოდს ნება დაერთოთ ბოდბეში დედათა მონასტრის დაარსებისა და მასთან სახელსაქმო სკოლის გახსნისა. გაზეთი „მწყემსი“ ამგვარ ნამოწყებას გარკვეული პესიმიზმით შეხვდა: „ღმერთმა კეთილი ჰქნას, მაგრამ ჩვენ ძალიან ეჭვი გვაქვს, რომ ამ კეთილი საქმისათვის ბ. საბინინს იმდენი ფულეები ჰქონდეს შეკრებილი, რომ ამ

**მიხეილ საბინინმა ჯერ კიდევ 1889 წელს შესწირა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსახავს სურათი „დიდება საქართველოს ეკლესიისა“. არაერთ კულტურულ დაწესებულებას შესწირა „საქართველოს სამოთხეც“. ამის შესახებ სწოება იმდენი მისხარება საუკუნის ბოლო ოცნლეულის პრესის ფურცლებზე.**



ფულით შეიძლება მონასტრის და სკოლის დაარსება“. მ. საბინინის დიდი მოქალაქეობრივი ვაჟკაცობა სწორედ ისაა, რომ მან ყველა წამოწყებული საქმე, მიუხედავად მრავალმხრივი წინააღმდეგობისა, ბოლომდე მიიყვანა. ასე მოხდა ზემოხსენებული საქმის მიმართაც. ამის შესახებ წერდნენ „ნოვოე ვრემია“ და „ივერია“.

„მწყემსი“ (1889 წლის №5) აუწყებდა მკითხველს: „რუსული გაზეთი „ნოვოე ვრემია“ იუწყება, რომ მ. საბინინის თხოვნა შეუწინააღმდეგებია უწმ. სინოდს. როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ბ. საბინინმა სთხოვა უწმ. სინოდს ნებადართვა, რომ სიღნაღის მაზრაში დაარსებული ყოფილიყო დედათა მონასტერი რუს და ქართველ მონაზონებისათვის და ამ მონასტერთან სახელსაქმო სკოლა ამ მაზრის მკვიდრთა ღარიბ ყმაწვილებისათვის. უწმიდეს სინოდს ნება მიუცია, რომ ამ საქმისათვის მოიკრიბოს შეწირულებანი“. გაზეთი აქაც ხაზგასმული პესიმიზმით ხვდება ამ გადამწყვეტილებას და დასძენს: „ღმერთმა ჰქნას, რომ ეს შეწირულებანი მოხმარებული იყოს დაწინაურებისამებრ“.

**მიხეილ საბინინის მცდელობით შეპროვდა ზოდის ტაძრის კუთვნილი დიდძალი ძვირფასი ნივთიანი, რომლებიც სიონის წინ იქნა გამოფენილი.** შემდეგ, წესისამებრ, ისინი აკურთხეს და დაუბრუნეს ძველ ადრესატს. ტაძრის სამრეკლოს გუმბათი დაედგა და დაუბრუნდა ცხრამეტფუთიანი ჯვარი. მონესრიგდა წმ. ნინოს საფლავი და გალამაზდა ეზო, რომელიც ადრე პირუტყვის საძოვრად იყო გადაქცეული. ყოველივე ამის აღსანიშნავად დიდი დღესასწაული გაიმართა, რომელსაც დიდძალი ხალხი დასწრებია. დამსწრეთა შორის იმდროინდელი პრესა მოიხსენიებს: „მაზრის მმართველს თავისი ქვეშევრდომებით, მაზრისავე მსაჯულს, ადგილობრივი პროკურორითა და თანამშრომლებით“.

მიხეილ საბინინის წვლილი საყოველთაოდ იქნა აღიარებული.

**ცალკე უნდა აღინიშნოს მ. საბინინის მიერ განეული შრომა გარეჯის მონასტრის მოვლა-მონესრიგებისათვის.** მონასტერში ჩაიტანა შეწირული ფულით პეტერბურგსა და მოსკოვში შეძენილი ძვირფასი ნივთები, რომელთა შორის გამოირჩეოდა ამერიკული ნიგვზის მოქრული და მომინაქრებული კანკელი, დავით გარეჯელის საფლავის საფარი-შესამოსელი, ჯვრები, სხვადასხვა საეკლესიო ჭურჭელი, საღებავი და სხვ. მას გაუთხრია წმ. დოდოს საფლავი, რომელიც უყურადღებოდ ყოფილა მიტოვებული და გადაუსვენებია დავითის მონასტერში. მ. საბინინის ამგვარ მოქმედებას საზოგადოების ერთი ნაწილის უკმაყოფილება გამოუწვევია. ივანე ბერძენოვი „დროებაში“ აღფრთხილებული წერდა: „არ ვიცი, რაოდენათ უნდა იყოს გასაოცებელი ამგვარი საქმე ყველასთვის... ვინც მივა წმინდის გრძნობით მამა დავითის საფლავის თაყვანის-საცემელად და ერთბაშად დაინახავს იქვე წმ. დოდოს კუბოს!“

ორიოდე კვირის შემდეგ იგივე „დროებაში“ დაბეჭდა მ. საბინინის პასუხი, რომელშიც მეცნიერის რისხვა გამოსჭვივის არა მარტო ი. ბერძენოვის, არამედ ყველა უმადურის მიმართ. საერთოდ დიდი ტაქტის მ. საბინინი „პასუხში“ დაუფარავად წერს: „ყველაზე უწინარეს მიიღეთ ჩემგან მცირე დარიგება და შეითვისეთ, რომ ვინც კი ვიცით რაოდენიმე ჯღაბნა, წარა-მართ როდი უნდა დავინყოთ მარჯვნივ და მარცხნივ ლაპარაკი“. თქვენ ფრიად ყმაწვილურად მოიქეცითო, — მიმართავს მ. საბინინი და ასაბუთებს წმ. დოდოს ძვლების გადასვენების აუცილებლობას, „მაშ ისიც ისე უნდა დაკარგულიყო, როგორც დაიკარგნენ საფლავნი წმიდათა გარეჰსჯისათა ლუკიანესი, პავლესი, თეოდოსესი, არსენისა, იოანესი, შიო-ახლისა და სხვათა“. მეცნიერი მოაგონებს, რომ გარეჯის მონასტერში არსებული ერთადერთი ეგზემპლარი ნიგნისა

„ჯვარ შემოსილი“, „ვითარცა მპარავმა წარმოიღეთ სხვათ წიგნთათნა უდაბნოდგან... და იარმუკებში ჰყიდით ხოლმე. ამის გამო არამც თუ საუკუნოდ დავკარგეთ წმ. გარეჰსჯელთა საფლავნი, არამედ მათი ხსენებაცა“.

**მ. საბინინი მთელი სიმკაცრით ამხელს იმდროინდელი ქართული საზოგადოების ერთი ნაწილის დაუღებრობას, თვით უმოქმედობას და სხვისი ხელის შეშლისკენ სწრაფვას.**

„...მიკიტხანებს, ცირკებს, კალუჩის ბალებს, მუშტაიდებს და მისის თანმხლებს მტილებს რაღა გადაურჩა? განა თვით წინამძღვრები არა ცდილობენ მონასტრების მოსპობასა?... ვინ გააუქმა წმ. შიოს ლავრა? ვინ გააუქმა წმ. სტეფან ხირსელის მონასტერი? ვინა ჰსპობს ქვათახევის მონასტერს?“ — ასეთი ბრალდებით მიმართავს მეცნიერი საზოგადოებას. არ შეიძლება მ. საბინინის საქმიანობაში არ დავინახოთ მისი სულიერი სიახლოვე „თერგდალეულებთან“, კერძოდ, ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელთან.

მიხეილ საბინინი მოსკოვში გარდაიცვალა და იქვე დაიკრძალა. მისი ოცნება იყო საქართველოში დაკრძალულიყო, გარეჯის მონასტერში. მისი მუდარა „დამმარხეთ საქართველოშიო“ აუსრულელებელი დარჩა. 1904 წლის 27 ოქტომბერს მღვდელ-მონაზონი ტარასი „ივერიაში“ წერდა საქართველოს ისტორიისთვის მოსკოვის დიდი მნიშვნელობის შესახებ და გულისტკივილით აღნიშნავდა: **„საბინინის უპატრონოდ და ოვლად დარჩენილი საფლავი ვნახე და ტირილი მომივიდა... ჭიჭიარითა და ეკუთვნიდა იმ კაცს, სურვილისამებრ მისისა, ჰღირსეპოდა... მონასტერში (გარეჯის მონასტერია მხედველობაში, — რ. მ.) სამი არხინი ცივი დედამინა. მაგრამ ვინ არის, სად არის, რომ დღეს უფასოდნენ ადამიანს ან საქმეს და ან პრომას“.**






თამაზ ჭარაქაშვილი:

# დაუყოვნებლივ უნდა ვიზრუნოთ სამაგულო ქალაქის წარმოებაზე, რას, უპირველესად, გაგზავნის გაშენებას გულისხმობს

საქართველოში ბამბუკის კულტურა პირველად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ბოტანიკური ბაღის დამაარსებელმა, პროფესორმა ი. კრასნოვმა შემოიტანა. შორეულ აღმოსავლეთში, კერძოდ, ჩინეთ-იაპონიაში, მოგზაურობისას შეიძინა ორიოდე ათეული ბამბუკის ნერგი და ჩაქვის საუფლისწულო მამულის საკოლექციო ნაკვეთში დარგო, საიდანაც მალე თითქმის მთელ საქართველოში გავრცელდა და დაახლოებით 3267 ჰექტრამდე ფართობი დაიკავა. „მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ, ბუნების მიერ მზამზარეულად მორთმეულ ამ წყალობასაც კი ვერ მივაგეთ სათანადო პატივი და განსაკუთრებით ბოლო 2-3 ათეული წლის განმავლობაში ლამის გადაშენებამდე მივიყვანეთ“, — წუხს ბიოლოგი თამაზ ჭარაქაშვილი (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის თბილისის ბოტანიკური ბაღის ყოფილი უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, მეტყვევ-ინჟინერი), რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება ამ კულტურის მოვლა-მოშენებას შეაღწია და დღესაც მისი გაშენების სარგებლობაზე გვესაუბრება.



ბამბუკის კულტურა მსოფლიოში ცნობილია როგორც ძვირფასი, უნიკალური ფიზიკო-მექანიკური და ქიმიური თვისებების მქონე მცენარე. მისგან დაახლოებით ხუთასამდე სამრეწველო და სამეურნეო მოთხოვნილების პროდუქციას აწარმოებენ. მის მერქანს ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან იყენებდნენ სუვენირების, ავეჯისა და სხვა მთელი რიგი საოჯახო თუ სამრეწველო ნივთების დასამზადებლად. ბამბუკს კვებითი ღირებულებითაც უნიკალური თვისებები გააჩნია. ამერიკაში, ჩინეთში, იაპონიასა და მსოფლიოს რიგ სხვა ქვეყნებში ბამბუკის ნორჩი ყლორტებისგან ძალზე გემრიელ კერძებს ამზადებენ. გარდა ამისა, მედიცინაში დიდი წარმატებით გამოიყენება ბამბუკის სპირტი.

საინტერესოა ის გარემოებაც, რომ ბამბუკი ანტისეპტიკური

თვისებებითაც ხასიათდება, რის გამოც იგი ძალზე იშვიათად ავადდება და თავადაც ნაკლებად წარმოადგენს დაავადების კერას.

**ბამბუკის მერქანი**, როგორც ლამაზი, მსუბუქი, გამძლე და იაფი მასალა წარმატებით გამოიყენება, აგრეთვე, ქვეყნის თავდაცვით საქმიანობაში, კერძოდ, თანამედროვე საავიაციო, სარაკეტო, წყალზედა და წყალქვეშა გემთმშენებლობაში ინტერიერების მოსაპირკეთებლად, დეკორატიული ავეჯის დასამზადებლად და სხვ.

ამასთანავე, იგი ძალზე მჭიდრო და კომპაქტურ ვარჯს ივითარებს, რომელიც ფოთლის ჩამოცვენისას ქმნის საკმაოდ სქელი ფენის მულჩს, რომელიც ესოდენ სჭირდება მას ნიადაგში, როგორც ტენის, ასევე სითბოს შესანარჩუნებლად, მისთვის სასიცოცხლო პირობების შესაქმნელად.

**ბამბუკის მულჩი აქტიურად უწყობს ხელს ნიადაგის როგორც დაცვითი, ისე აღდგენითი პროცესების წარმართვას.** სხვა მცენარეებისგან განსხვავებით, იგი ივითარებს მეტად თავისებური ფორმისა და აგებულების (3-4 მეტრიან თოკისებურ, მსობავ) ძალზე მძლავრ და რთულ ფესურათა სისტემას, რომელიც მულჩთან ერთად „არმატურასავით“ კრავს და ამაგრებს ნიადაგის ნაყოფიერ ფენას, საიმედოდ იცავს მას ჩამოფხვიერებისა და ჩამორეცხვისგან, ღრანტეების გარეწვისგან წყალდიდობისა და ღვარცოფების შემთხვევაში და საერთოდ, მწვავე კატასტროფული ეროზიული მოვლენებისგან. ამასთანავე, ხელს უწყობს ნიადაგის აღდგენით პროცესებს და ა. შ. აქედან გამომდინარე, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, გონიერი მეურნე ბამბუკს მხოლოდ იმიტომ გაა-



შენებდა ჩვენი მდინარეების, არხების, ტბებისა და ზღვების ნაპირებზე (თბილისის ზღვა, შავი ზღვა), მითუმეტეს მკვეთრად დაქანებულ, გამეჩხერებულ და დეგრადირებულ ტყეებში, რომ დაეცვა და გადაერჩინა სტიქიური მოვლენებისგან ბუნება და ა. შ.



ბამბუკი ყინვაგამძლე და გვალვის ამტანიცაა. ამასთან, სწრაფად იზრდება (ზოგჯერ დღე-ღამეში მეტრამდეც კი) და თანაც ზრდას ერთ სავეგეტაციო პერიოდში, დაახლოებით 45-50 დღეში, ამთავრებს. მას ყველაზე მეტად მიესადაგება დღეს მოარული ფრაზა: „ეკონომიურია ის, რაც ეკოლოგიურია“.

ყველა ამ ღირსების ფონზე, ბამბუკს განსაკუთრებით გაუთქვა სახელი მთელ მსოფლიოში იმ გარემოებათ, რომ იგი ოდითგანვე ცნობილი არის როგორც უაღრესად ძვირფასი, უნიკალური ნედლეული **მალახარისხოვანი ქალაქის დასამზადებლად**, მაგალითად, ჩინეთში, იაპონიაში, ინდოეთში, ამერიკასა და მთელ რიგ სხვა ქვეყნებში მისგან დღეს, სულ მცირე, ასამდე ასორტიმენტის ქალაქს აწარმოებენ, დაწყებული უხეში მუყაოდან, დამთავრებული ძალზე თხელი, სიფრიფანა ქალაქით, რომელიც არაფრით ჩამოუვარდება საქვეყნოდ ცნობილ პაპირუსის ქალაქს.

მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ ბამბუკი ქალაქის წარმოებისთვის ყველაზე საუკეთესო ნედლეულს, ცელულოზის სახით, იძლევა დროის ძალზე მოკლე პერიოდში, დაახლოებით 3 თვეში და თანაც 7-ჯერ მეტი რაოდენობისას, ვიდრე, მაგალითად ფიჭვის, ნაძვის, ევკალიპტის... ტყეები.

უფრო მეტიც, მაგალითად: **თუ ჩვენ გარკვეულ ფართობზე გაშენებული ფიჭვის ტყის საბალანსო მერქნის ოდენობას შევადარებთ იმავე მოცულობის ფართობზე არსებულ ბამბუკის პლანტაციების მერქნის საბალანსო ოდენობას, ჭრის ციკლის მიხედვით, დავინახავთ, რომ ყოველ ერთეულ ჰექტარზე, ბამბუკის კორომი დაახლოებით 700-ჯერ მეტ ცელუ-**

**ლოზის მასას გვპირდება, ვიდრე ფიჭვის ტყე.**

ამიტომ ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა ვიზრუნოთ სამამულო (ქართული) ქალაქის წარმოებაზე, რაც, უპირველესად, გულისხმობს ბამბუკის პლანტაციების გაშენებას ფართო მასშტაბით.

თავიდანვე დიდი შეცდომა იქნა დაშვებული იმ მხრივ, რომ არ გაითვალისწინეს მისი ბიო-ეკოლოგიური თვისებები და მას, როგორც ტროპიკებიდან სუბტროპიკებისკენ გარდამავალი ტყეების ხემცენარეს, თავიდანვე მუდმივად გილსამყოფელოდ არ მიუჩინეს ტყე! შეიძლება ითქვას, რომ ბამბუკი „მოხეტიალე“ კულტურად ვაქციეთ.

**აუცილებელია მებამბუკეობის მოქცევა ერთიან სახელმწიფო სტრუქტურაში, რადგან ის ერთადერთი (და არა ერთ-ერთი) ხემცენარეა საქართველოს სინამდვილეში, რომლისგანაც დარგვის დღიდან, ტყის ადგილობრივ ჯიშებთან შედარებით, სულ მცირე, 5-6-ჯერ ნაკლებ დროში შეიძლება განარმოთ ათეულობით ასორტიმენტის უმაღლესი ხარისხის სამამულო (ქართული) ქალაქი.**

იმისათვის, რომ სამამულო ქალაქი განარმოთ და ქვეყანა სრულად დავაკმაყოფილოთ ადგილობრივი ნედლეულით, სულ მცირე, ასი-ასოცდაათი მილიონი ბამბუკის ნერგისგან გაშენებული სრულყოფილი პლანტაციებია საჭირო, რაც დაახლოებით 10-12 ათას ჰექტარს უდრის. ამდენი ნერგის შექმნა უცხოეთიდან, ისიც უცხოურ ვალუტაზე, ცხადია, არასოდეს მოხერხდება, ამიტომაც, საქმეს აქვე დროულად უნდა მივხედოთ.

ეს საკითხი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში იუნესკოს ეგიდით გამართულ სესიაზეც დავაყენეთ (სესია საინჟინრო ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის პრობლემების დროულად და ეფექტიანად გადაჭრისადმი იყო მიძღვნილი).

პრეზიდენტმა და სესიის მონაწილეებმა ერთხმად დაგვიჭირეს მხარი და სესიის რეზოლუციაში მაშინვე შეიტანეს საქართველოში ბამბუკის კულტურის გაშენების საკითხი, როგორც მცენარის, რომელიც წარმოადგენს მწვავე ეკოლოგიური ფაქტორების (ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიების) წინააღმდეგ ბრძოლის, გამეჩხერებული და დეგრადირებული ტყეების დაცვის საუკეთესო საშუალებას და ა. შ.

ამასთანავე, სესიამ აღგვითქვა, რომ იგი ქმედით დახმარებას გაუწევს საქართველოს მებამბუკეობის ასოციაციას, რომელიც 1995 წლიდან არსებობს. ასოციაციას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ ქვეყნის რიგ უმაღლეს სასწავლებლებში შეიქმნას მებამბუკეობის კათედრები, სექტორები და ლაბორატორიები, მაგალითად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში და სხვ.

დღეს კი დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებანი:

— ბამბუკი, როგორც უდიდესი პოტენციის მქონე მცენარე, ჩაისა და ვაზის კულტურის შემდეგ, უნდა გამოცხადდეს რიგით მესამე სტრატეგიულ კულტურად;

— რესპუბლიკაში არსებული ბამბუკის პლანტაციები უნდა გამოცხადდეს სახელმწიფო ნაკრძალებად და სანერგე მეურნეობებად, აიკრძალოს მათი ნებისმიერი სახის ექსპლუატაცია;

— უნდა გამოცხადდეს „სახალხო ლაშქრობა“ რეგიონების მიხედვით ბამბუკის პლანტაციების გასაშენებლად.

საუბარი ჩაიწერა **და სვანოქა**



# ევრაზიის ერთ-ერთი უძველესი ადამიანი ქართველი იყო

დმანისის ნაქალაქარში მიმდინარე კვლევის დროს მეცნიერებმა კიდევ ერთი უნიკალური თავის ქალა აღმოაჩინეს, რითაც საქართველომ მთელი მსოფლიოს ყურადღება კიდევ ერთხელ მიიპყრო. მისი ავტორები დავით ლორთქიფანიძე, აბესალომ ვეკუა და ანი მარგველაშვილი არიან.



დმანისის უმნიშვნელოვანეს აღმოჩენას, მთელი მსოფლიოს სამეცნიერო ჟურნალ-გაზეთები გამოუხმაურნენ.

2005 წლის არქეოლოგიური გათხრებისას 1,8 მილიონი წლით დათარიღებულ ფენაში აღმოჩენილი თავის ქალა ლაბორატორიულად 8 წლის განმავლობაში მუშავდებოდა. ამავ ენდვიდს მიეკუთვნება 2000 წელს აღმოჩენილი ქვედა ყბა. ეს ნიმუში ზრდასრული ინდივიდის ერთადერთი, საუკეთესოდ შემონახული თავის ქალაა.

აკადემიკოსი აბესალომ ვეკუა დავით ლორთქიფანიძესა და ლეო გაბუნიასთან ერთად იკვლევდა აღნიშნულ თავის ქალას.

მეცნიერებს მიაჩნდათ, რომ აფრიკაში მცხოვრები ადამიანები

მილიონ-ნახევარი წლის წინ იმ ტერიტორიაზე ვითარდებოდნენ და ნახევარი მილიონი წლის წინ გადაბარგდნენ ევრაზიაში. დმანისის არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდა, რომ დაახლოებით მილიონ 800 ათასი წლის წინ საქართველოში უკვე ბინადრობდა ჰომინიდი, რომელიც მსგავსი იყო აფრიკული ჰომინიდისა. უფრო მეტიც, არა მხოლოდ ბინადრობდა, არამედ შთამომავლობაც კი შექმნა.

„ჩვენ გვაქვს ჰომინიდის ყველაზე ღრმა მოხუცის თავის ქალა და ქვედა ყბა, რომელსაც არც ერთი კბილი არ გააჩნია, მაგრამ საინტერესო ის არის, რომ ამ ყბებზე კბილების ფოსოები ძვლის ქსოვილითაა შევსებული. ეს იმას ნიშნავს, რომ, როცა ამ

უძველესმა ადამიანმა კბილები დაკარგა, იმის მერეც გააგრძელა სიცოცხლე, მაშასადამე, ამ ადამიანზე ვილაც ზრუნავდა. ჩვენ გვაქვს შუახნის ადამიანის თავის ქალაც და ქვედა ყბაც, ასევე — მოზარდის ქვედა ყბა, რაც იმას ნიშნავს, რომ, როცა ადამიანმა ფეხი მოიკიდა სამხრეთ კავკასიაში, განიცადა ტრანსფორმაცია და სწორედ აქედან გავრცელდა როგორც აზიისკენ (აღმოსავლეთში), ისე ჩრდილოეთისკენ. დღეს ერთ-ერთი ფრანგული





ყურნალი წერს, რომ საქართველოში აღმოჩნდა ევრაზიის ერთ-ერთი უძველესი ადამიანის კვალი. იგი არც გერმანელია, არც ფრანგი, არც ესპანელი და არც ინგლისელი... ის არის ქართველი. თუ მსოფლიოს ანთროპოლოგები ეჭვის თვალით და სკეპტიკურად უყურებდნენ ქართველი მეცნიერების აღმოჩენასა და დასკვნებს, დღეს ეს დასკვნები მსოფლიოში აღიარებულია“, — განაცხადა ჩვენთან საუბრისას აკადემიკოსმა **აბესალომ ვეკუაშვილმა**.

„ახალი აღმოჩენა, პირველ რიგში, ძალიან მნიშვნელოვანია ქართული მეცნიერებისთვის. თემა, რომელიც დმანისთანაა დაკავშირებული, არის მსოფლიო მნიშვნელობის პრობლემა.

დმანისის მთავარი მნიშვნელობა ისაა, რომ აქ არის ყველაზე სრულყოფილი ნიმუში, რომელიც გვაძლევს საშუალებას, შევის-

წავლოთ არა იზოლირებული ნამარხები, არამედ მთელი ჯგუფი, პოპულაცია. ეს გარკვეულწილად არის შესაძლებლობა, რომ ადრეული ჰომოს შესწავლა მოხდეს პოპულაციური ბიოლოგიის საშუალებით. რომ წარმოიდგინოთ ის, რასაც ვგულისხმობ, უფრო დანვრისებრ აგიხსნით. აფრიკაში არის სხვადასხვა ადგილას იზოლირებული თითო ნამარხი და შემდეგ მათ ერთმანეთთან აჯგუფებ. აქ ყველაფერი ერთ ადგილასაა, ყველა ერთი ხნის და პლუს დიდი მასალა, 5 თავის ქალა, რაც ძალიან პრინციპული საკითხია. დაახლოებით რომ წარმოიდგინოთ, ეს არის დროის კაფსულა ერთ ადგილას შეჩერებული. აღმოჩენა, რაც წარმოვადგინეთ, არის ადრეული ჰომოს ყველაზე სრულყოფილი თავის ქალა მსოფლიოში, რომელიც გვაძლევს საშუალებას, სხვადასხვა

ტიპის ინფორმაცია მივიღოთ. ამ ყველაფერმა ერთად მოგვცა საშუალება, გვეთქვა, რომ ეს ნამარხები, ხუთივე თავის ქალა, წარმოადგენს ერთ ჯგუფს, მიუხედავად განსხვავებებისა მის შიგნით. ეს აჩვენებს გვარი ჰომოს გავრცელების ხაზს. რას ცვლის ეს? — არსებობს მოსაზრება, რომ გვარი ჰომოს ბევრი სახეობა არსებობს, მაგრამ აღმოჩენამ აჩვენა, რომ ის ნიმუშები, რომლებიც იყო გადაწვნილებული, ვთქვათ, 5 ჯგუფზე, ყველა არის კომბინირებული დმანისის ნამარხებში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ადრეული ჰომოს ხაზი იყო ერთი და იმ ფრაგმენტების, რომლებიც აღმოჩენილია აფრიკაში, საჭიროა თავიდან გააზრება“, — განგვიმარტა ეროვნული მუზეუმის დირექტორმა **დავით ლორთქიფანიძემ**.

კაკა ნასყიდაშვილი

# თბილისის უბნების სახელწოდების ისტორია

თბილისის უბნების სახელწოდებებთან დაკავშირებით საინტერესო ცნობები შემოგვინახა ისტორიამ, რაც, შესაძლოა, ბევრმა არც კი იცოდეს. მოდით გავუზიაროთ სხვებსაც, რათა რაც შეიძლება მეტმა თბილისელმა (და არამარტო) იცოდეს დედაქალაქის უბნების სახელების წარმოშობის შესახებ.

**ვარკაეთილი** — გადმოცემის მიხედვით, მას **ვერე კეთილი** ერქვა, ნაყოფიერი ნიადაგის გამო. აქვე იყო ამავე სახელწოდების სოფელიც.

**ისანი** — მე-9 საუკუნეში ამ ადგილას არაბებმა ციხესიმაგრე **ისანჰისარი** ააგეს. სწორედ ციხესიმაგრედან გამომდინარე ამ ტერიტორიას ისანი დაერქვა. მე-12, მე-13 საუკუნეში ისანში სამეფო სასახლე იდგა. მე-13 საუკუნეში ღვთისმშობლის სახელზე მეტეხის ეკლესია ააგეს, ამის გამო გვიანდელი შუასაუკუნეებიდან ისნის უბანი **ისნის ციხისა** და **მეტეხის** სახელით იხსენიებოდა.

**ორთაჭალა** — ორი სიტყვის ნაერთია: **ორთა** თურქული სიტყვაა და **შუას** ნიშნავს, შესაბამისად, ეს სიტყვა ითარგმნება, რო-

გორც **შუაჭალა**. თავის დროზე ორთაჭალა კუნძულს ერქვა, რომელსაც ორად განტოტებული მტკვარი წარმოქმნიდა. ის მარჯვენა ნაპირს ხის საცალფეხო ხიდით უკავშირდებოდა. უფრო მოგვიანებით, ორთაჭალა მტკვრის მარჯვენა მხარეს მიმდებარე ტერიტორიას ეწოდა. მე-19 საუკუნეში ორთაჭალა განთქმული იყო ბალებით და თბილისელების საყვარელ დასასვენებელ და გასართობ ადგილს წარმოადგენდა.

**თიშქა** — ამავე ტერიტორიაზე არსებული თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხნის მშენებლობის აღსანიშნავი სახელწოდება.

**სანჯონა** — იგივე **სანიტარული ზონა**, განსაკუთრებული მიკროკლიმატის გამო შეერქვა. აქ უნინ ხეხილის ბალები ყოფილა გაშენებული.

**ღრმაღელის** ადგილას თავის დროზე მშრალი ხევი ყოფილა, რომელიც დიდი წვიმების დროს ღელედ იქცეოდა. სწორედ ჩახრამული რელიეფის გამო მას ღრმაღელე დაერქვა.

**ავჭალა** — საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქის პირა სოფელი ყოფილა, ხოლო მისი მკვიდრები კი დარწმუნებულები ყოფილან, რომ ავჭალის დაჭაობებულ და გაუყვალ ადგილებში ავი სულები ბინადრობდნენ. როგორც ხალხშია გავრცელებული, ამ ცრუ რწმენიდან, **ავი ჭალიდან** გამომდინარე, თბილისის ჩრდილოეთ ნაწილში, მტკვრის მარცხენა მხარეს მდებარე ტერიტორიას სახელი ავჭალა დარქმევია.

**ვაკე** — როგორც სახელწოდება, მე-19 საუკუნეში გაჩნდა, ის დაცემულ ადგილს ნიშნავს. ვაკე ძველი ვერის (საგაბაშვილოს) ტერიტორიაზე წარმოშობილი დასახლებული პუნქტია. ის თბილისის 1907 წელს შეუერთდა.



# ელენა გოგოლევა უხანგი ჩხეიძეს თეატრში დაბრუნებას სთხოვდა

იშვიათად მოიძებნება თეატრალურ სივრცეში შემოქმედებითი ადამიანების ისეთი თბილი, ჭეშმარიტად მეგობრული და გულწრფელი დამოკიდებულება, როგორც ჰქონდათ დიდ მსახიობებს, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტებს — ვერიკო ანჯაფარიძესა და ელენა გოგოლევას. შეიძლება ითქვას, რომ მათი ურთიერთობა ქართული და რუსული კულტურების, ქართველი და რუსი ხალხების, გნებავთ, ამ ორი ერის თანაცხოვრების ერთი სახიერი გამოხატულებაა.



ასეთი დასკვნის საშუალებას იძლევა ელენა გოგოლევას მემუარები „სცენასა და ცხოვრებაში“, ნიგნი, რომელიც სცენის ამ ორი დიდი მოღვაწის ცხოვრების წლებში გამოიცა და დღესაც არ კარგავს აქტუალობას, ცხადია, ადამიანების იმ მასისთვის, რომელიც, ერთის მხრივ, ველიკო-დერჟავული შოვინიზმის, მეორე მხრივ, აგრესიული ნაციონალიზმის „იდევით“ მონამღული არ არის.

„საქართველო, დიდი ხანია, მიყვარს, — წერს ელენა გოგოლევა. — რესპუბლიკის ბუნება, მისი კულტურა, მისი დიდი მსახიობები... ვერიკო კი ჩემთვის იმიტომაც იყო ახლობელი, რომ იგი ჩემი სათაყვანებელი მარჯანოვის გამორჩეული და საყვარელი მოსწავლე იყო. დღემდე ვგრძნობ ჩვენს სულიერ ნათესაობას. ჩვენ არასოდეს ვუგზავნიდით ერთმანეთს გრძელ უსტარებს, მაგრამ მე სათუთად ვინახავ ვერიკოს პატარა ღია ბარათებს“.

დიდი მეგობრობა, კონკრეტულ პიროვნებებში განსახიერებელი, რომელიც მთელ ქვეყანაზე ვრცელდება. ტყუილად არ არის ნათქვამი, რომ თითოეული ადამიანი თავისი ერის დესპანია.

ორივე — ელენა გოგოლევა და

ვერიკო ანჯაფარიძეც, უდიდესი პატივისცემის ღირსია არამარტო დიდი ტიტულების (ორივე სსრკ სახალხო არტისტი იყო), არამარტო საქვეყნო აღიარების გამო (ისინი სტალინური პრემიის არაერთგზის ლაურეატები იყვნენ), არამარტო მათი შემოქმედების მიმართ სახალხო სიყვარულისთვის, თუმცა ეს ყველაფერი უაღრესად მნიშვნელოვანია, არამედ იმიტომ, რომ შექმლეთ დაეფასებინათ, გაეთავისებინათ, პატივისცემით მოპყრობოდნენ ორი ერის სულიერ საგანძურს ჭეშმარიტი მეგობრობის საფუძველზე.

დავარქვათ ამას ინტერნაციონალური მეგობრობა, თავისი პირვანდელი მნიშვნელობით და არა პროპაგანდისტული ხშირი ხმარებისგან გაცვეთილ-დაშტამპული სიყალბე.

**როცა ებრაელი კარლ გუცკოვის პიესას, სცენაზე სპექტაკლად განსახიერებულს, გვირგვინად დაედგმება ქართველი ვერიკო ანჯაფარიძისა და რუსი ელენა გოგოლევას მიერ ბრწყინვალედ შესრულებული ივდითი, ეს ინტერნაციონალური ერთობაა, ანუ ხელოვნების ინტერნაციონალური არსის საჯარო დემონსტრაცია.**

გასული საუკუნის ოციანი წლე-

ბი იყო, როცა ელენა გოგოლევამ პირველად იხილა ვერიკო „ურიელში“ (მარჯანიშვილის თეატრმა მოსკოვში ჩაიტანა თავისი ეს დადგმა): „მაშინ, სპექტაკლში „ურიელ აკოსტა“, — იხსენებს გოგოლევა, — პირველად ვიხილე ვერიკო ანჯაფარიძე — დღესაც საქართველოს პირველი მსახიობი ქალი...“

არ შემიძლია დავივიწყო მისი, თეთრ სამოსელში გამონყობილი ფიგურა, როცა იგი ისმენდა რაბინის წყევლას. იგი იხრებოდა, როგორც მოტეხილი ყვავილი, თავით თითქმის უწევდა იატაკს, უცებ გასწორდებოდა და მრისხანე პროტესტით ძალამიცემული მგზნებარედ სტყორცნიდა ფრაზას: „შენ ცრუობ, რაბინ!“ დღემდე თვალწინ მიდგას ეს სცენა, დღემდე ჩამესმის ვერიკოს ლამაზი ხმა. მე მშურდა მისი, იმიტომ, რომ თვითონ ვოცნებობდი, მეტამაშა იუდიფი, მშურდა და ვტკბებოდი მისი თამაშით, მშურდა და შეძრული ვიყავი მისით, მშურდა და ვაღმერთებდი...

ეს იყო ჩემი პირველი შეხვედრა ვერიკო ანჯაფარიძესთან“...

გადის წლები და აღფრთოვანება ვერიკოთი არ ნელდება: „...მისი თამაში შეგძრავდა, გაჯადოებდა. მე არ ვთაკილობდი, მესწავლა



ვერიკოსგან“. ეს უკვე სხვა დროს და სხვა როლის გამოა ნათქვამი — ლედი მაკბეტის ვერიკოსეულ განსახიერებაზე შექსპირის ტრაგედიაში „ლედი მაკბეტი“.

გოგოლევა მაყურებლის პოზიციიდან კი არ შეჭოფინებს ვერიკოს, არამედ პროფესიულად აფასებს მის შემოქმედებას. მოსკოვში, ანჯაფარიძის შემოქმედებით საღამოზე მის მიერ შესრულებული ამ როლის შესახებ წერს: „თამაშობდა ვერიკო... ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესო ორ სცენას „მაკბეტიდან“. უწინარეს ყოვლისა, სცენას, რომელიც მე არაფრით გამომდიოდა თეატრში — ლედი მაკბეტი კითხულობს წერილს იმის შესახებ, რომ დუნკანი ჩამოვა მათთან და ღამესაც გაათევს. ვერიკომ ისეთი ტემპერამენტი გამოამჟღავნა, სული ეკვრებოდა გიჟური სიხარულისგან, რადგან ესახებოდა გვირგვინის ხელში ჩაგდების შესაძლებლობა... სიგიჟის სცენა კი, მეჩვენება, მე უფრო სწორად გამომდიოდა“.

რეალისტურად აფასებდა. მათ აახლოებდათ ის, რომ ორივენი „ერთსა და იმავე როლებს ვთამაშობდით“.

თამაშობდნენ და გოგოლევას სურდა, რომ ვერიკოსაც განესახიერებინა ერთი როლი, რომელიც „მცირე თეატრის“ რეპერტუარში იყო:

**„ჩვენი მეგობრობა იმდენად ძვირფასია ჩემთვის, — აღნიშნავს იგი, — რომ ჩემი ბოლო როლი, მამურე ჟ. სარმანის ამავე სახელწოდების პიესაში, რომელიც ძალიან მიყვარს და ვუფრთხილდები... მსურდა, მეხილა ვერიკოს შესრულებითაც. მივწერე ამის შესახებ გრძელი წერილი, შეიძლება, ზედმეტად ვრცელი წერილი. ვფიქრობ, რომ გაცდენის პერიოდი, რომელიც მსახიობებს აუცილებლად დაუდგებათ ხოლმე და რომელსაც დღეს ვერიკო განიცდის, შეიძლება დასრულდეს მამურეს როლის შესრულებით. ამ როლით კვლავ გაბრწყინდება მისი მეფური, დიდი ტრაგიკული ნიჭი“.**

ზრუნვისა და თანადგომის იშვიათი ნიმუშია.

ასეთივე ზრუნვა გამოამჟღავნა მან სცენიდან უდროოდ წასული უნიკალური ნიჭიერებით დაჯილდოებული უშანგი ჩხეიძის მიმართ.

**„ვერიკოს პარტნიორი უშანგი ჩხეიძე ძალიან საინტერესო აქტიორი იყო, — წერს გოგოლევა, — და ტრაგიკული ბედის აქტიორი. იგი გასაოცრად თამაშობდა ურიელ აკოსტას. მე ოსტუჟევთან ერთად ვთამაშობდი იუდიფს სრულიად განსხვავებულ დადგმაში: უფრო დამინებულ, მაგრამ ინტელექტუალური თვალსაზრისით უფრო ღრმა სპექტაკლში. ოსტუჟევი უფრო ძლიერად აქცენტირებდა აკოსტას ფიქრს, აზრს, დარწმუნებულობას. ჩხეიძე, ნაწილობრივ იმის გამო, რომ ოსტუჟევი გაცილებით უფრო ახალგაზრდა იყო, აგრეთვე, იმის გამოც, რომ სხვა სტრუქტურის მსახიობი იყო, „აკოსტაში“ ძალიან რომანტიკული, მსუბუქი, დახვეწილი იყო. და ამ სახით როლი ზუსტად ინერებოდა მარჯანიშვილის დადგმაში, რომელიც ასეთივე რომანტიკული და დახვეწილი იყო“.**

გოგოლევა ძალიან შეაწუხა ცნობამ იმის შესახებ, რომ უშანგი ჩხეიძემ სცენა დატოვა, ემინია ხალხის წინაშე გამოსვლა. „ეს რაღაც ფსიქიკური აშლილობა იყო. ერთხელ, ბორჯომში ყოფნისას შევიტყვე, რომ უშანგიც იქ იმყოფებოდა. და, მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთს არ ვიცნობდით, გადავწყვიტე მასთან მისვლა. მსახიობი ისვენებდა ყოფილი მეფისნაცვლის ყოფილ რეზიდენციაში. მასთან შეხვედრის ნებართვის მიღება გაჭირდა. ძალიან მინდოდა დამერწმუნებინა იგი, დაბრუნებოდა თავის პროფესიას. უშანგი ისეთივე მომხიბვლელი იყო, ისეთივე ძალ-ღონით სავსე, როგორც „ურიელიდან“ მახსოვდა. ყოველწარად ვცდილობდი მის დარწმუნებას, დაბრუნებულ იყო თეატრში. ვეუბნებოდი, რომ იგი შესანიშნავი მსახიობია და დანაშაულია მისი სცენაზე არყოფნა. უშანგი ყურადღებით მისმენდა, იყო ზრდილობიანი და თავაზიანი, მაგრამ სევდის აჩრ-

**დილი ეფინა სახეზე.** მესმოდა მისი ნათქვამი: „არა“, „ვნახოთ, შეიძლება...“ „არა“, „ვნახოთ, ვიფიქრებ“ და ისევ — „არა“! ვხედავდი, რომ მის დათანხმებას, მიუხედავად მთელი ჩემი ტემპერამენტის და მისი ნიჭის წინაშე ჩემი სუფთა, გულწრფელი თაყვანისცემისა, ვერ შევძლებდი“.

ელენა გოგოლევა უდიდესი პატივისცემით მოიხსენიებს კოტე მარჯანიშვილის მიერ აღზრდილი მსახიობების პლეადას — ვერიკო ანჯაფარიძეს, უწინარეს ყოვლისა, თამარ ჭავჭავაძეს, უშანგი ჩხეიძეს (რა თქმა უნდა), აკაკი ხორავას, აკაკი ვასაძეს, სერგო ზაქარიაძეს, პიერ კობახიძეს და სხვებს.

ქართული თეატრის კორიფეებს!

მაგრამ მისი კერპი და თაყვანსაცემი უპირველესი პიროვნება კოტე მარჯანიშვილია. მან მტკივნეულად განიცადა დიდი რეჟისორის გარდაცვალება იქ, მოსკოვში, როცა „მცირე თეატრში“ მისი დადგმული „დონ კარლოსის“ გენერალური რეპეტიციები მიმდინარეობდა.

**მარჯანიშვილის „მცირე თეატრში“ მოღვაწეობა ყოველთვის უღრუბლო არ იყო, მაგრამ საყოველთაოდაა აღიარებული, რომ სწორედ მან ჩაუყარა საფუძველი ამ ისტორიული თეატრის შემოქმედებითი ცხოვრების ახალ ეტაპს.**

გოგოლევა იხსენებს:

**„როცა თეატრში დაიწყო ლაპარაკი მარჯანოვის მოწვევის შესახებ „დონ კარლოსის“ დასადგმელად, ამ ამბავს სიხარულითა და მოუთმენლობით შევხვდი, რადგან ნანახი მქონდა მისი უკვდავი სპექტაკლი „ურიელ აკოსტა“... მარჯანოვი დათანხმდა „მცირე თეატრში სპექტაკლების დადგმას... იგი თანაშემწეების ჯგუფთან ერთად ჩამოვიდა, ბევრი მათგანი შემდეგ ჩემი მეგობარი გახდა: მათ შორის, კომპოზიტორი თ. ვახვახიშვილი, ბალეტ-მეისტერი ფ. მაჭავარიანი, მაშინ დამწყები შესანიშნავი მხატვარი პ. ოცხელი...“**



შალვა ჩხენიავა



კოტე მარჯანიშვილი



ვერიკო ანჯაფარიძე

...დაიწყო პიესის კითხვა. კონსტანტინე ალექსანდრეს ძეს არ უყვარდა მაგიდასთან დიდხანს ჯდომა. მალე გადავედით მიზანსცენების ათვისებაზე, რომლებსაც ბევრი მტრულად შეხვდა.

მარჯანოვი ჩვენგან მოითხოვდა სახის გახსნას არამხოლოდ ტექსტით, ამაზე ნათქვამი იყო მაგიდასთან რეპეტიციების პერიოდში. მისთვის აუცილებელი იყო როლის პრაქტიკული ნახატიც და მთელი სურათის რიტმული რიგი. იგი ხშირად სთხოვდა ვახვანიშვილს ნაწყვეტებს სხვადასხვა კომპოზიციის ნაწარმოებებიდან, ხშირად კი თვითონ ეუბნებოდა, რა განწყობილებას მოითხოვს, მისი აზრით, სპექტაკლის თუ სცენის ესა თუ ის ფრაგმენტი. ვახვანიშვილი დაუყოვნებლივ უკრავდა როიალზე იმპროვიზაციას იმისა, რაც მას ესმოდა. ისინი, დიდი ხანია, ერთად მუშაობდნენ და ნახევარი სიტყვიდან უგებდნენ ერთმანეთს“.

მსახიობი ხაზს უსვამს მარჯანიშვილის ჩანაფიქრის სიახლესა და ორიგინალობას, იმას, რომ დღეს მარჯანიშვილისეულ მეთოდებს ახალგაზრდა რეჟისორები იყენებენ, როგორც სახელმძღვანელო წყმმარილებას.

ასეა. მაგრამ 30-იანი წლების დასაწყისში დიდ რეჟისორს ვერ გაუგეს. მცირე თეატრში კონფ-

**როსა ებრაელი ქარლ გუსქოვის პიესას, სხანაზე სპექტაკლად განსახიარებულს, გვიჩვენებდა და აღგებდა ქართული ვერიკო ანჯაფარიძისა და რუსი ელენა გოგოლევა მთავარი ბრწყინვალე შესრულებული ივლითი, ეს ინტერნაციონალური ერთობაა, ანუ ხელოვნების ინტერნაციონალური არსის საჯარო აღმოსტრახია.**

რონტაციული ჯგუფიც კი ჩამოყალიბდა. „მე, სადოვსკი, ლენინი, აქსიონოვი მხურვალედ ვუჭერდით მხარს მარჯანოვს, მაგრამ ვლადიმეროვი, სამნუხაროდ, არ მალავდა კონსტანტინე ალექსანდრეს ძისადმი არაკეთილ განწყობას და ათვალწუნებას“.

წინააღმდეგობათა მიუხედავად, მუშაობა სპექტაკლზე არ შენელებულა და თავისი რიგით გრძელდებოდა.

მუსიკა „დონ კარლოსისთვის“ დანერაა. ალექსანდროვმა, ვახვანიშვილი რეპეტიციებზე ეხმარებოდა, რომლებსაც ზოგჯერ ალექსანდროვიც ესწრებოდა.

პრემიერას უნდა მოეჯადოვებინა მაყურებელი.

მაგრამ...

ბედი ჩვეულებრივ მუხთალი გამოდგა: მარჯანიშვილი, როგორც ვთქვით, ერთ-ერთი პირველი რეპეტიციის დროს გარდაიცვალა.

„ძალიან, ძალიან დამნაშავეა მის წინაშე მცირე თეატრი, — აღ-

იარებს ელენა გოგოლევა. არა, მთელი დასი კი არა, მაგრამ — ზოგიერთები. ისარგებლეს პირველი მიზეზით — ჩემი ავადმყოფობით და სპექტაკლის მოხსნა მოინდომეს“, მაგრამ გოგოლევამ და მისმა მომხრეებმა შეძლეს „დონ კარლოსის“ შენარჩუნება.

და ისევ გოგოლევა:  
**„პრემიერამ ტრიუმფით ჩაიარა. თავის დასაკრავად გამოსულა სხელში გვეჭირა მარჯანოვის პორტრეტი. იგი თითქმის ჩვენთან ერთად იყო აქ, ცოცხალი და იღებდა ოვაციებს თავისი დიდებული ნამუშევრისთვის“.**

გოგოლევა წერს, რომ იგი „აგრძელებს სწავლებას ამ მოგონებებიდან“. მის მოგონებებზე კი თეატრალების ახალი და ახალი თაობები იზრდებიან.

თუ იზრდებოდნენ?..

არ ივარგებს ამ ტრადიციის დავინყება...

არამაზ სანაბლიძე



# საქართველოს პატრიარქი დავით V დევდარიანი

**„მიკვირს იმ ადამიანების, რომლებიც მიწის ნაკვეთის შემორაგვას ცდილობენ. მთელი საქართველო ჩემად მიმაჩნია და ცალკე ხომ არ შემოვიღობავ?!“**

პატრიარქ ეფრემ II-ს გარდაცვალების შემდეგ, 1972 წელს საქართველოს პატრიარქი დავით V გახდა. ის ქართველ მართლმადიდებელთა მწყემსად სულ ხუთი წელიწადი იყო და 1977 წლის 9 ნოემბერს გარდაიცვალა.

„გულდასაწყვეტია, დავით V-ს იშვიათად რომ იხსენებენ, მას ურთულეს პერიოდში მოუწია ეკლესიის საჭეთმპყრობელობა. მის სოფელშიც მხოლოდ პატრიარქის ნასახლარია შემორჩენილი.

დავით V-მ სასულიერო მოღვაწეობა მირონწმინდის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში დაიწყო. მაშინდელი ხელისუფლება მას დევნიდა, რის გამოც ბევრი განსაცდელი გამოიარა, მაგრამ ურჯულოებს არ შეეპუა, მოთმენის საოცარი უნარი ჰქონიაო“, — იხსენებენ მისი თანასოფლელები და ყვებიან წინაპრების მიერ გადმოცემულ ამბებს, თუ როგორ ეძებდნენ პოლიციელები მაშინდელ დიაკვანსა და შემდეგ უკვე საქართველოს პატრიარქ დავით V-ს. თურმე მთელი სოფელი ცდილობდა, რომ პოლიციელებისთვის თავგზა აერიათ და არამცდარამც მისი ადგილსამყოფელი არ ეჩვენებინათ.

ბევრი შეურაცხყოფა და დამცირება აუტანია, ხშირად გულდაწყვეტილიც ყოფილა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გზიდან არ გადაუხვევია, რწმენისთვისა და ხალხისთვის არ უღალატია. ბევრი ნათლული ჰყავდა, გაჭირვებულებს ეხმარებოდა, მრავალშვილიან ოჯახებს მხარში ედგა. საკუთარი სოფელი პატრიარქად კურთხევის შემდეგაც არ მიუტოვებია. სკოლაში წარჩინებული მოსწავლე ყოფილა. მისი თანასოფლელები და მოგვარე, უხუცესი ქალ-



დავით V-ის ინტრონიზაცია

ბატონი ვენერა დევდარიანი იხსენებს: „მამაჩემის მოსწავლე იყო, მამა რუსულს ასწავლიდა. ამბობდა, კარგად სწავლობდა, რელიგიით კი ბავშვობიდან იყო დაინტერესებული. ამის გამო მუდმივად დევნას განიცდიდა, ბევრი გაჭირვება ნახაო“.

როგორც გადმოცემით ვიცით, ძალიან უბრალო და თავმდაბალი ადამიანი ყოფილა, ისტორიას ერთი უნიკალური სურათიც აქვს შემორჩენილი, სადაც პატრიარქი ქაშუეთის ეკლესიის იატაკს რეცხავს.

პატრიარქის ოჯახის წევრები მის მიერ წარმოთქმულ ერთ უნიკალურ ფრაზას იხსენებენ: **„მიკვირს იმ ადამიანების, რომლებიც მიწის ნაკვეთის შემორაგვას ცდილობენ. მთელი საქართველო ჩემად მიმაჩნია და ცალკე ხომ არ შემოვიღობავ?!“.**

**დავით V** (ერისკაცობაში ხარიტონი) **დევდარიანმა** 1917 წელს სოფელ სარგვეშის არასრული სასწავლებელი დაამთავრა. შემდგომ სწავლა განაგრძო ჭიათურის მღვიმევის დედათა მონასტერში.

1918 წლის 1 აგვისტოს ქუთათელმა მიტროპოლიტმა ანტონმა (გიორგაძემ) დაადგინა მირონწმინდის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის მედავითნედ.

1927 წლის 26 თებერვალს საჩხერის წმინდა ნინოს სახელობის ტაძარში მარგველმა ეპისკოპოსმა ვარლამმა (მახარაძე) დიაკვნად აკურთხა, ხოლო მეორე დღეს მღვდლად დაასხა ხელნი და სარგვეშის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად განამწესა.

1928 წელს გახდა ხარაგაულის ოლქის მთავარი ხუცესი.

1929-იდან მსახურობდა თბი-





დეკანოზი ტლაშაქე, მისი ქალიშვილი, სარიტონ დევდარიანი, მისი მეუღლე გალინა და შვილები: მარიამი და გოგი

ფოტოს საოცარი ისტორია პარტიარქის შვილიშვილმა ნანა დევდარიანმა გვიამბო: — ერთხელ, მალაზიაში შევედი. ერთი ახალგაზრდა მოვიდა და მითხრა, მღვდელმთავრების ფოტოალბომს ვაკეთებთ და იქნებ დაგვეხმაროთ. შინ რომ

მივიპატიჟე, კომპიუტერი ჩართო და ფოტო მარეენა, — ამ სურათზე არ ვიცი, ვინ არიან, იქნებ დაგვეხმაროთ, შევხედე და ბაბუაჩემი იყო — საქართველოს პატრიარქი დავით V. ასე აღმოჩნდა ეს ფოტო ჩვენს ოჯახში.



მეორე პუბლიკაციის  
კავშირში

რუსეთის იმპერატორის: სულე  
ქათვისი იყო სულ ქათვისი შვილი,  
სულე ვაჟი იქნა - მეცხრე,  
სულე ბიძა იქნა იქნა მს-  
სულე, სულე ვაჟი იქნა - იმ-  
ქათვისი იმპერატორი.

აქედან იმ. რუსეთის იმპ-  
ის იმპერატორი ვინაა  
- ქათვისი II

სულე იქნა სულე  
1971. II. 27  
- სულე იმპერატორი იმპერატორი  
და მეცხრე იმპერატორი იმპერატორი  
სულე იმპერატორი. ვ. ნ. ე. ე.



სხვადასხვა დროის ოთხი პატრიარქი: ეფრემი (სიღამონიძე), დავით V (დევდარიანი), კალისტრატე (ცინცაძე) და რუსეთის პატრიარქი ალექსი I (სიმანსკი)



**დავით V ქაშუეთის  
ეკლესიაში  
იატაქს რეცხავს**



ლისში, სიონის საკათედრო ტაძარში მედავითნედ, 1932-1945 წლებში — თბილისის ქაშუეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში, 1945-1947 წლებში — კუკიის წმინდა ნინოს ეკლესიაში.

1956 წელს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მელქისედეკ III-მ ბერად აღკვეცა და დავითი უწოდა. 27 აგვისტოს არქიმანდრიტის წოდება მიენიჭა, 28 აგვისტოს კი ეპისკოპოსად აკურთხეს (განაგებდა არგვეთისა და ურბნისის ეპარქიებს).

1959-1972 წლებში იყო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი.

1972 წლის 1 ივლისს საქართველოს XII საეკლესიო კრებამ იგი კათოლიკოს-პატრიარქად აირჩია. ინტრონიზაცია შედგა 2 ივლისს სვეტიცხოვლის ტაძარში. იყო სსრკ და საქართველოს მშვიდობის დაცვის კომიტეტების წევრი. დაკრძალულია თბილისში, სიონის საკათედრო ტაძარში.

**პაპ ნასყიდაუპილი**





# ფიროსმანი: «ჩემი საქართველოდან მე არსად წავალ!»

ქართველი მხატვრის — ნიკო ფიროსმანაშვილის შესახებ, ნიკო ფიროსმანის სახელით რომ ვიცნობთ, ბევრი რამ თქმულა და დაწერილა, მაგრამ მისი განვლილი გზა ხეირიანად დღესაც არავინ იცის. ცნობები ფიროსმანის ცხოვრების შესახებ უმეტესად ასე ნამცეც-ნამცეც შეკონინდა, ხოლო მისი ბიოგრაფია ნიკალას გარდაცვალების შემდეგ დაინერა.

მისი დის, ფეფეს, ანგარიშით, ფიროსმანი დაბადებული უნდა იყოს 1862 ან 1863 წელს კახეთში, სოფელ მირზაანში, ლარიბი გლეხის ოჯახში. ნიკოს მამას რქმევია ასლანი, დედამისი ყოფილა ზემო მაჩხაანიდან, ტოკლიკიშვილის ქალი — თეკლე. ასლანსა და თეკლეს ჰყოლიათ ორი ქალი და ერთი ვაჟი — ნიკალა, როგორც მას ეძახდნენ სოფელში. ასლანი უბრალო სოფლის კაცი ყოფილა და ადრე გარდაცვლილა. ამავე დროს შიმშილობაც ჩამოვარდნილა და ნიკოს დედა, მისი უმცროსი ქალი ფეფე და ნიკალა წასულან თბილისში უფროს გათხოვილ ქალთან. მაშინ ფიროსმანი დაახლოებით 7 წლისა ყოფილა.

ქალაქში ნიკოს უფროსი და მოჰკვდომია და დედაც გარდაცვლია. მისი უმცროსი და სოფელში დაბრუნებულა, ნიკო კიდევე შერჩენია თბილისს და ამის შემდეგ მუდამ დედაქალაქში ცხოვრობდა. ჯერ კიდევ პატარა ბიჭი ერთ მდიდარს დაუდგა მსახურად, ოც წლამდე ასე იმუშავა.

ბავშვობაშივე იჩენდა დიდ ინტერესს მხატვრობისადმი, ბევრს ხატავდა კიდეც. სპეციალური სამხატვრო განათლება არ მიუღია. 1880-იან წლებში მასავით თვითნასწავლ მეგობართან ერთად გახსნა ფერწერის სახელოსნო და აბრების შეკვეთებს იღებდა. 1890-1894 წლებში კონდუქტორად მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზაზე. ამ დროს შექმნა სადგურის უფროსისა და მისი

ცოლის პორტრეტი. ეტყობა, ნამუშევარი ძალზე გესლიანი და კარიკატურული გამოუვიდა, რადგან სადგურის უფროსმა თვალი შეავლო თუ არა სურათს, იმნამსვე აითვალისწუნა ფიროსმანი. მასაც აქ გაჩერება დიდხანს აღარ მოუწია.

შემდეგ ვაჭრობაშიც სცადა ბედი, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. საამისოდ ის ძალზე გულმართალი და ამაყი იყო. ერთი პირობა, ფიროსმანი რძით ვაჭრობდა მეიდანის უკანა ეზოებში და, ასე იყო თუ ისე, თავს ირჩენდა თავისი მწირი შემოსავლით, მაგრამ მას ეს საქმიანობაც მალე მოზებრდა.

მან ნახატებით მორთო თავისი ფარდული და გაფურჩქნილ ყვავილს დაამსგავსა. თავის სურათებს საჩუქრად არიგებდა და დიდად ბედნიერი იყო, როცა სიამოვნებით ართმევდნენ. ხანდახან სურათებს მენწვილმანე გადაამყიდველებს მიჰყიდდა ხოლმე, რომლებიც ფიროსმანს რალაც გროშებს უხდიდნენ.

ცხოვრება გაძნელდა. მხატვარი უსახსრობის გამო ხშირად შიმშილობდა. ფიროსმანი იძულებული გახდა სოფელში დაბრუნებულიყო, სადაც აუცილებლად უნდა დასწოლოდა ყოფითი და საოჯახო ტრადიციების მთელი სიმძიმე.

ფიროსმანმა თავისი სოფლის სახლიც ჭერიდან იატაკამდე სულ მოხატა და მეზობლების აღტაცება გამოიწვია. მერე ნადიმი მოანყო. ამის შემდეგ ამ სოფლური დღესასწაულის ამსახველი ოთხი ტილო დახატა.



ბოლოს ფიროსმანმა მოიფიქრა, მისი აზრით, ძალზე მახვილგონივრული გამოსავალი: ის თბილისში დაბრუნდა და დუქნებისთვის ფერად-ფერადი აბრების ხატვას მიჰყო ხელი, სანაცვლოდ კი რამდენიმე სადილის, ღვინისა და ვახშმის გარდა არაფერს თხოულობდა. გასამრჯელოს ნაწილს ფულად იღებდა, რათა საღებავები ეყიდა და ღამის გათევის საფასური გადაეხადა. მაგრამ დასახატი მასალისთვის ფული არასოდეს ჰყოფნიდა. მასალა არ იყო და ფიროსმანიც ხატავდა იმაზე, რაც მუდამ ხელთ ჰქონდა თუნდაც ყველაზე იაფფასიან დუქანში — უბრალო მუშამბაზე, რომელსაც მაგიდას აცლიდა.

მუშამბა შავი და თეთრი ფერისა იყო. ფიროსმანი ხატავდა და, სადაც საჭირო იყო, მუშამბას გაუფერადებელს ტოვებდა.

მერე ეს ხერხი პორტრეტებზეც გამოიყენა. ამგვარად შესრულებული სურათი არაჩვეულებრივ შთაბეჭდილებას ახდენდა.



წლების განმავლობაში გენიალური მხატვარი თბილისელ მედუქნეებთან და მიკიტნებთან აფარებდა თავს, მათი შეკვეთით ხატავდა აბრებს, პორტრეტებს, სურათებს, მაგრამ სიცოცხლის ბოლომდე გაჭირვებას თავი მაინც ვერ დააღწია; უკიდურეს სიდუხჭირეში ცხოვრობდა. ქართველ მხატვართა საზოგადოება დროდადრო ცდილობდა, შეემსუბუქებინა მისი ხვედრი, ყველამ იცოდა მისი სიდუხჭირე, იცნობდნენ, მასთან დადიოდნენ, თუმც არაფრით ან ვერაფრით ეხმარებოდნენ, სამწუხაროდ!

ფიროსმანაშვილი მარტოობაში გარდაიცვალა. ამ დროს ის უნდა ყოფილიყო, სავარაუდოდ, 56 წლისა. ნიკალას დის გადმოცემით, ფიროსმანს საკუთარი ოჯახიც არ ჰყოლია და არც შვილები გააჩნდა.

ახლა შევხედოთ თუ თავად ქვეყნისთვისაც ეს რა დროა.

1918 წელს თბილისში „ისპანკას“ ეპიდემია მძვინვარებდა. ომისგან ქანცგამოღებული ხალხი სამედიცინო დახმარებას მოკლებული იყო. არც წამლები იშოვებოდა ქალაქში. გახშირდა სიკვდი-

ლიანობა, ბევრი დაჭრილი იხოცებოდა ლაზარეთებში... ხშირი იყო შემთხვევა, რომ გარდაცვლილის რელიგიური წესით დასაფლავების საშუალება არ ჰქონდათ, აღარაფერი რომ არ ვთქვათ საფლავის ადგილებზე, რომლებიც იყიდებოდა და ბევრისთვის ხელმიუწვდომელი იყო. ამის გამო, როგორც ღარიბ-ღატაკთ, ისე უპატრონო მიცვალებულებს სასაფლაოს კედლის გადაღმა მარხავდნენ.

აი, ასეთ დროსა და პირობებში თბილისში მოკვდა უსახლკარო თვითნასწავლი მხატვარი; რა დღეს, რა ვითარებაში ან ვინ და მარხა, გაურკვეველია. მისი საფლავიც უცნობი დარჩა. ამბობენ, კუკიის ნინოს სასაფლაოზე, უპატრონო მკვდართა შორის, კარს გარეთ ჩაფლეს მინაში ორ მანეთად. საფლავს დღესაც ამაოდ ვეძებთ. რას ვიზამთ, ასეთია ხვედრი ამ გენიალური ადამიანისა — **სული დაღია უსახელოდ, რათა შემდგომ ყველას გულში ეპოვა ბინა.**

სიცოცხლეში მის სურათებს ჯეროვნად რომ არავინ აფასებდა, დღეს მთელი საზოგადოება შექ-

მნილი ფერწერის მცოდნე ადამიანებისა, რომლებიც ეძებენ, თანხებს არ იშურებენ ნიკალას იმ მშვენიერი ქმნილებების შესაძენად, რომლებსაც ფიროსმანი ერთ სადილში, ერთი ღამის გათევვაში, ერთ ბოთლ ღვინოში ცვლიდა, რომ თბილისის გავარვარებულ ქვაფენილზე შიმშილით სული არ ამოხდომოდა.

ფიროსმანმა ვეებერთელა ფერწერული სიმდიდრე დატოვა. ადამიანი, სურათების ქვეშ ხელის მონერასაც რომ ვერ ახერხებდა, მათში, უბრალოდ, ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე აქსოვდა დახვეწილ ხაზებს, გამოკვეთილ, ნაჯერ კომპოზიციას. აღსანიშნავია, რომ ხელმოკლეობის გამო, ხშირად საღებავებსაც რომ ვერ ყიდულობდა, ზოგჯერ მათ თავად ქმნიდა. ცნობილია, რომ იგი შავ ფერს ამზადებდა ქვარტლისგან.

დუქნების მუშტრები ხედავდნენ, როგორ გასაოცრად სწრაფად ხატავდა თავის სურათებს; ხრინწიანი შეძახილებით და ტაშისცემით გამოხატავდნენ თავიანთ აღტაცებას, როცა ნახევარ საათში მუშამბას პორტრეტები და კავკასიური პეიზაჟები მოეფინებოდა.



ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმი მირზაანში



საერთოდ კი ფიროსმანის თემატიკას გარკვეული კვალი დაამჩნია იმ სოციალურმა გარემომ, რომელშიც უხდებოდა ცხოვრება მხატვარს. მის მხატვრულ მიმკვიდრეობაში დიდი ადგილი უჭირავს ქეიფის სცენებს, რომლებიც, არსებითად, თბილისელ ვაჭარ-ხელოსანთა, მიკიტნების, ზოგჯერ თავადების ჯგუფურ პორტრეტებს წარმოადგენს („ბეგოს კამპანია“, „ქეიფი მყარდნე დათიკო ზემელთან“, „თავადების ქეიფი მინდვრად“, „ხუთი თავადის ქეიფი“ და სხვ.). ზოგჯერ ქეიფის სცენები გაშლილია პეიზაჟის ფონზე („სვირი“) ან ჩართულია მრავალფიგურიან „პანორამულ“ კომპოზიციებში („ვირის ხიდი“, „კახეთის ეპოსი“, „ქეიფი რთველში“). თემატიკურად სცენებს ენათესავება ნატურმორტი და აბრები.

ფიროსმანაშვილს იზიდავდა სოფლის ბუნება და ცხოვრება („რთველი“, „დღეობა ბოლნისში“, „გლეხის ქალი ვაჟით“, „გლეხკაცი ვაჟით“, „წყალზე მიმავალი ბავშვებიანი დედაკაცი“, „კალოზა“); მიმართავდა ქალაქურ პეიზაჟებსაც („ბათუმი“, „ფუნიკულიორი“); განსაკუთრებული პოეტური ძალით არის აღბეჭდილი ფიროსმანაშვილის მიერ დახატული ღამის სცენები („არსენალის

გორა ღამით“, „ყაჩაღმა ცხენი მოიპარა“, „დათვი მთვარიან ღამით“); მკვეთრი სოციალური დახასიათებებით გამოირჩევა ფიროსმანის მიერ თბილისელი ხელოსნების, მედუქნეების, კინტოების, ბოჭემის წარმომადგენელთა, აგრეთვე, მუშების პორტრეტები („გოგონა საჰაერო ბუმტით“, „მდიდარი კინტოს შვილი“, „მეზოვე“, „ორი მუშა“, „აქტრისა მარგარიტა“, „ორთაჭალის ტურფები“, „მუშა სოსო“, „მეზადური“ და სხვ.); სოციალური დაპირისპირება მკაფიოდ არის ნაჩვენები ცნობილ სურათში „უშვილო მილიონერი და ღარიბი ქალი შვილებით“.

მართალია, ფიროსმანის სურათებზე მეტწილად უბრალო ხალხი იყო გამოსახული, მაგრამ მათზე განსაკუთრებული ადგილი ეკავა ცხოველებსაც — ლომებს, ჯეირნებს, კამეჩებს, აქლემებს და მხატვრის უენო მეგობრებს — სახედრებს. უეჭველია, მხატვარი ცხოველთა გამოსახულებებში ხშირად გარკვეულ სიმბოლურ-მორალურ აზრს აქსოვდა.

ფიროსმანს იზიდავდა ისტორიული თემები და პერსონაჟებიც. მისი სურათები გვიმტკიცებენ, რომ ნ. ფიროსმანი იცნობდა საქართველოს ისტორიას და საზოგადოდ, თანამედროვეობას. მას

აქვს სურათები ჩვენი ქვეყნის ისტორიიდან: „რუსთაველი“, „თამარ მეფე“, „ერეკლე მეორე“, „გიორგი სააკაძე“, რომლის სხვადასხვა ვარიანტი არსებობს; „შეთეგზას უჩვენებს თავად ბარიატინსკის შამილის დასაჭერად“ და სხვ. ფიროსმანის ზოგი სურათი ქართული თეატრის სპექტაკლებით არის შთაგონებული (დ. ერისთავის „სამშობლო“, ვ. გუნიას „და-ძმა“).

**ნიკალას სურათებში ადვილი შესამჩნევია, რომ ავტორს სპეციალური განათლება არ მიუღია, მაგრამ ეს არ უშლის ხელს მხატვრის მიერ შექმნილი სამყაროს მთლიანობას, ერთგვარად ხელს უწყობს კიდევ მისი სურათების მკაფიო თავისებურებების გამოვლენას. ფიროსმანის სურათების უპირველეს ძალას შეადგენს მათი შინაგანი სიმართლე, უშუალოება, დიდი ექსპრესიულობა, ხასიათის მკაფიო გამოკვეთა. დიდი მხატვრის შემოქმედება კველ ქართულ კედლის მხატვრობას ენათესავება.**

დღესდღეობით ნიკალას თავმოყრილ სურათებს წლების განმავლობაში აგროვებდა კირილე ზდანევიჩი. მან მოიძია და გადაარჩინა სახალხო მხატვრის არაერთი ბრწყინვალე ნამუშევარი, ნამდვილი გმირობა ჩაიდინა და შემდგომში ეს ფასდაუდებელი სიმდიდრე სახელმწიფოს აჩუქა.

**ფიროსმანის, როგორც მხატვრის, აღმოჩენაში, მისი ძმნილებების შეგროვებასა და შემოქმედების პროპაგანდაში ასევე დიდი წვლილი მიუძღვის მის ძმას, პოეტიკოსს, მხატვრებს მ. ლე დანტიუსს, დ. შავარდნაძეს, ლ. გუდიაშვილს, დ. კაკაბაძესა და სხვებს; უფრო გვიან — გ. ლეონიძეს, რომელმაც მნიშვნელოვანი ცნობები მოიპოვა მისი ბიოგრაფიისთვის.**

ფიროსმანი გახდა საქართველოს ფერწერული და თავისი გამომსახველობით თავისუფალი ენციკლოპედია, ენციკლოპედია



ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმი მირზაანში



მისი ხალხისა, მისი ისტორიისა და ბუნებისა.

**ნიკო ფიროსმანაშვილის ნამუშევრები წარმოდგენილი იყო ქართულ მხატვართა I დიდ გამოფენაზე თბილისში 1918 წელს.**

1920-იან წლებში იბეჭდებოდა წერილები პერიოდულ პრესაში, გამოიცა მისდამი მიძღვნილი კრებულები. განსაკუთრებით გაცხოველდა ინტერესი ფიროსმანისადმი 50-იანი წლების შემდეგ — გამოიცა წიგნები საქართველოში, რუსეთში, უცხოეთში, შეიქმნა ბიოგრაფიული ფილმი, დაინერა მისდამი მიძღვნილი პიესები, მუსიკალური ნაწარმოებები; ფიროსმანის სურათების გამოფენა მოეწყო ყოფილ სსრკ-ის ქალაქებში და დასავლეთ ევროპის მრავალ ქვეყანაში. თბილისში დაიდგა ფიროსმანის ძეგლი; მხატვრის მშობლიურ სოფელში, მირზაანში, გაიხსნა ფიროსმანის მუზეუმი. მხატვრის ნამუშევართა დიდი ნაწილი ამჟამად ინახება საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, აგრეთვე, ყოფილ სსრკ-ისა და საზღვარგარეთის ზოგ მუზეუმებში, თბილისის ყოფილ სსრკ-ისა და უცხოეთის კერძო კოლექციებში. მის ნაწარმოებთა დიდი ნაწილის ქრონოლოგია დღემდე დაუდგენელია. დღეს ფიროსმა-



ნიკო ფიროსმანის ქაბლი მირზაანში

ნის შემოქმედება საყოველთაო სახალხო სიყვარულით სარგებლობს.

ეს ყველაფერი კი კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ „მართალია, ვირის კუდივით ხანმოკლეა ნუთისოფელი“, როგორც ნიკალა იტყოდა, მაგრამ სიცოცხლე სიკვდილით არ მთავრდება...

ნიკალა იყო ლეგენდა, საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი,

უბატონო კუთხის შვილი, რომლის ბუნებამაც შექმნა გულგამლილი და ზვიადი ფიროსმანი, რომელსაც სიცოცხლე მოუნამლა საზოგადოებაში გამეფებულმა ცხოვრების წესად ქცეულმა დამცირებამ, შურმა და მოტყუებამ, რომელსაც დღენიადაგ განიცდიდა ეული მხატვარი.

ფრანგულ გაზეთებში ფიროსმანის შემოქმედებაზე ფრანგ ლედანტიუს ალფრთოვანებულმა წერილებმა გაუსაძლისი ცხოვრებისგან განადგურებულ ნიკალას თუ ფრთები შეასხა, შეაძლებინა, ძალა მოეკრიბა და შეენარჩუნებინა სულიერი მხნეობა, იმდენად მაინც, რომ მხატვართა საზოგადოების შეკრებაზე თავანუელს ამაყად განეცხადებინა: „მე საფრანგეთშიაც ვარ ახლა ცნობილი“, ვიღაც მჯღაბნელის მიერ დაკვეთით შესრულებულმა დამცინავმა კარიკატურამ გამანადგურებლად იმოქმედა მასზე.


1916 წელს მსოფლიო ომი გრძელდებოდა და ბოლოც არ უჩანდა. ქალაქიც და სოფელიც დაცლილი იყო ახალგაზრდებისგან. ოსმალეთის ფრონტზე მიმავალი ჯარისკაცები იპარებოდნენ ყაზარმებიდან და სვამდნენ ღვინოს.



ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმი მირზაანში

ვისაც ფული არ ჰქონდა, ყიდდა თავის ტანსაცმელს, ჩექმებს. გახშირდა ჩხუბი, აყალ-მაყალი, ძარცვა-გლეჯა. მაშინ გამოვიდა კანონი, რომლის ძალითაც აიკრძალა ღვინის გაყიდვა. პოლიციამ დალუქა სამიკიტნოები და სირაჯთა დუქნები. არავინ ფიქრობდა დუქნების მოხატვა-გალამაზებაზე. დარჩა ფიროსმანიც უმუშევარი. აი, ასეთ დროს 10 ივლისს გაზეთში, რომელშიც ჯერ კიდევ 1913 წელს ქართულ პერიოდულ პრესაში პირველად გამოქვეყნდა სტატია სახალხო მხატვარ ფიროსმანზე და გაისმა მონოდება ყურადღება, მიექციათ ასეთი „არაჩვეულებრივი“ ოსტატისთვის. 3 წლის შემდეგ იმავე „სახალხო ფურცლის“ საკვირაო სურათებიან დამატებაში დაიბეჭდა ღვარძლიანი, დამცინავი კარიკატურა ფიროსმანზე. მასზე იყო გამოსახული ძალზე ღარიბად ჩაცმული, ფეხშიშველა მხატვარი, რომელიც ჟირაფს ხატავდა. მის წინ იდგა მწერალი წიგნით ხელში და მიმართავდა სამოც წელს მიღწეულ ფიროსმანს: „უნდა ისწავლო, ძმობილო... შენს ხანაში მყოფს კიდევ ბევრის შექმნა შეუძლია... ერთი ათი-ოცი წლის შემდეგ კარგი მხატვარი გამოხვალ... აი, მაშინ გაგგზავნით ახალგაზრდათა გამოფენაზე...“

„ნუთისოფელი ქანაოზს“ — ამ სიტყვებს ხშირად იმეორებდა თურმე ნიკალა. იმედი ჰქონდა, რომ გამოჩნდებოდა ვინმე მადლიანი კაცი და დაეხმარებოდა თავისი საყვარელი ხელობით ლუკმაპურის შოვნაში, მაგრამ იმათ, ვისი იმედიც ჰქონდა, მას-



ხარად აიგდეს და დარჩა მარტომარტო ამ უბედურ ცხოვრებაში. იგი ვერ მოესწრო ვერც მისი ნამუშევრების გამოფენას და ვერც აღიარებას.

ფაქტია, რომ ქართული აკადემიური მხატვრობა მას გულცივად ხვდებოდა და ტექნიკას უწუნებდა, რადგან ნიკო ფიროსმანი იყო მისი სრულიად საპირისპირო რამ.

აი, მიზეზი იმისა, უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი თავმოყვარე ხელოვანი თუ რატომ ამბობდა უარს მხატვართა ამქრიდან შემონირულ დახმარებაზე. „მაშ მასხრად მიგდებენ?“ — ეკითხებოდა თურმე „მწიგნობარ“ მიკიტნებს გულუბრყვილო ფიროსმანი. „მაგათი არც ქება-დიდება მინდა და არც არაფერი“. მაგრამ ამას არ

გაუბოროტებია ნიკალა. „ჰოდა, რა გვინდა, ძმებო, იცით, — ამბობდა იგი მხატვართა კავშირის გამგეობის სხდომაზე, — უსათუოდ საჭიროა, ავაშენოთ დიდი ხის სახლი სადმე, ქალაქის შუაგულში, რომ ყველასთვის იყოს ახლოს... შევიყარნეთ ხოლმე... ვსვამთ ჩაი... და ვილაპარაკოთ ხელოვნებაზე, თქვენ კი ეს არ გინდათ...“

როდესაც ცხოვრებისგან გულგატეხილ მხატვარს ეტყოდნენ, — გინდა, საფრანგეთში წაგიყვანოთო, ნიკალასგან პასუხად ჟღერდა ის სიტყვები, რომლებიც იმ დიდი სიყვარულის დასტური იყო, რომელსაც ის თავისი შემოქმედებით ქმნიდა: „ჩემი საქართველოდან მე არსად წავალ!“

დიახ, დღესაც გვესმის და გვაფხიზლებს დიდი ხელოვანი, რომელსაც დაკარგულ საფლავეში ანდერძად ჩაჰყვა მისგანვე დატოვებული სიტყვები: „ღმერთო, ნუთუ არ უნდა დადგეს ისეთი დრო, როცა გაუტანლობას, შურს და ამგვარ საქციელს კაცისას სამშობლოს ღალატს დაარქმევენ და ჩვენს მოდგმას იგი საფიქრალ-სადარდებელ საქმედ აღარ ექნება?!“

**ბიორები მჭადლიზვილი,**  
პროფესორი

**როდესაც სხოვრებისგან გულგატეხილ მხატვარს ეტყოდნენ, — გინდა, საფრანგეთში წაგიყვანოთო, ნიკალასგან პასუხად უღერდა ის სიტყვები, რომლებიც იმ დიდი სიყვარულის დასტური იყო, რომელსაც ის თავისი შემოქმედებით ქმნიდა: „ჩემი საქართველოდან მე არსად წავალ!“**





ოთარ შალამბერიძე:

სიცოცხლე... მშვენიერია!

იდგა 1957 წლის ზაფხული. აღარ მახსოვს, ივნისი იყო თუ ივლისი. სიხარულით აფორიაქებული ვერის დაღმართზე მივიჩქაროდი. საქალაქში მენყო „ლირიკული აპრილის“, ჩემი პირველი წიგნის, საავტორო ეგზემპლარები (შვიდი ცალი, როგორც მაშინ იყო დადგენილი).

ვერის ხიდა რომ მიუახლოვდი, უცებ მონუსხულივით შევჩერდი. ხიდის თავთან ზორბა ტანის კაცი იდგა, ეხურა საზაფხულო თეთრი შლაპა, ეცვა ასეთივე თეთრი, ფართოფიბებიანი ხალათი და განიერი შარვალი. იდაყვებით მოაჯირს დაყრდნობოდა, მარჯვენა ხელის თითები გაბანჯგვლულ წვერში ჩაეყო, იბურჯგნიდა... და მტკვარს გასცქეროდა.

რალა ცნობა უნდოდა დიდ გალაკტიონს?!

არ ვიცი, უფრო რამ შემაგულიანა: პირველი წიგნის საავტორო ეგზემპლარმა თუ საქართველოს პირველი პოეტის დიდებულმა უბრალოებამ, გენიოსებს რომ სჩვევიათ ხოლმე. გაგონილი მქონდა, გალაკტიონს უყვარს უცნობ პირებთან გასაუბრება, გაშინაურებაც კიო.

ასე იყო თუ ისე, გაკვადნიერდი და მისვლისთანავე გაზეპირებულივით ვთქვი:

— მაპატიეთ, ბატონო გალაკტიონ, ძალიან მინდა, მოგესალმოთ და პირადად გაგიცნოთ ჩვენი დროის... არა, ჩვენი კი არა, ყველა დროის უპირველესი მგოსანი.

მთელი სხეულით შემობრუნდა. დამინახა თუ არა, სახე გაეზადრა, თითქოს ნაცნობი ვიყავი. ჯერ თავი დამიკრა, მერე ხელი ჩამომართვა:

— კეთილი, ყმანვილო, კეთილი... ოღონდ შეეთანხმდეთ, — (ამ დროს ის ხელი უკვე ჩემს მხარზე ედო) — რომ რუსთაველის შემდეგ ყველა დროის პირველი პოეტი აკაკია, არა?

ვიგრძენი, სახე როგორ ამელენა. მაინც მოვახერხე, მეპასუხა, მე ცოცხალი პოეტები ვიგულისხმე-მეთქი.

— რა გვარი ხარ, დამიკო?

ასე თქვა — „დამიკო“!

— ოთარ შალამბერიძე ვარ, — ვუპასუხე და ეგზემპლარებიანი საქალაქიდან ხელიდან ხელში გადავანაცვლე. წამით გავიფიქრე, ჩემი პირველი წიგნი ხომ არ ვაჩუქო-მეთქი, მაგრამ ფიქრი აბეზარი კრახანასავით ჩამოვიშორე... არც ისეთი კადნიერი გახლდით. ამ დროს თავისთვის ჩურჩულებდა:

— დიდებულია!... მშვენიერია!..

ვერ მივხვდი, რა იყო დიდებული და რა — მშვენიერი. ის კი განაგრძობდა:

— ცოცხალი პოეტები... — ისევ მომიბრუნდა, — განა შოთა, გურამიშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა ცოცხლები არ არიან?... განა მათ სიკვდილი მოერევათ?... ცოცხალი... სიცოცხლე... კარგია!... მშვენიერია...

— დიას, ბატონო გალაკტიონ, — ჩავურთე მე, — ვინ გაიგონა, რუსთაველი და მშვიდი?... დამშვიდება და ვაჟა?... „წინამურში რომ მოკლეს ილია“...

არ ვიცი, რას შეეძლო ჩემი გაჩერება. ამასობაში ხიდი გადავიარეთ და გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოსთან“ შევჩერდით.


— დამიკო, მე აქ დაგემშვიდობებით, — თქვა და ისევ ჩამომართვა ხელი.

— გმადლობთ, ბატონო გალაკტიონ, თქვენთან შეხვედრა ჩემთვის ნამდვილი ღვთის წყალობა იყო.

— ოჰ, ოჰ, ოჰ, ცოცხალი პოეტები... სიცოცხლე... მშვენიერია!... მშვენიერი!... აბა, მშვიდობით, დამიკო!....

ორივე ხელი აღმართა, უმაღვე ჩამოუშვა და ქუჩის მოპირისპირე მხარეს გადავიდა.

გავიდა წელიწადზე ცოტა მეტი და ქვეყანას საზარელი ამბავი მოედო, გალაკტიონმა თავი მოიკლა.



ბავლე

ფირფილაშვილი:

როდესაც ხელი

გამოწვდილი

რჩება ჰაერში

1945 წლის შემოდგომაა. ვერის ხიდზე გალაკტიონი დავინახე. მოაჯირზე უშიშრად მჯდარ მამაკაცს რაღაცაზე ესაუბრებოდა. ახლოს მისულმა სპარტაკ ბალაშვილი შევიცანი.

გამვლელთაგან ზოგი ცნობის-მოყვარეობას ვერ ფარავდა და ჩემსავით ჩერდებოდა, ზოგიც ფეხშენელებით მიდიოდა და თან თვალი მათკენ რჩებოდა.

სპარტაკი მოაჯირიდან უცებ ჩამოხტა, გალაკტიონს თავი მდაბლად დაუკრა და მკერდზე ემთხვია.

„დამიკო, წავიდეთ!“ — გავიგონე პოეტის სიტყვები.

ხიდის მარცხენა ყურესთან ხელკავით მისულები შეჩერდნენ.

იქ ერთი ცალფეხა რუსი სამხედრო იჯდა, გადმოხრუნებულ ქუდში მონყალეობას აგროვებდა.



გალაკტიონი დაიხარა, ქუდი აიღო, ხურდა ხელში მოაგროვა და მათხოვარს რუსულად უთხრა:

— მომეცი ეს ფული, თუ შეიძლება!

— წაილე, მშვიდობით მოიხმარე! — არც დაფიქრებულა რუსი.

პოეტმა ხურდა მართლაც ჯიბეში ჩაიყარა. სამაგიეროდ, საფულიდან წითელი სამთუმნიანი ამოიღო და ქუდში ჩაუგდო.

\*\*\*

ომის შემდეგ, 1946-47 წლებში მთელ საქართველოს მოედო „ლუგელას“ წყლის „სასწაულმოქმედების“ ამბავი.

იმხანად ვერის ბაზრის თაღოვანი შესასვლელის ხელმარცხნივ, კუთხეში ერთი საჩაიე იყო, მარჯვნივ „ლუგელას“ და მჟავულობას ყიდდნენ. ერთხელ ამ საჩაიეში ამხანაგებთან ერთად შევედი. ხალხით სავსე დარბაზში ერთ მაგიდასთან მარტო იჯდა გალაკტიონი, მანონს შეექცეოდა და თან „ლუგელას“ სასწაულებზე მოუბარ ხალხს უსმენდა.

ცხადია, ვერ გაუზუბდეთ შენუხება და სხვა მაგიდასთან ადგილის გათავისუფლებას ველოდებოდით. თავად შეგვნიშნა და შემოგვთავაზა, მასთან დავსხდარიყავით. ალბათ, ჩვენი აღჭურვილობით მიხვდა, რომ სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტები ვიყავით და გვკითხა:

— ძამიკოებო, რომელი კურსის მედიკოსები ხართ?

მიუვგეთ, რომ მისი ძმისწულის — ვასილ ტაბიძის კურსზე ვსწავლობდით.

— ესე იგი მესამე კურსზე, არა? თქვენ გეცოდინებათ „ლუგელას“ წყლის შესახებ. ნუთუ რასაც ხალხი ამბობს, მართალია!

ჩემი მეგობარი პ. რობაქიძე ყველაზე თამამი აღმოჩნდა და უცებ ჩამოარაკრაკა:

— „ლუგელას“ წყალი არის ბუნებრივი კალციუმ-ქლორატი. მხოლოდ ეგაა, ზოგიერთი ელემენტი მასში უფრო ჭარბადაა წარმოდგენილი და ამის გამო უფრო მწარეა. რაც შეეხება მის სამკურნალო დანიშნულებას, ისეთივეა, როგორც კალციუმ-ქლორატისა... კერძოდ, იგი შეიძლება გამოვიყენოთ ტუბერკულოზის, ბრონქიალური ჯირკვლების გადიდების, უმადობის

დროს. ასევე სისხლის დენის შესაჩერებლად...

— ტუბერკულოზი, ბრონქიალური ჯირკვლების გადიდება, სისხლის დენა, უმადობა, — გაიმეორა გალაკტიონმა, — ესე იგი, გამოდის, რომ „აბესალომ და ეთერის“ ლეგენდა სწორ ცნებას შეიცავს. აბესალომი უმადობით და შეიძლება ტუბერკულოზითაც იყო დაავადებული და მურმანი ამიტომ გააგზავნა ცხანყაროს — „ჩხოროჭყუს“ უკვდავების წყალზე. მაშასადამე, სხვა რამ ბოროტი განზრახვა არა ჰქონია. ასე არ გამოდის, ძამიკო?

ჩემი მეგობარი უფრო გათამამდა:

— დიახ, ბატონო გალაკტიონ! ამ საჩაიეს წყალობით ხშირად გხედავთ ბაზარში, თავისუფლად მოსიარულეს, დადიხართ და ათვალიერებთ...

— ძამიკო! ბაზარი ჯერ ერთი, ქვეყნის ბარომეტრია, — გაელიმა პოეტს, — პირველად აქ გაიგებ, როგორი ჭინახულია ქვეყანაში, რა უჭირს და რა ულხინს მშრომელ ადამიანს, მეორეც ბაზარში მარტო სურსათი კი არა, სიტყვაც მოაქვთ, ესა თუ ის გამოთქმა, ანდაზა, ლექსი, ნაკვესი... მე აქ უბის წიგნაკითა და ფანქრით შეიარაღებული დავდივარ, რომ ჩვენი ხალხის დიდი სიბრძნე, რომელიც ამა თუ იმ გამოთქმაშია დაუნჯებული, ჩავინერო და დაკარგვას გადავარჩინო. მინდა, რაც შეიძლება ბევრი წავილო ჩემი „სამზარეულოსათვის“.

\*\*\*

ჩემი სტუდენტობისას ვაკეში კოლმეურნეობის მურნეობიდან ხუთი ნომერი ტრამვაი დადიოდა. ერთხელ სტუდენტალაქის გაჩერებაზე ვიდექი. ტრამვაი გაჩერდა. რონოდაში ასვლამდე ჯერ ბავშვიან ქალს მივეცი გზა. ასვლაშიც მივეხმარე. ყველა სკამი დაკავებული იყო. წყვილადგილიან სკამზე მარტო იჯდა გალაკტიონი. პოეტი შემჭიდროვდა და ბავშვიანს დაჯდომა შესთავაზა. ქალს მადლობაც არ უთქვამს, ისე მოკალათდა მის გვერდით.

ბავშვმა გალაკტიონისკენ გაიწია. პოეტმაც მოფერება დაიწყო. მგზავრები გაირინდნენ. ყველა თვალს ადევნებდა. შემდეგ გაჩერებაზე მეზობლად ერთადგილიანი

სკამები გათავისუფლდა. ქალმა იმ წუთასვე უბოდიშოდ მოაშორა გალაკტიონს ბავშვი და სხვაგან გადაჯდა. პატარას პოეტისაკენ გამვერილი ხელები ჰაერში დარჩა.

გალაკტიონი უხმოდ შებრუნდა ფანჯრისკენ, ხალხს სახე აარიდა.

მეოთხე გაჩერებაზე ქალი ჩამოვიდა, მეც ჩამოვეყვი. კალანდაძის ქუჩაზე შემნიშნა, შეჩერდა და ადევნების მიზეზი მკითხა.

— რატომ არ მიეცით გალაკტიონს საშუალება, რომ თქვენს ბავშვს წესიერად მოფერებოდა, იქნებ სურდა, ხელში აყვანა? — ვუთხარი გულდანყვევით.

— როგორ, ის, წვერიანი კაცი, ღვინო-არყის და თამბაქოს სუნი რომ ასდიოდა, გალაკტიონი იყო? — გაიკვირვა ქალმა.

მე დავეუდასტურე.

— დიდუ! ჩემი სიკვდილი! — ამოხვრით შეიცხადა მან, — რატომ მინა არ გამისკდა და შიგ არ ჩავვარდი, ტრამვაიდან რომ ჩამოვდიოდი! როგორ უნდა თქვას ჩემმა ბავშვმა, რომ პატარაობისას ტრამვაიში მისი მოფერება სურდა გალაკტიონს, მაგრამ ბედოვლათმა დედამისმა საშუალება არ მისცა და განანყენებული დატოვა... ღმერთო, ეს როგორ დამემართა!...

მას შემდეგ ქალი აღარსად შემხვედრია.

\*\*\*

1947 წლის შემოდგომაზე მე და ჩემმა მეგობრებმა — პ. რობაქიძემ და ალ. ანასაშვილმა აფიშებიდან შევიტყვეთ, რომ რკინიგზელთა სახლში გალაკტიონისადმი მიძღვნილი საღამო უნდა გამართულიყო.

ადგილის დასაკავებლად ცოტა ადრე მივედით, მაგრამ ადმინისტრატორის მეტი არავინ დაგვხვედრია.

ცოტა ხანში ორი-სამიოდე კაციც მოგვემატა. პრეზიდიუმში გალაკტიონს რამდენიმე კაცი ახლდა, მაგრამ აუდიტორიას მეტი აღარავინ შემომატებია. გავიდა ნახევარ საათზე მეტი, არაფერი შეცვლილა... ერთი სიტყვით, მოცდას აზრი აღარ ჰქონდა.

საღამო ჩაიშალა...

ჩვენ უნებური მოწმენი გავხდით, თუ როგორ ქვითინებდა მეფე-პოეტი.



\*\*\*

1950 წლის მაისში სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტებს ქალაქის მეორე საავადმყოფოს ზოგადი ქირურგიის განყოფილებაში პრაქტიკული მეცადინეობები დაგვეწყო. ანბანთრიგზე გამართულ სიაში ბოლოს ვენერე და, როდესაც ასისტენტმა ყოველ სტუდენტს ავადმყოფი მიამაგრა ისტორიის შესადგენად, მე „უავადმყოფოდ დავრჩი“, მაგრამ ბედმა თურმე სწორედ მე გამოიღიმა — ასისტენტმა პროფესორ დავით იოსელიანის კაბინეტში შემეყვანა ჩემი ამბის გასარკვევლად.

— პოეზია, მწერლობა თუ გიყვარს? — მკითხა ბატონმა დავითმა.

— დიახ! — ვუპასუხე მოულოდნელი კითხვით დაბნეულმა.

— გალაკტიონის პოეზიას თუ იცნობ, მისი რომელი ლექსი გახსოვს?

რამდენიმე ქმნილება დავუსახელებე.

— აბა, თუ გახსოვს, „მესაფლავე“ ნამიკითხე!

ლექსის კითხვა რომ დავასრულე, „თანახმა ვარ, ვენდოთ ამ ყმანვილსო“, — თქვა პროფესორმა და განაგრძო: — უკვე სამი დღეა, ჩვენთან, ცალკე პალატაში წევს გალაკტიონი. იგი აქაც მუშაობს, ამიტომ დიდად ნუ შევანუხებთ; შეურჩიე ისეთი დრო, როცა თავისუფალი იქნება; ეცადე, ისე შეადგინო მისი ავადმყოფობის ისტორია, წვრილმანიც არ გამოგრჩეს!

მერე გალაკტიონის მკურნალ ექიმს — მიშა მესხს სთხოვა, ჩემთვის ახლადგაკეთებული ანალიზებით სარგებლობის ნება დაერთო.

პალატაში შევედი.

იწვა გალაკტიონი, მარცხენა ქვედა კიდურზე თაბაშირის ნახვევი ედო, გაზეთს კითხულობდა. ჩვენი დანახვისთანავე გაზეთი გადადო.

— ბატონო გალაკტიონ, ეს სტუდენტი თქვენი პოეზიის დიდი თაყვანისმცემელია, მომავალი ექიმი და, თუ ნებას დაგვრთავთ, თქვენი ავადმყოფობის ისტორიას შეადგენს.

— კი, ბატონო! — გაეღიმა პოეტს.

პროფესორმა და ასისტენტმა დაგვტოვეს. მე, ექიმის მეთვალყურეობით, რამდენადაც შემეძლო, ავადმყოფი გულმოდგინედ გავსინჯე და ისტორიის წერას შევუდექი:

„ავადმყოფი ტაბიძე გალაკტიონ ვასილის ძე, 59 წლის.



დიაგნოზი: მარცხენა წვივის ორგოჯოვანი მოტეხილობა სახსარში და კანქვეშ დიდი სისხლჩაქცევებით... რადგან კიდური ძლიერ დასივებული და ჩალურჯებულია, გაუკეთდა განმეორებითი თაბაშირის - „ვოლკოვიჩის“ ნახვევი და ერჩია წოლითი რეჟიმი. კიდურს მიეცა მაღლივი მდგომარეობა...“

ჩემი ნაწერი ექიმისას შევადარეთ. რაიმე არსებითი განსხვავება ავადმყოფობის ისტორიაში არ იყო. ჩემს „ისტორიასაც“ იგივე ნომერი — 898 დავუსვი.

წარმოდგინეთ, როგორ გამიხარდებოდა!

ეს ისტორია დღემდე რელიკვიად ინახება ჩემს არქივში.

\*\*\*

ავადმყოფ გალაკტიონს მეორედ ხუთი წლის შემდეგ შევხვდი. უკვე ექიმი ვიყავი, რესპუბლიკის ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში ვმუშაობდი. ოქტომბრის თვეში თრეპაიის განყოფილებაში დანვა სამკურნალოდ. როცა ცოტა მომჯობინდა, ახალგაზრდა ექიმთა ჯგუფის ინიციატივით საავადმყოფოს კლუბში სამახსოვრო საღამო გავუმართეთ. დარბაზი ხალხს ვერ იტევდა. ფანჯრები გააღეს, რათა ავადმყოფთა ნაწილს გარედან მაინც მოესმინა გამომსვლელთათვის. გალაკტიონი უსაზღვროდ ბედნიერი ჩანდა.

საღამოს დასრულების შემდეგ პოეტს თაყვანისმცემლები გარსს შემოეხვივნენ. გულითადი საუბრისას მან იქვე მდგარ მთავარ ექიმს გ. ქობულას და პარტიზურის მდივანს განცხადება გადასცა.

ადმინისტრაციას სთხოვა, აღეძრა შუამდგომლობა მთავრობის წი-

ნაშე, რათა მტკვრის მარცხენა სანაპიროსთვის გალაკტიონის სახელი ეწოდებინათ. მოტივად იმას ასახელებდა, რომ ამ სანაპიროზე, ვერის ხიდთან, თავისი საცხოვრებელი სახლის პირდაპირ მდებარეობდა მისი ტომეულების „სამშობიარო სახლიც“ (ასე მოიხსენებდა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“).

რასაკვირველია, ადმინისტრაცია იმ ტკბილ საღამოს დაჰპირდა საკითხის მოგვარებას, მაგრამ იმხანად მას ასრულება არ ეწერა. პიროვნების კულტის პერიოდში ამ საძნელო საქმეს ვინ მოჰკიდებდა ხელს!

\*\*\*

როცა გალაკტიონის ტრაგიკული დაღუპვის ამბავი შევიტყვე, იმდროინდელ სამკურნალო კომბინატს მივაშურე. მიწოდდა, იქ მომუშავე ექიმებისგან გამეგო მიზეზი, მაგრამ ისინი საეჭვოდ ორჭოფობდნენ. იგრძნობოდა, რომ რაღაც იმალება, სიმართლის თქმას ერიდებოდნენ. პროფესიულმა მოუსვენრობამ მძლია. ასე თუ ისე, ვიცოდი საავადმყოფოში გალაკტიონის ქცევის წესი. ვესაუბრე იმ დღით მომუშავე სანიტრებსა და დამლაგებლებს. ნაწილი აღშფოთებული იყო, არც მალავდა სიმართლეს. განაწყენებულნი იყვნენ „ინტელიგენტებზე“, რომელთაც, მათი თქმით, ამგვარ ვითარებაში არ დაზოგეს გალაკტიონი, მისი ნაზი ბუნება და თვითმკვლელობისკენ უბიძგეს.

ყველა მათგანის ნაამბობი გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა ერთმანეთს: საავადმყოფოს მესამე სართულზე გარდაცვლილი შალვა დადიანის ცხედრის მოსანახულებლად პირველ რიგში „უფროსობა“ დაიძრა. გალაკტიონი, რომელიც იმ დღეს მოათავსეს სამკურნალოდ მეორე სართულზე, მესამე სართულის ასასვლელ კიბესთან დამდგარა და მოწინავე მწერალთა ერთ ჯგუფს სამძიმრის სათქმელად წინ მიგებებია. რამდენიმე მათგანისთვის ხელი გაუნვდია ჩამოსართმევად, მაგრამ არც ერთს არ ჩამოურთმევია, გვერდი აუქცევიათ და მესამე სართულზე ასულან... გალაკტიონს გაშვერილი ხელი ჰაერში დარჩენია, აცრემლებულა. რამდენიმე წუთში ისიც მესამე სართულზე ასულა და თვალს მოფარებია, „გაუჩინარებულა“... მერე მოხდა ის, რამაც შესძრა სრულიად საქართველო...

# დიმიტრი ბაქრაძე

ქართველი ისტორიკოსი, არქეოლოგი და ეთნოგრაფი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1879) დიმიტრი ზაძარიაძე ძე ბაძარაძე დაიბადა 1826 წლის 7 ნოემბერს სოფ. ხაშში (საგარეჯოს რაიონი). დაამთავრა თბილისის სასულიერო სასწავლებელი, შემდეგ მოსკოვის სასულიერო აკადემია (1850). 1851 წელს საქართველოში დაბრუნდა. 1852-1857 წლებში ბაქრაძე მუშაობდა გორის სამაზრო სკოლაში. ამავე პერიოდში აქვეყნებდა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ წერილებს ქართულ და რუსულ პერიოდულ პრესაში. 1858-1861 წლებში მსახურობდა ქუთაისის გუბერნატორის კანცელარიაში. 1861 წლიდან გარდაცვალებამდე ცხოვრობდა თბილისში, თანამშრომლობდა კავკასიის არქეოგრაფიულ კომისიაში, თავმჯდომარეობდა საადგილმამულო კომისიებს, ეწეოდა ინტენსიურ მეცნიერულ მუშაობას.



ბაქრაძის ინიციატივით დაარსდა კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოება (1873), რომლის ბაზაზე მისივე თავმჯდომარეობით შეიქმნა კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საზოგადოება (1881-1886). ბაქრაძემ სამეცნიერო მიზნით იმოგზაურა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ რაიონებში (გურია, აჭარა, შავშეთი, არტანი, კლარჯეთი და სხვ.). მოგზაურობის შედეგი იყო ნაშრომები „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“ (1878), „შენიშვნა ბათუმის ოლქის შესახებ“, „ყარსის ოლქის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი“ და სხვ.

თბილისში ჩატარდა რუსეთის არქეოლოგთა V ყრილობა, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი საქართველოს ისტორიის კვლევის გაფართოებას. **1879 წელს ბაქრაძემ დ. ყიფიანთან და ი. ჭავჭავაძესთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებაში.** 1889 წელს მისი ინიციატივით შეიქმნა სიძველეთა თავმოყრისა და დაცვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კერა რევოლუციამდელ საქართველოში — თბილისის საეკლესიო მუზეუმი.

ბაქრაძის რედაქტორობით გამოქვეყნდა იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“ (ნან. 1, 1862), ვახუშ-

ტის „საქართველოს ისტორია“ (1885), ვახტანგ VI-ის კანონთა კრებულის რუსული თარგმანი (1887) და სხვ. იგი წერდა ნარკვევებს საქართველოს ისტორიის ცალკეულ საკითხებზეც; 1889 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი „ისტორია საქართველოსი“ (უძველესი დროიდან X საუკუნის დასასრულამდე).

80-იან წლებში გამანადგურებელი პასუხი გასცა ქ. პატკანოვს, რომელიც ხელაღებით უარყოფდა „ქართლის ცხოვრების“, როგორც ისტორიის წყაროს, მნიშვნელობას. თავის ნაშრომებში ბაქრაძე დიდ ყურადღებას უთმობდა ნივთიერ კულტურულ ძეგლებს, მათ აღწერას, სალექსიკონო მასალას. **1875 წელს ლექსიკონის სახით შეადგინა „კავკასია ქრისტიანობის უძველეს ძეგლებში“** (რუსულ ენაზე), რომელიც შეიცავს ცნობებს საქართველოსა და სომხეთის ხუროთმოძღვრული ძეგლების შესახებ, სათანადო ბიბლიოგრაფიითურთ. ბაქრაძემ საფუძველი ჩაუყარა საქართველოს ისტორიის დამხმარე მეცნიერულ დარგებს (პალეოგრაფიას და სხვ.).

გარდაიცვალა 1890 წლის 10 თებერვალს (22 თებერვალი) თბილისში, დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში.

დავ სვანიძე



ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკა და მუზეუმი



ნიკოლოაი სილაგვი

# ეთნოსი და პოლიტიკა ჩრდილოეთ კავკასიაში: ჩერქეზული საკითხი

მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის ბოლო წლებში ჩრდილოეთ კავკასია რუსულ-ქართული უთანხმოებების ერთ-ერთი პუნქტი იყო, თუმცა ხელისუფლების ცვლილების შემდეგ საქართველოში მდგომარეობა შეიცვალა.

საქართველოს პრემიერმინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ განაცხადა, რომ საქართველო მონაწილეობას მიიღებს სოჭის ოლიმპიურ თამაშებში, რომელთა წარმატებით ჩატარებაც რუსეთის ხელმძღვანელობისთვის მნიშვნელოვანია, როგორც ქვეყნის, მათ შორის სამხრეთ რეგიონების, სტაბილურობისა და კეთილდღეობის ნიშანი. ამას მოჰყვა შეთავაზება თანამშრომლობაზე ოლიმპიადის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, რომელიც რუსეთში გაგებით მიიღეს. ეს მრავალი წლის განმავლობაში პირველი შემთხვევაა, როცა დიპლომატიური ურთიერთობების არმქონე მეზობელ ქვეყნებს შორის თანამშრომლობა მიმდინარეობს ასეთ

მგრძობიარე სფეროში.

ქართველი პოლიტიკოსები და ანალიტიკოსები სულ უფრო ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ საქართველოსა და რუსეთის ინტერესები ჩრდილოეთ კავკასიაში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით ერთმანეთს ემთხვევა. ორივე ქვეყანა დაინტერესებულია ამ რეგიონის სტაბილურობითა და მშვიდობიანი განვითარებით. კონფლიქტების ესკალაციას კავკასიონის მთავარი ქედებიდან ჩრდილოეთით, შესაძლოა, ორივესთვის კატასტროფული შედეგები მოჰყვეს. ასეთ საკითხებში თანხმობა მით უფრო მნიშვნელოვანია, როცა მოსკოვი და თბილისი ჯერჯერობით იშვიათად თანხმდებიან რაიმეში.

მიუხედავად იმისა, რომ თავად შეთანხმების ფაქტი სასიხარულოა, რეგიონული თანამშრომლობის კონკრეტული გზები, უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობის გარდა, ჯერ მხოლოდ მოიაზრება. ვიდრე ისინი შეიქმნება, საჭირო იქნება თავად სიტუაციის ქართული და რუსული ხედვა რეგიონში დაახლოვ-



დეს და აიხსნას რუსული პოლიტიკა ქვეყნის სამხრეთში. აღნიშნული მოხსენება არ აცხადებს პრეტენზიას ამ საკითხის გადამწყვეტაზე, მაგრამ წარმოადგენს მცდელობას, მცირე ნვლილი შეიტანოს მისი გადამწყვეტის საქმეში. მოხსენება ეფუძნება არაკომერციული პარტნიორობა „კავკასიური თანამშრომლობის“ მიერ 2012 წელს ჩატარებული კვლევის „ჩერქეზული საკითხი: ეროვნული მოძრაობა თანამედროვე რუსეთში“ მასალებს.

## „ჩერქეზული საკითხი“ პოსტსაბჭოთა ათწლეულებში

თანამედროვე სახით ჩერქეზული ეროვნული მოძრაობა გასული საუკუნის 80-იანი წლებში ჩაისახა. ჩერქეზულმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ქვეყანაში გაჩნდნენ, დაიწყეს ერთიანი სტრუქტურების შექმნა და კავკასიასა და უცხოეთში მცხოვრები ყველა ჩერქეზის ინტერესების ფორმულირება.

აქ როლი რამდენიმე ფაქტორმა ითამაშა. ეკონომიკურ ზრდასა და ურბანიზაციასთან ერთად ახლო აღმოსავლეთის ჩერქეზული სათემოებისთვის სულ უფრო აქტუალური ხდებოდა ასიმილაციის პერსპექტივა. სსრკ-ში 60-იანი წლების შუაგულში შეინიშნებოდა საერთო მოძრაობა „ფესვებთან დაბრუნება“, რომელმაც პრაქტიკულად ყველა ეთნიკური ჯგუფის ინტელექტუალები მოიცივა და ხელისუფლების მხარდაჭერა მიიღო.

ჩერქეზი აქტივისტებიდან რიგი რესპოდენტებისა აღნიშნავს, რომ

საზღვარგარეთ თანამემამულეებთან კავშირების გამყარების პირველი ნაბიჯები ჯერ კიდევ 60-იანი წლებში გადაიდგა, როდესაც უცხოეთში საბჭოთა მაუნყებლობის არაბული რედაქციის კორესპონდენტმა კოზეტა ბეკმა დაიწყო ახლო აღმოსავლეთის ჩერქეზულ დიასპორასთან კონტაქტის დამყარება, თანაც ყაბარდო-ბალყარეთში მისი მუშაობა მხარდაჭერილ იქნა ყაბარდო-ბალყარეთის საბჭოთა ავტონომიური რესპუბლიკის პარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის — ტიმბორ ამალბახოვის მიერ. 80-იანი წლე-



ბის შუაში კავკასიაში უკვე აქტიურად მოქმედებდა საზოგადოება „სამშობლო“, რომელიც თანამემამულეებთან კავშირებზე ამახვილებდა ყურადღებას.

80-იანი წლების ბოლოდან დაიწყო ჩერქეზული საზოგადოებების ინტეგრაცია საერთაშორისო ორგანიზაციებში. 1988 წლის ოქტომბერში ანკარაში ჩატარდა „ჩრდილოკავკასიური კულტურის კვირეული“, რომელიც XIX საუკუნის კავკასიური ომის დასრულების 125-ე წლისთავს მიეძღვნა. ამ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს როგორც ჩრდილოკავკასიური რესპუბლიკების, ასევე უცხოეთის ადიღეური საზოგადოების წარმომადგენლებმა სირიიდან, იორდანიიდან, აშშ-დან, გერმანიიდან, თურქეთის სხვადასხვა რაიონებიდან. მიღებულ იქნა დეკლარაცია, რომელშიც საუბარი იყო სურვილზე, გაეცნოთ მსოფლიო ერებისთვის ჩერქეზული დიასპორის პრობლემები, მისი სწრაფვა, გაეფართოებინა კავშირები ისტორიულ სამშობლოსთან და ასევე, დიასპორის ნაწილის სურვილი, დაბრუნებულიყო ჩრდილოეთ კავკასიაში.

1991 წლის მაისში ნალჩიკში გამართა აშშ-ის, დასავლეთ ევროპის, ახლო აღმოსავლეთის ჩერქე-

ზული ორგანიზაციების კონგრესი, რომელშიც ასევე მონაწილეობდნენ აფხაზეთის, ადიღეს, ყაბარდო-ბალყარეთის, ყარაჩაი-ჩერქეზეთის სამთავრობო დელეგაციები.


**კონგრესზე დაფუძნდა ჩერქეზთა მსოფლიო ასოციაცია, რომელსაც მოგვიანებით ჩერქეზთა საერთაშორისო ასოციაცია (ჩსა) დაერქვა.** ჩსა-ს პროგრამა მთავარ მიზნად ისახავდა ჩერქეზი ხალხის კულტურული და სულიერი მემკვიდრეობის აღორძინებასა და განვითარებას, მისი ეროვნული იდენტობის შენარჩუნებას, „ჩერქეზთა ნამდვილი ისტორიის აღდგენას“, აგრეთვე, „კანონით დადგენილი წესით“, იმ ჩერქეზთა დახმარებას, რომელთაც სურვილი აქვთ, დაუბრუნდნენ ისტორიულ სამშობლოს.

**90-იანი წლების დასაწყისში ჩამოყალიბდა ჩერქეზული ეროვნული მოძრაობის დისკურსი, რომელიც ახლაც დომინირებს საჯარო სფეროში.** მის ძირითად თემად იქცა კავკასიური ომების შედეგად ჩერქეზთა გენოციდად აღიარების აუცილებლობა, ჩერქეზთა დიასპორის კავკასიაში რეპატრიაციისკენ მოწოდება და პერსპექტივაში — ერთიანი ჩერქეზული ადმინისტრაციულ-ტე-

**რიტორიული წარმონაქმნის შექმნა ჩერქეზული კომპონენტის მქონე სამი რესპუბლიკის — ყაბარდო-ბალყარეთის, ყარაჩაი-ჩერქეზეთისა და ადიღეს ადგილას.**

ნალჩიკელი მკვლევარი ასლან ბოროვი აღნიშნავს, რომ 90-იანი წლებში ჩერქეზული ეროვნული მოძრაობისა და ფედერალური ხელისუფლების ურთიერთობები დაძაბული არ ყოფილა. **ჯერ ერთი**, რუსეთის ფედერაციაში მყოფი რესპუბლიკების სუვერენიზაციის პროცესი დიდწილად ისრუტავდა ეთნიკური აქტივისტების ენერჯიას და იმედს აძლევდა მათ, რომ დროთა განმავლობაში მოძრაობის ყველა მიზანი მიღწეული იქნება. **მეორეც**, რუსეთში ისტორიული წარსულის გადახედვის პროცესი მიმდინარეობდა, რომლის ფარგლებშიც კავკასიური ომების მიმართ დამოკიდებულება ც გადაიხედებოდა; ამ პროცესის ნათელ პოლიტიკურ გამოხატულებად იქცა პრეზიდენტ ბორის ელცინის მიმართვა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებისადმი, ამ ომის ტრაგიკულობის აღიარებითა და მისი ყველა მსხვერპლის მიმართ სამძიმროთ. **მესამეც**, მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე ცნობილი ჩერქეზული ორგანიზაციები ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში უშუალოდ ჩართული არ იყვნენ, მათ არაერთხელ გამოხატეს თანაგრძნობა და მხარდაჭერა აფხაზური მხარის მიმართ. ამ პირობებში ისინი მზად არ იყვნენ, იდეოლოგიურ საკითხებში მოსკოვთან დასაპირისპირებლად.

2000 წლიდან რუსეთში ფედერალურ ცენტრსა და რეგიონებს შორის ურთიერთობის შეცვლა დაიწყო. ფედერაციის საბჭოს რეფორმის შედეგად რესპუბლიკების გუბერნატორებმა და პრეზიდენტებმა რუსეთის პარლამენტის ზედა პალატის წევრთა სტატუსი დაკარგეს; დაიწყო რეგიონული კანონმდებლობების შემოწმება ფედერალურთან შესაბამისობაზე; შეიქმნა ფედერალური ოლქები პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენლებით,



**90-იანი წლების დასაწყისში ჩამოყალიბდა ჩერქეზული ეროვნული მოძრაობის დისკურსი, რომელიც ახლაც დომინირებს საჯარო სფეროში. მის ძირითად თემად იქცა კავკასიური ომების შედეგად ჩერქეზთა გენოციდად აღიარების აუცილებლობა, ჩერქეზთა დიასპორის კავკასიაში რეპატრიაციისკენ მოწოდება და პერსპექტივაში — ერთიანი ჩერქეზული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნის შექმნა ჩერქეზული კომპონენტის მქონე სამი რესპუბლიკის — ყაბარდო-ბალყარეთის, ყარაჩაი-ჩერქეზეთისა და ადიღეს ადგილას.**



რომლებიც თუმცა არ ფლობდნენ მნიშვნელოვან უფლებამოსილებებს, რიგ შემთხვევებში რეგიონებსა და მოსკოვს შორის შუალედურ ადმინისტრაციულ ინსტანციებად იქცნენ; და ბოლოს, 2004 წელს რეგიონთა მეთაურების არჩევნებზე უარი ითქვა. ყოველივე ამან რუსულ პოლიტიკაში თამაშის ახალი წესები ჩამოაყალიბა.

თავად ამ ძვრებს რუსეთის შემადგენლობაში მყოფი რესპუბლიკების ეთნიკური მოძრაობების აქტივიზაცია არ გამოუწვევია. თუმცა იგი იმ პოლიტიკური შესაძლებლობების უნიკალური სტრუქტურის ელემენტი გახდა, რომელიც წინა ათწლეულის შუაგულში ჩერქეზული მოძრაობისთვის ჩამოყალიბდა და რომლის წყალობითაც „ჩერქეზული საკითხი“ დღევანდელი სახით დაისვა.

ეთნიკურმა მოძრაობებმა გამოიწვია საბჭოთა კავშირის კრახი და პოტენციურად შეუძლია ასევე დამანგრეველი ზემოქმედება იქონიოს რუსეთის ფედერაციაზე.

რაც შეეხება შემთხვევით ფაქტორებს, რომლებმაც პოლიტიკური შესაძლებლობების სტრუქტურა ჩამოაყალიბეს, ასეთები იყო, პირველ რიგში, ადიღეს რესპუბლიკის კრასნოდარის ოლქთან შეერთების პერსპექტივების განხილვა 2004-2005 წლებში, ხოლო მეორე — სოჭის ოლიმპიადის პროექტი.

**ადიღეს კრასნოდარის ოლქში შემავალი ავტონომიიდან ფედერაციის დამოუკიდებელ სუბიექტად ქცევა ჩერქეზი აქტივისტების მიერ თავად რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთ ფასდებ**


**ბა, როგორც მათი მნიშვნელოვანი გამარჯვება, ისტორიული სამართლიანობის აღდგენა და ჩერქეზთა თვითმყოფადობის შენარჩუნების გარანტია.** ამიტომ 2004 წლის ბოლოს ინფორმაციულ სივრცეში რესპუბლიკის ოლქთან გაერთიანების თემის გაჩენამ ეროვნული ორგანიზაციების შემოერთება გამოიწვია.

ადიღეს სტატუსის შენარჩუნებისთვის ბრძოლა პრეცედენტად და მოდელად იქცა. ჯერ ერთი, ჩერქეზ აქტივისტებს, რომლებმაც ხმამაღლა განაცხადეს სტატუსის დაკარგვის საფრთხისა და ამ საკითხთან დაკავშირებით თავის უკმაყოფილების შესახებ, შეეძლოთ, გამარჯვება ეზეიმათ, როდესაც ჭორები ჭორებად დარჩა. მეორეც, **მათთვის საკმარისი აღმოჩნდა, მიეტანათ თავისი სიტყვები რამდენიმე უმსხვილეს გაზეთამდე, ინტერნეტსაიტამდე და რადიოსადგურამდე, რათა მიმდინარე მოვლენები საზოგადოების მიერ აღქმული ყოფილიყო, როგორც შეღავათი ეროვნული გრძნობების ნიადაგზე აღმოცენებული ძლიერი სახალხო მისწრაფება.** მესამეც, მთელ მსოფლიოში წარმატებით შეიქმნა ჩერქეზული დიასპორის მობილიზაციის ეფექტი, რის გამოც ეროვნული უმცირესობების დროშის ქვეშ რუსეთის საშინაო საქმეებში გარედან ჩარევის აჩრდილი გაჩნდა. მეოთხეც, ჩერქეზი აქტივისტები ამ ეფექტის წყალობით ფედერალურ „ნიუსმეიკერებად“ იქცნენ და ამან თავი იჩინა, როდესაც დღის წესრიგში სოჭის ოლიმპიადა დადგა.

სოჭი ჩერქეზული ეროვნული მოძრაობისთვის ნიშანდობლივი ადგილია. სწორედ კრასნაია პოლიანაში, სადაც გაიმართება ოლიმპიური შეჯიბრებების ნაწილი, 1864 წლის მაისში ერთმანეთს შეხვდნენ რუსეთის იმპერიის ჯარის ნაწილები, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებიდან უტყვევდნენ და მთებში დევნიდნენ მოსახლეობას ყუბანის ზეგანზე ან ზღვისპირეთში ოსმალეთის იმპერიაში ემიგრაციისთვის. რამდენიმე წლით ადრე იმპერიასთან მეზობლ ჩერქეზთა ბელადებს ბოლო მცდელობა ჰქონდათ, გაერთიანებინათ თავიანთი ძალები დაპირისპირებისთვის და სწორედ სოჭში მდებარეობდა მეჯლისი — მეზობლთა გაერთიანების სახელისუფლო ორგანო.

სოჭში ოლიმპიადის ჩატარების წინააღმდეგ პროტესტი არ იყო იმდენად კონსოლიდირებული, როგორც ადიღესა და კრასნოდარის მხარის შეერთების გამო — ბევრმა ჩერქეზულმა ორგანიზაციამ მხარი დაუჭირა ოლიმპიადას, მოითხოვა მის კულტურულ პროგრამაში ჩერქეზული კომპონენტის ჩართვა. სახალხო კამპანია ლოზუნგით „სოჭი — გენოციდის მიწა“ შედარებით ნაკლებ ხანს გაგრძელდა და მასობრივი არ ყოფილა. თუმცა მასში მკვეთრად გამოჩნდა ჩერქეზი აქტივისტების ძალის მთავარი წყარო — საერთაშორისო ეთნიკური ორგანიზაციები და ქსელები, რომლებიც მთელი მსოფლიოს დიასპორებს აკავშირებდნენ. ასე, კამპანიის ერთ-ერთი ხმაურიანი ეპიზოდი გახდა „ჩერქეზული კულტურული ინსტიტუტის“ მიერ ორგანიზებული სოჭის ოლიმპიადის საწინააღმდეგო პიკეტი ვანკუვერში, 2010 წლის ოლიმპიადის დედაქალაქში. ეს ორგანიზაცია აშშ-ში, ნიუჯერსის შტატში მდებარეობს.

2008 წლის აგვისტოში რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას ჩერქეზული ორგანიზაციები მიესალმნენ როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე უცხოეთშიც. 2008 წლის სექტემბრის დასაწყისში რუსეთის საგა-






რეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი თურქეთში ვიზიტისას თურქეთის ტერიტორიაზე მოქმედი ჩერქეზული ეროვნული ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდა. იმავე წლის ოქტომბერში აფხაზური დელეგაცია, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების შემადგენლობით, ევროპარლამენტში სიტყვით წარსდგა ე.წ. „ჩერქეზული დღის“ ფარგლებში, რომელიც იქ რეგულარულად ტარდება. თანაც ორივე მოვლენა, როგორც მოგვიანებით ვნახავთ, ჩერქეზულ ეთნიკურ ორგანიზაციებს, უცხოეთის სათემოებსა და რუსეთის ხელისუფლებას შორის საკმაოდ განვითარებული თანამშრომლობის მხოლოდ ეპიზოდებს წარმოადგენდა.

და ბოლოს, ჩერქეზი აქტივისტების უკანასკნელი საჯარო კამპანია გახდა მონოდება რუსეთის ხელისუფლებისადმი, კონფლიქტის ალში გახვეული სირიიდან კავკასიაში გადმოეყვანათ ჩერქეზები ან თუნდაც განსაკუთრებული პირობები შეექმნათ მათთვის ქვეყანაში შემოსასვლელად.

მიმდინარე ათწლეულში „ჩერქეზული საკითხი“ ნელ-ნელა კარგავს თავის პოლიტიკურ სიმწვავეს. სოჭის ოლიმპიადის სანინა-ალმდეგო კამპანია თანდათან ინავლება. რუსეთის ხელისუფლება ავლენს ნებას, აღმოფხვრას წინააღმდეგობები ადრე გაჩენილ ისტორიულ სიმბოლოებს შორის: მიღებულია გადანყვებილება კავკასიურ ომში ყველა დაღუპულისთვის ძეგლის დასადგმელად; როგორც ჩანს, ოლიმპიადის კულტურულ პროგრამაში ჩერქეზული კომპონენტი ჩართული იქნება. სტაბილურად ეცემა მედიის ინტერესი იმ ჩერქეზი აქტივისტების მიმართ, რომლებიც ყველაზე შემტევი გამონათქვამებით არიან ცნობილი.

**„ჩერქეზული საკითხი“ სწორედ ის შეუმდგარი ეთნიკური მობილიზაციაა, რომლის განხილვასაც შეუძლია ახსნას ზოგიერთი კავშირი ეთნიკურსა და პოლიტიკურს შორის ჩრდილოეთ კავკასიაში.**



**ბრენდის პრეზენტაცია – პრაგმატიკული ინტერესი**

„ჩერქეზული საკითხის“ არსებობის ბევრი სოციალ-პოლიტიკური მექანიზმი ვლინდება არა ეთნიკურ მოძრაობასა და ფედერალური ხელისუფლების ურთიერთობების ანალიზში, არამედ უფრო დაბალ დონეზე – რეგიონულ პოლიტიკაში მისი აქტივისტების როლის კვლევაში.

ჩერქეზული ჯგუფის ერები რუსეთში ცხოვრობენ ყაბარდო-ბალყარეთში, ყარაჩაი-ჩერქეზეთში და ადიღეში. მათი მცირე დასახლებები არის ასევე კარსნოდარის მხარეში, სამხარეო დედაქალაქთან, ასევე სოჭის ლაზარევსკის რაიონში, სადაც რამდენიმე სოფელში ცხოვრობენ შაპსულები (ერთ-ერთი ჩერქეზული ეთნიკური ჯგუფი), მათი შთამომავლები, რომლებიც მუჰაჯირობის დროს გადასახლებას გადაურჩნენ.

ყველა ამ ტერიტორიაზე მოქმედებენ ჩერქეზული ორგანიზაციები, მეტ-ნაკლებად აქტიურები და დინამიურები.

ამავე დროს „ჩერქეზულ“ რესპუბლიკებში არსებობს უამრავი ეთნიკური ორგანიზაცია, რომლებიც არ შედიან ჩსა-ს შემადგენლობაში და არცთუ იშვიათად რეგიონალური ხელისუფლების ოპოზიციას წარმოადგენენ. ასეთი ორგანიზაციების უმრავლესობა არ არის მრავალრიცხოვანი თავისი შემადგენლობით, პოლიტიკურად და რესურსულად კი სუსტია. ყოველ რეგიონში „ჩერქეზული საკითხი“ იძენს საკუთარ თავისებურებებს, ხოლო აქტივისტები ლოკალური ინტერესებისა

და დაპირისპირებების რთულ ქსელში აღმოჩნებიან ხოლმე ჩართულნი.

ჩერქეზული ეთნიკური მოძრაობის ურთიერთობა ყაბარდო-ბალყარეთისა და ადიღეს ხელისუფლებასთან განისაზღვრება იმით, „ოფიციალურებს“ თუ „ოპოზიციურებს“ მიეკუთვნება ესა თუ ის ორგანიზაცია ან აქტივისტი. ბევრი „ოპოზიციური“ აქტივისტი აღნიშნავს, რომ მოსკოვიდან დანიშნულ და მის წინაშე ანგარიშვალდებული რესპუბლიკური ხელისუფლება შედარებით არადამოუკიდებელია. დამოუკიდებლობის არქონა, როგორც ისინი მიიჩნევენ, ხელს უშლის რესპუბლიკის მეთაურსა და მის აპარატს, დაიკავოს ნათელი და პრინციპული პოზიცია „ჩერქეზული საკითხის“ მიმართ.

თუმცა რთულია, სამართლიანად ვაღიაროთ დასკვნა ორი რესპუბლიკის ხელისუფლებების გულგრილობის შესახებ ჩერქეზული ეროვნული მოძრაობის ინტერესებისა და მიზნების მიმართ. ფაქტები უფრო „ჩერქეზულ საკითხში“ ხელისუფლების ჩართულობაზე მეტყველებს. ასე, დაახლოებით ორასი სირიელ ჩერქეზეთა ოჯახი ცხოვრობს ნალჩიკის სანატორიუმებსა და სასტუმროებში, რესპუბლიკური ბიუჯეტისა და ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკის ისტებლიშმენტის დახმარებით შეგროვებული საქველმოქმედო დახმარების ხარჯზე. ადიღეს ხელმძღვანელობა უფრო თავშეკავებულად ეკიდება სირიულ თემას. სირიის ჩერქეზული თემის წარმომადგენლების ვიზიტისას რესპუბლიკის მეთაური





არ შეხვდა მათ, რაც მკვეთრად ნეგატიურად იქნა აღქმული „ოპოზიციური აქტივისტების“ მიერ.

იმავე დროს, ადიღეს ძალოვანი სტრუქტურები რეპატრიანტებს დახმარებას უწევენ, ცდილობენ, არ მიანიჭონ ამას დიდი საჯარო რეზონანსი და პოლიტიკური ჟღერადობა. რესპუბლიკაში წამოიწყო კამპანია სირიელი ჩერქეზებისთვის საქველმოქმედო დახმარების შესაგროვებლად, ამასთან, ზოგიერთი მუნიციპალიტეტის ხელისუფლება მზადყოფნას გამოთქვამდა, მოეძიებინა ცარიელი სახლები, რომელთა მფლობელებიც მზად არიან დაუთმონ ისინი გადმოსახლებულებს.

ყაბარდო-ბალყარეთში დიდი ხანია, არსებობს ჩერქეზული დიასპორიდან ბავშვების რესპუბლიკაში დასასვენებლად დაპატიჟების პრაქტიკა. მისი მხარდაჭერა ძნელი იქნებოდა, სულ მცირე, რესპუბლიკური ადმინისტრაციის კეთილგანწყობილი ნეიტრალიტეტის გარეშე. ნალჩიკის უმაღლეს სასწავლებლებში წავლობენ სტუდენტები დიასპორიდან, ამასთან მათი რაოდენობა ყაბარდო-ბალყარეთის ერთ უნივერსიტეტში ასეულობით ითვლება.

„ჩერქეზული საკითხი“ ორი „სატიტულე“ ჩერქეზული რეს-

პუბლიკის ხელისუფლებისთვის დამატებითი ლეგიტიმურობის წყაროს წარმოადგენს. ამასთან, ისინი არ არიან დაინტერესებულნი თემის უმართავი პოლიტიზაციით, და ამ თვალსაზრისით „ოპოზიციონერი“ აქტივისტებისგან მომდინარე საფრთხეს ხედავენ, რომლებიც საჯაროდ მკვეთრად აყენებენ ხისტ ლოზუნგებს, მოთხოვნებსა და მოწოდებებს. ხელისუფლებას უჭირს, მოუგოს აქტივისტებს, საჯარო დაპირისპირებისას იმ საკითხში, თუ ვინ უფრო აქტიურად და თანმიმდევრულად მოითხოვს ფედერალური ხელისუფლებისგან კავკასიური ომის ჩერქეზთა გენოციდად აღიარებას და, შესაძლოა, უფრო ფართო რეპატრიაციას.


ჩერქეზი აქტივისტების დამოკიდებულება ისლამთან პირდაპირ კავშირშია ამა თუ იმ რესპუბლიკის ისლამიზაციის გამოცდილებასთან, ხასიათსა და მასშტაბებთან. ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკაში ისინი განიხილავენ ეთნიკურ მოძრაობას, როგორც ისლამიზაციის ალტერნატივასა და რადიკალური პოლიტიკური ისლამის საწინააღმდეგო საშუალებას. ისლამური და ეთნიკური იდენტურობის დაპირისპი-

რების ასეთი სიმწვავე „ისლამურ“ და „ეროვნულ“ პროექტებს შორის ჩერქეზული კომპონენტის მქონე სხვა რესპუბლიკებს არ ახასიათებს.

2010 წლის დეკემბერში ნალჩიკში ეთნოგრაფი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ასლან ციპინოვი მოკლეს. იგი ცნობილი იყო, როგორც არა მხოლოდ ჩერქეზთა კულტურის მცოდნე, არამედ როგორც ტრადიციების აღდგენის პრაქტიკული კონსულტანტი – მას დახმარებას სთხოვდნენ, როდესაც აპირებდნენ ქორნილი ან რაიმე სხვა დღესასწაული ყაბარდოული ადათის თანახმად მოეწყოთ. მის მკვლელობაზე პასუხისმგებლობა რადიკალმა ისლამისტებმა აიღეს, რომლებიც მას წარმართობისა და უღმერთობის პროპაგანდისტად მიიჩნევდნენ. ადიღე ხაბზეს, ტრადიციულ ეთნიკურ კოდექსს, ჩერქეზი აქტივისტები ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკაში განიხილავენ, როგორც ერთიან სისტემას, რომელშიც არის ისლამის შემცველი რელიგიური კომპონენტიც.

ადიღე არ ეჯახება ისლამური პოლიტიკური რადიკალიზმის პრობლემას ის მწვავედ, როგორც ყაბარდო-ბალყარეთი. ამის ერთ-ერთი მიზეზი, მოსახლეობის მთლიანობაში უფრო საერო ხასიათის გარდა, არის ის, რომ ადიღეში არ ხდებოდა სალაფიტურ ჯგუფებზე ძლიერი ზენოლა (2005 წლის რამდენიმე ეპიზოდის გარდა). სალაფიტების ინტეგრაცია რესპუბლიკა ადიღესა და კრასნოდარის მხარის მუსულმანთა სასულიერო სამმართველოში, საერთო საკათედრო მეჩეთის ფუნქციონირება მაიკოპში და ცალკეული სალაფიტური მეჩეთების აუცილებლობის არქონა, სალაფიტებისა და სამართალდამცავი სტრუქტურების მშვიდობიანი თანაარსებობა მუსლიმანური სათემოების რადიკალიზაციის საბაზს არ იძლევა.

ისლამური პოლიტიკური რადიკალიზმი ადიღეს ჩერქეზი აქტივისტების მიერ არ აღიქმება, როგორც აქტუალური პოლიტიკური



**ჩერქეზი აქტივისტები, როგორც წინა, „700-ათასიანი ართობის“ სახელით ლაპარაკობენ, როგორც მოსკოვისგან საკუთარ მოლოდინებზე პასუხს ელის. ეთნიკური მოძრაობის დისკუსიის ისეთი საკვანძო თეზისებით, როგორც არის ყველა ჩერქეზის ართობა, მიუხედავად ენობრივი და ისტორიული განსხვავებებისა, წარმოდგენა კავკასიურ ომზე, როგორც ბენოციდზე, დიდი ნარსულის შესახებ მოგონებები, პოსტსაბჭოთა ორი ათწლეულის განმავლობაში ვითარდება ყაბარდო-ბალყარეთისა და ადიღეს უნივერსიტეტებსა და საეკონომიკო ცენტრებში.**



პრობლემა. რესპუბლიკაში ნაკლებად გამოიხატება ისლამსა და ხაბზეს შორის დაპირისპირებაც, რომელიც ძლიერ იგრძნობა ყაზახდო-ბალყარეთის რესპუბლიკაში.

**არის ჩერქეზულ ორგანიზაციებსა და ისლამურ სასულიერო პირებთან თანამშრომლობის ტენდენცია.** ჯერჯერობით თანამშრომლობა გამოიხატება მხოლოდ ერთმანეთის მიმართკეთილგანწყობილ დამოკიდებულებაში. თუმცა შეიმჩნევა ჩერქეზი აქტივისტების სხვა, ყაზახდო-ბალყარეთისგან განსხვავებული ლოგიკა — არ შეავიწროვონ ხაბზეს ისლამი, არამედ შეაფასონ იგი, როგორც ჩერქეზული იდენტობის ნაწილი. „ადილე ხასეს“ წევრებს შორის არიან იმამებიც.

ჩერქეზული მოძრაობა ადილეში ყველა მისი მომხრის მიერ როდი ფასდება, როგორც საერო პროექტი. ზოგი რესპონდენტი ჩერქეზ აქტივისტთაგან ისლამში ჩერქეზთა ძალების დამატებით წყაროს ხედავს და დადებითაც აფასებს ისლამიზაციას.

## ჩერქეზული მოძრაობა და რუსული ხელისუფლება

ჩერქეზი აქტივისტები, როგორც წესი, „700-ათასიანი ერთობის“ სახელით ლაპარაკობენ, რომელიც მოსკოვისგან საკუთარ მოლოდინებზე პასუხს ელის. ეთნიკური მოძრაობის დისკურსი ისეთი საკვანძო თეზისებით, როგორც არის ყველა ჩერქეზის ერთობა, მიუხედავად ენობრივი და ისტორიული განსხვავებებისა, წარმოდგენა კავკასიურ ომზე, როგორც გენოციდზე, დიადი წარსულის შესახებ მოგონებები, პოსტსაბჭოთა ორი ათწლეულის განმავლობაში ვითარდება ყაზახდო-ბალყარეთისა და ადილეს უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო ცენტრებში. თორმეტჯარსკვლავიანი და სამისრიანი დროშა მწვანე ფონზე, რომლითაც ჩერ-

ქეზები რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში 1830 წლიდან იბრძოდნენ — ყაზახდოელი, ჩერქეზული ან ადილური ქორწილის აუცილებელი ატრიბუტი და გავრცელებული სუვენირია.

რაოდენობრივი მონაცემები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს, შევაფასოთ მობილიზაციის მასშტაბები, შესაძლოა, უცვარმა წყარომ მოგვცეს — 2010 წლის სრულიად რუსეთის მოსახლეობის აღწერის მონაცემებმა. აღწერის წინ ჩსა-ს ინიციატივითა და მხარდაჭერით ჩერქეზულმა ორგანიზაციებმა ჩაატარეს კამპანია, რომლითაც მოუწოდებდნენ ყველა ყაზახდოელსა და ადილს, მიეთითებინათ ერთიანი ეთნიკური კუთვნილება — ჩერქეზი. ამის წყალობით, ჩერქეზთა რიცხვის ზრდამ ორ რესპუბლიკაში 2002 და 2010 წლების აღწერებს შორის, შესაძლოა, ირიბად გვაჩვენოს მათი რიცხვი, ვინც გამოეხმაურა ამ კამპანიას. ყაზახდო-ბალყარეთის რესპუბლიკაში ჩერქეზთა რაოდენობა 725 ადამიანიდან 2475-მდე გაიზარდა (რესპუბლიკის მოსახლეობის რაოდენობა 860 ათასი ადამიანია, მათ შორის 490,5 ათასი ყაზახდოელია). ადილეში — 642 ადამიანიდან 2651 ადამიანამდე (რესპუბლიკის მოსახლეობის რაოდენობა — 440 ათასი ადამიანია, მათ შორის 107 ათასი ადილია). მართალია ზრდა შესამჩნევია, მაგრამ საკმაოდ მოკრძალებულია, რაც გვიჩვენებს, რომ ადამიანები, რომლებიც მზად არიან ეთნიკური ლოზუნგებით პოლიტიკური მოქმედებისთვის, არც ისე ბევრია.

**ადილეში ხანდახან მწვავედ ეჯახება ადილური სატიტულო უმცირესობის წარმომადგენლებისა და რუსული არასატიტულო უმრავლესობის წარმომადგენლების შეხედულებები ისტორიაზე.** არ არსებობს ისტორიული მესხიერების ერთიანი, თანმიმდევრული და ყველასთვის მისაღები ვერსია — მისი შექმნის პერსპექტივები რეგიონში საკმაოდ საეჭვოა.

ამ ყველაფერმა, ჩვენი აზრით, განსაზღვრა ჩერქეზულ ეროვნულ მოძრაობასთან ურთიერთქმედების ის სტრატეგია, რომელიც ფედერალურმა ხელისუფლებამ აირჩია. მიუხედავად გავრცელებული შეფასებისა, მოსკოვში არასოდეს უთქვამთ უარი დიალოგზე და არასოდეს შეუწყვეტიათ იგი. ჩერქეზთა საერთაშორისო ასოციაციის ხელმძღვანელები, რეგიონული „ადილე ხასეების“ მეთაურები რეგულარულად ხვდებიან და ხვდებიან პრეზიდენტის ადმინისტრაციის მოხელეებს, სახელმწიფო სათათბიროს, ფედერაციის საბჭოს, „როსსოტრუდნიჩესტვოს“ წარმომადგენლებს. ეს ეხება არა მხოლოდ „ოფიციალურ“ ჩერქეზულ ორგანიზაციებს. მაგალითად, „ხასეს“ მეთაური იბრაგიმ იაგანოვი ჩრდილოკავკასიურ ფედერალურ ოლქში პრეზიდენტის სრულუფლებიან წარმომადგენელთან არსებული საზოგადოებრივი საბჭოს შემადგენლობაში შედის.

ამავე დროს, მოსკოვი თავს იკავებდა ასეთი მოლაპარაკებების ინსტიტუციონალიზაციისგან და მით უფრო, მათთვის პოლიტიკური ხასიათის მინიჭებისგან. არ არსებობს არც ერთი გონივრული არგუმენტი იმის სასარგებლოდ, რომ ამგვარი მოლაპარაკებებით სუსტი და დანაწევრებული ჩერქეზული ეთნიკური ორგანიზაციები გავლენიან პოლიტიკურ ძალად იქცეს.

**ჩრდილოეთ კავკასიის ისტორია, ისევე, როგორც მთელი ქვეყნის ისტორია, საკმაოდ რთული და ხშირად ტრაგიკულია იმისთვის, რომ ეთნიკური ჯგუფებიდან გამოარჩიო ერთ-ერთი, როგორც „ყველაზე დაზარალებული“, და დაიწყო მოლაპარაკებები პირებთან, რომლებმაც თავი მათ წარმომადგენლებად გამოაცხადეს.** ეს ყველა დანარჩენი ჯგუფის პროგნოზირებად და მკვეთრად ნეგატიურ რეაქციას გამოიწვევდა.

კავკასიური ომის ჩერქეზთა გენოციდად აღიარების თემა ცალ-



კე განხილვას იმსახურებს. გავრცელებული არგუმენტი, რომელსაც ეთნიკური ორგანიზაციების აქტივისტები ხშირად იყენებენ, მდგომარეობს იმაში, რომ „მოსკოვს არაფრად უღირს“ ასეთ აღიარებაზე წასვლა, ხოლო სამაგიეროდ მთელი მსოფლიოს ჩერქეზებისგან იგი პატივისცემას, აღიარებას და მადლიერებას მიიღებს. ჩრდილოკავკასიურის, სრულიად რუსეთისა და მსოფლიო კონტექსტს გარეთ აღებული ასეთი არგუმენტი, შესაძლოა, დამაჯერებლად მოგეჩვენოთ, მაგრამ სინამდვილეში ასეთი გადაწყვეტილების ფასი ბევრად მაღალია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს.

რუსულ პოლიტიკაში არსებობს ისტორიული წარსულის მიმართ პოზიციის განმტკიცების საკანონმდებლო პრეცედენტი — 1991 წლის 26 აპრილის კანონი რეპრესირებულ ხალხთა რეაბილიტაციის შესახებ. იგი მოიცავდა ტერმინ „გენოციდსაც“ და ტერიტორიული რეაბილიტაციის შესახებ პუქტსაც. რუსეთის ხელმძღვანელობა საერთოდ ერიდება ისტორიული წარსულის პოლიტიკურ შეფასებებს, თუმცა ხანდახან ამა თუ იმ ფორმით მონაწილეობს საზოგადოებრივ დისკუსიაში ისტორიის შესახებ.

გენოციდის კონცეფცია – ეთნიკური, სოციალური ან რელიგიური ჯგუფის მიერ წარსულში მასობრივად გადატანილი ტანჯვა, მეტისმეტად ძლიერი იარაღია

იმისთვის, რომ არ გამოიყენებოდეს პოლიტიკურ ბრძოლაში. ასეთი ტანჯვის შესახებ ისტორიული მეხსიერების აქტუალიზაცია პოლიტიკური მობილიზაციის კლასიკური ინსტრუმენტია. ოფიციალურ დოკუმენტებში ისტორიული მეხსიერების გარკვეული ვერსიის დამკვიდრება იმ მოძრაობის ძლიერების მტკიცებულებაა, რომელმაც ეს მეხსიერება თავის დროშებზე გამოსახა. ამავე დროს ამ იარაღის მოქმედება იშვიათადაა ცალმხრივი.

თანამედროვე რუსეთს ცოტა რამ აკავშირებს რუსულ იმპერიასთან, რომელიც კავკასიურ ომებს აწარმოებდა. არის სამართალმემკვიდრეობის უმნიშვნელო ელემენტები, რომლებიც რუსეთმა თავის თავზე აიღო არა საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმის საფუძველზე, არამედ კეთილი ნებით (ერთ-ერთი მათგანია — იმპერიის ქვეშევრდომთა შთამომავლების აღიარება თანამემკვიდრეობად). რუსეთის იმპერია რევოლუციამ გაანადგურა, საბჭოთა კავშირმა რადიკალურად განყვიტა კავშირი მის პოლიტიკურ და კულტურულ ტრადიციებთან. შესაბამისი წყვეტა მოხდა საბჭოთა კავშირის მემკვიდრეობასთანაც მისი ნგრევის შემდეგ. მთავარი, რაც აერთიანებს სამ ხელმწიფოს — იქ მცხოვრები ყველაზე მრავალრიცხოვანი ხალხი — რუსები არიან.

**კავკასიური ომის გენოცი-**

**დად აღიარება გარდაუვალად სვამს კითხვას იმის შესახებ, თუ ვინ ატარებს პასუხისმგებლობას საუკუნე-ნახევრის წინანდელი მოვლენების გამო.**

პოლიტიკური მოლაპარაკებებისთვის კიდევ ერთი წინააღმდეგობა არსებობდა. წინა ათწლეულის მეორე ნახევარში „ჩერქეზული საკითხის მედიური აღმადრენა“, რომელმაც ეთნიკური აქტივისტები ფედერალურ ნიუს-მეიკერებად აქცია, განისაზღვრებოდა არა მათი თანმიმდევრული სტრატეგიით, რამდენადაც გარე გარემოებებზე ეფექტური რეაქციების სერიით. ამასთან, მოძრაობის მიმდინარე დღის წესრიგი გარემოებებს მიჰყვებოდა. ხმები ადიდეს კრასნოდარის მხარესთან შეერთების შესახებ, რუსეთის განაცხადი სოჭში ოლიმპიადის ჩატარების შესახებ, საქართველოს მიერ „ჩერქეზთა გენოციდის“ აღიარება, ბოლოს სირიული კრიზისი, რომელმაც ლტოლვილთა — მუჰაჯირთა შთამომავლების საკითხი წამოაყენა — ყველა ამ მოვლენაზე ჩერქეზი აქტივისტები პასუხს იძლეოდნენ რეაქტიულად, ემოციურად და ხშირად საკმაოდ წინააღმდეგობრივად.

ასე, სირიელი ჩერქეზების კავკასიაში დაბრუნების ორგანიზების მოწოდებებს რუსეთის მთავრობის მიმართ გარკვეულ მომენტში თან ახლდა განცხადებები იმის შესახებ, რომ აქტივისტები მზად არიან, უარი თქვან კავკასიური ომის გენოციდად აღიარების მოთხოვნაზე, თუ მოსკოვი დაეთანხმება სირიასთან დაკავშირებულ მათ მოთხოვნებს, ხოლო ჩერქეზული დიასპორის მიერ სოჭის ოლიმპიადაზე ნეგატიური რეაქციის მუქარა შეცვალეს დაპირებებმა იმ სარგებლის შესახებ, რომელსაც მოსკოვი მიიღებს, თუ ამ დიასპორის წევრებს რუსეთის მოქალაქეობას გამარტივებული წესით მიანიჭებს იმ ქვეყნების მოქალაქეობასთან ერთად, რომელშიც ისინი იმყოფებიან.


**თანამედროვე რუსეთს ცოტა რამ აკავშირებს რუსულ იმპერიასთან, რომელიც კავკასიურ ომებს აწარმოებდა. არის სამართალმემკვიდრეობის უმნიშვნელო ელემენტები, რომლებიც რუსეთმა თავის თავზე აიღო არა საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმის საფუძველზე, არამედ კეთილი ნებით (ერთ-ერთი მათგანია — იმპერიის ქვეშევრდომთა შთამომავლების აღიარება თანამემკვიდრეობად).**



# ნიკო ნიკოლაძე ახალგაზრდობის რძლის, განათლებისა და პატრიოტული აღზრდის თაობაზე

„ადამიანურ შესაძლებლობას აღემატება თანამედროვე ადამიანთა გარდაქმნა მორჩილ და ყველაფრის ამტან ბატკნებად“.

ნიკო ნიკოლაძე



ნიკოლაძე ხშირად წერდა ახალგაზრდულ პრობლემებზე, მისი განათლებისა და ზნეობრივი აღზრდის საკითხებზე. ნიკო ნიკოლაძე თავად იყო გადაშლილი წიგნი მონინავე ახალგაზრდებისთვის თავისი ცხოვრებით, პროფესიონალიზმით, პატრიოტიზმითა და მამულის მსახურებით, პატიოსნებით და კეთილსინდისიერებით. ის ისეთივე განმანათლებელი იყო ქართველი ხალხის და განსაკუთრებით ახალგაზრდობის, როგორც ფრანგებისთვის — ვოლტერი, რუსო, მონტესკიე და სხვები. იგი ახალი თაობის იდეური ლიდერი და გზის გამკვალავიც იყო ამავდროულად, რომელიც საკუთარ თავზე იღებდა მთავარ დარტყმებს.

მთელი თავისი ცხოვრება ნიკო ნიკოლაძემ განათლების პროპაგანდაში გალია. მას ყველანაირი განათლება აუცილებლად მიაჩნდა — ჰუმანიტარულიც და ტექნიკურიც, მაგრამ განსაკუთრებით ხაზს უსვამდა საზოგადოებრივ მეცნიერებათა შესწავლის საჭიროებას. სტატიაში „ახალი ახალგაზრდობა“ იგი ხაზს უსვამს, რომ „თითოეულ დროებას, თითოეულ თაობას თავისი საკუთარი საქმე და საჭიროება მოსდევს“. ნიკოლაძის აზრით, თითქმის ნიადაგ როგორც მშვიდობიანობის, ისე ბრძოლის დროს, როგორც ცვლილებებში, ისე მყუდროებაში, საჭიროა ახალი თაობის აღმზრდელი პირები, საჭიროა სამოქალაქო და პოლიტიკური განყოფილებების (მონყობის) მცოდნე მოთავეები. ნიკოლაძის თქმით, ძველმა თაობამ ალღო ვერ აუღო ახალ ვითარებას, პასიურ მეთვალყურედ იქცა და ამანაც გაუადვილა 1861 წლიდან ასპარეზზე გამოსულ ახალ თაობას გამარჯვება. ძველი თაო-

ბა ვერ მიხვდა, რომ „საზოგადოებრივი წესი და წყობილება ადამიდან შეუცვლელი კი არ ყოფილა, ის თურმე კაცის ხელით შექმნილა და კაცის ხელითვე შეიცვლება, რომ კაცობრიობას ბედად როდი დაჰყოლია ამ ქვეყანაზე ტანჯვა და უსარგებლო გაჭირვება, რომ სიღარიბე კაცის უმეცრების შედეგია“ და ა.შ. ძველი თაობის მიერ დანერგილი განათლების სისტემა „**ფაქტებით ტიპოლოგიაში ბატონილ ახალგაზრდაში ზნეობით მხარის არ ზრდიდა. მოსწავლეს ფაქტებს აჩვენებდნენ, მაგრამ არაპინ არ სცდილობდა მასში ხასიათი და ზნე აეზარდა, პატიოსნების კანონები გულში ჩაენერგა, პატიოსანი შრომისათვის შეეჩვია და მოქმედების მიზნით მსურველ საზოგადოებრივი ბრძნობა დაეარსა. მართო სწავლა, რაგინდ სრული და მტკიცე იყო, კაცს კაცად ვერ ბახდის, თუ იმას ბრძნობა და**

ხასიათი არ მოსდევს, თუ მის მოქმედებას მტკიცე ბეჭედი არ ახვია“ (მერე ეს აზრი აკაკიმ გაიმეორა „გამზრდელში“: „მაგრამ მარტო წვრთნა რას უზამს, თუ ბუნებამც არ უშველა“). ნიკო ნიკოლაძე საკმაოდ თვითკრიტიკულია 1861 წელს ასპარეზზე გამოსულ „თერგდალეულთა“ თაობის მიმართ და მიაჩნია, რომ ისიც არ იყო მომზადებული ახალი ცხოვრებისთვის სათანადოდ: „საუბედუროდ, ეს თაობა ჩვენს ცხოვრებაში დაუმზადებელი შემოვიდა. იმან არც საზოგადოებრივი მეცნიერება იცოდა თეორიით, არც პრაქტიკული მდგომარეობა ჩვენი ხალხისა, არც ჩვენი საზოგადოების საჭიროება და სურვილი. იმას მარტო კეთილი გული და პატიოსანი სურვილი ჰქონდა, და გონების იარაღით იმას მარტო ორიოდ მეტ-ნაკლებად ნათელი აზრი მიუძღოდა: გლეხების გათავისუფლების სამართლიანობა, ბატონყმობის უვარგისობა, მამულის სამსახური... და თუ ამ მცი-



რედი იარაღით და ბარგით, ამ გამოუკვლეველი, ნისლიანი აზრებით მაშინდელმა თაობამ მაინც გამოიჩინა და საზოგადოების თვალში უწინდელ თაობაზე უფრო მაღლა დადგა, ეს, ერთის მხრივ, ძველი თაობის განუკურნელ სიძაბუნეს გვიმტკიცებს და, მეორე მხრივ, გვიჩვენებს, რა ადვილი იყო მაშინ ახალი მიმართულების გამარჯვება და ამალღება, მაშინდელს ჩვენს ახალგაზრდობას ხეირიანი დამზადება და იარაღი რომ გამოჰყოლოდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამოსვლის დროს“. ახალი თაობა, ნიკოლაძის ღრმა რწმენით, უნდა შეეჩვიოს შეერთებულ შრომას, ერთ რაზმში შეგნებულად მხარდამხარდგომას, თავი დაანებოს განცალკევებულ საქმიანობას, რადგან რიცხობრივად მცირე ახალგაზრდობის ძალა მხოლოდ ერთობაშია. ხელიხელჩაჭიდებული ბრძოლა საერთო საქმისათვის, პიროვნულის გვერდზე გადადება და ერთიანი დისციპლინის დამორჩილება — აი, როგორი თაობა სჭირდება ქვეყანას. ამ სტატიის მიმოთქმული აზრებით ნიკო ნიკოლაძეს სურს, ახალ თაობას ააცილოს ის შეცდომები, რომლებიც მისმა თაობამ დაუშვა 1861 წლიდან.

ნიკო ნიკოლაძეს ცოდნა და განათლება მიაჩნდა უმთავრეს იარაღად, რომლითაც ქართველობას შეეძლო ნელ-ნელა დაეძლია


ის დიდი ჩამორჩენა ევროპისგან, რომელსაც ადგილი ჰქონდა მაშინდელ ვითარებაში. როცა ჩვენ იძულებულნი ვიყავით, სისხლი გვეღვარა თავის გადარჩენისთვის, მიუთითებდა იგი, მაშინ ევროპის ქვეყნები დანიანურდნენ და ცხოვრება მოიწყეს და ახლა ჩვენ მათ პირისპირ ლატაკად და ველურად გამოვიყურებითო. ნიკოლაძის ამოსავალი დებულება ამ საკითხში ყოველთვის იყო ის, რომ „მსოფლიო განახლდა და განთავისუფლდა არა წყევლა-კრულვის შედეგად, არა მისტიკოსებისა და ოკულტისტების მიერ, არა ძალადობის წყალობით, არამედ გონებისა და ცოდნის საფუძველზე. ჩვენ უთუოდ უნდა გაფუთანასწორდეთ მათ, რისთვისაც აუცილებელია განათლება, ბუნებისა და საზოგადოების კანონების ზედმიწევნით ცოდნა. ბუნებისა და საზოგადოების არსებობა ერთმანეთზეა გადაჯაჭვული და ორივე მკაფიო კანონზომიერებას ექვემდებარება: „ბუნებაში ყოველიფერი ბუნების კანონს ემონება და მისგან იღებს თავის ძალასა და სიცხოველეს, ისე საზოგადო ცხოვრება თავის უნებურათ და უცოდნელათ, ასრულებს საზოგადოების მეცნიერების კანონებს და უსაყვედურით, უცილობლათ მისდევს მას“.

ცოდნის მისაღებად ბევრი შრომაა საჭირო, შესაბამისად, ცოდნის

გამოყენებასაც შრომა სჭირდება. გაჭირვების, სიღატაკის, დაჩაგრულობის საფუძველი უშრომლობაა, — მიაჩნია ნიკოლაძეს, — „ყველა ეს უბედურება ჰქრება თვითონ კაცის შრომის და მოხერხების წინ, ემორჩილება კაცის ტვინსა და ხასიათს“ (იქვე).

საბოლოოდ კი ცოდნა და შრომა უნდა შეერთდეს მაღალ ზნეობრიობასთანო, — მიაჩნდა ნიკოლაძეს: „ქვეყანაში ჯერ არც ერთი სიკეთე, არც ერთი სასარგებლო საქმე არ გარიგებულა უხეირო და სუსტი კაცის ხელით, არც ერთი ამამალღებელი აზრი არ დაბადებულა მის თავში. რაც კაცობრიობას სახეირო და სასარგებლო რამ ღირსებია თავის სიცოცხლეში, ეს ყველაფერი გაუკეთებია მისთვის მაღალი და პატიოსანი ხასიათის პირებს, რომელნიც თავიანთი აზრით, მოქმედებით და ხასიათით ამშვენებენ, აუკეთესებენ და ასახელებენ კაცობრიობას. უწმინდური ხელით წმინდა რამ თავის დღეში არ გაკეთებულა“.

ნიკოლაძის აზრით, ზნეობრივი აღზრდა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასკოლო დაწესებულებებში. იგი მიუთითებს, რომ ყოველგვარ სასწავლო დაწესებულებებში შეიმჩნევა მოსწავლეთა ზნეობის დაბალი დონე — აქ ლაპარაკია არა ბავშვთა ცელქობაზე, არამედ სერიოზულ ზნეობრივ აღვირახსნილობაზე. ნიკოლაძის აზრით, როცა მოსწავლეები გარკვეულ ასაკს აღწევენ, ბუნებრივად იძენენ ინსტინქტებს, რომლებიც ცუდ გავლენას ახდენს მათ გონებრივ და ზნეობრივ განვითარებაზე, თუ მათ არ ალაგმავენ აღზრდის სწორი და მიზანდასახული სისტემით... ჩვენთან, კავკასიაში, სადაც განსაკუთრებული კლიმატური პირობები ხელს უწყობს ბავშვების ადრე განვითარებას, ეს ამოცანა ორჯერ უფრო სერიოზულია. ნიკოლაძის აზრით, არსებობს ამ ინსტინქტების ნამდვილი და არა მოჩვენებითი ალაგმვის მხოლოდ ორი საშუალება. პირველი საშუალებაა მოწაფეების გონებრივი შრომით დატვირ-





თვა. გონებრივი შრომის დროს მოსწავლეებში იღვიძებს სერიოზული ინტერესები, რომელთაც ინვესტ გონებრივი განვითარებისკენ მისწრაფება და მისთვის საკვების მიცემა. ერთი სიტყვით, ამისთვის საჭიროა, რომ მოსწავლეების გონება დაკავებული იყოს აზროვნებით და თავისთავად გრძნობდეს მოთხოვნილებას ჭეშმარიტებისა და ცოდნის შემდგომი ძიებისას. ამისაგან ისეთივე შორსაა მექანიკურად დავალებული გაკვეთილების ზუთხვა, როგორც ჩვენგან ცის ვარსკვლავები. ადამიანის ყოველგვარი ნიჭის საერთო თვისება ისაა, რომ უმოქმედოდ ყოფნა არ შეუძლია, თანამედროვე პედაგოგიკა კი ამ მხარეს უყურადღებოდ ტოვებს და ამიტომ ნიჭის ეს მხარეები თვითონ ეძებენ რაიმე გამოყენებას, სულერთია, კარგს თუ ცუდს, სწორს თუ არასწორს.

ნიკოლაძეს მიაჩნია, რომ ცუდი ინსტინქტების საწინააღმდეგო მეორე საშუალებაა ბავშვების აღზრდაში ცალმხრიობის აღმოფხვრა. როგორც ყოველი ადამიანისთვის, ასევე მოსწავლეებისათვისაც საკმარისი არაა მხოლოდ ცოდნა, რასწორადაც და მეთოდურადაც არ უნდა აწოდებდნენ მას. გარდა ამისა, ადამიანის ბუნება თხოულობს, აგრეთვე, ცხოვრებისადმი, მოღვაწეობისადმი ინტერესის გაღვივებას, ცხოვრების იდეალების გამომუშავებას, ერთი სიტყვით, ადამიანში ზნეობრივი პიროვნების ჩამოყალიბებას. დაანახეთ მოსწავლეებს აღზრდის პირველსავე წლებში მაღალი მონოდება, რომელიც მას ცხოვრებაში ელის, გადაუშალებთ წმიდათაწმინდა ამოცანები მისი მომავალი მოღვაწეობისა, გამოიწვიეთ მასში უანგარო შრომის სურვილი, აჩვენეთ ამ ბრძოლის მთელი სიძნელე, რაც ცხოვრებაში ელის და დაუმტკიცეთ, რომ ამ ბრძოლაში მხოლოდ მას შეუძლია გამარჯვება, ვინც ისწავლა საკუთარი ინსტინქტების დათრგუნვა და საკუთარი ბუნების ალაგმვა და თქვენ დაინახავთ მაშინ, რომ იმ ახალგაზრდების

ნაცვლად, რომლებიც შეგნებულად ტკბებიან ყოველგვარი სიამოვნებით, თქვენ აღზრდით მტკიცე ნებისყოფის ადამიანებს, რომლებსაც შეეძლება თავის დაჭერა და ემასხოვრებათ, რომ კეთილსინდისიერი ადამიანის ცხოვრებაში არის რალაც ისეთი, რაც გაცილებით უფრო წმინდაა, ვიდრე პირადი სიამოვნება და ნეტარება. ეს ის ნეტარებაა, რასაც ადამიანს ანიჭებს საზოგადოების, სამშობლოსა და სახელმწიფოსათვის თავდაუზოგავი შრომა. მანამდე, სანამ ჩვენ ამას არ გვაკეთებთ, უფლება არ გვაქვს ჩვენი დანაშაული სხვას გადავაბრალოთ“, — ხაზს უსვამს ნიკოლაძე.

**ნიკოლაძე აქ წარმოგიდგება როგორც ბრწყინვალე პედაგოგი და ფსიქოლოგი, მისი ეს შეხედულებანი იაკობ გოგებაშვილამდეა გამოთქმული.**

ნიკო ნიკოლაძე სრულიად ეთანხმებოდა პედაგოგიკაში დამკვიდრებულ და გაზიარებულ პრინციპს, რომელიც დაკავშირებულია მშობლიურ ენაზე ბავშვების სწავლებასთან. მას საკუთარ თავზე ჰქონდა გამოცდილი ყველა ის სიძნელე და უბედურება, რომელიც კი დაკავშირებულია მოსწავლეთა არამშობლიურ ენაზე სწავლებასთან: „მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ზეპირად ვიცოდით მთელი ტომები, ჩვენ მათი ანბანიც კი არ გვესმოდა. გიმნაზიის პირველ კლასში ჩამთან სწავლობდა ას ბავშვები მათი, მათგან მშვიდი კლასამდე მიაღწია მხოლოდ ექვსმა მოსწავლემ... პედაგოგიკის მიერ დამტკიცებულია, რომ, თუ ბავშვები დანახვით განათლებას მშობლიურ ენაზე მიიღებენ, შემდეგ, რამდენიმე თვის მანძილზე უფრო ადვილად შეითვისებენ რომელიმე უცხო ენის მიქანოზს და უფრო იოლად შეძლებენ ამ ენაზე ზრდა-განვითარებას... ყოველი ცივილიზებული სახელმწიფოს ინტერესებისთვის სასურველია, მისცეს ადგილობრივ ენებსა და ლიტერა-

**ტურას შესაძლებლობა, განვითარდეს მანამდე, სანამდეც თვითონ შეუძლია განვითარდეს ამ ენებსა და ლიტერატურას“.**

რადგან სიტყვა ენებზე ჩამოვარდა, აქვე ვიტყვით, რომ, წმინდა პრაგმატული მოსაზრებიდან გამომდინარე, ნიკოლაძე თვლიდა, რომ კაცობრიობა ძალზე წაინევედა წინ, თუ ყველა ხალხი ერთ ენაზე ილაპარაკებდა: „მე დარწმუნებული ვარ, — წერდა ის, — რომ რამდენიმე საუკუნის შემდეგ, სულერთია როდის იქნება, ადამიანები მივლენ აქამდე“ (შემდეგ ეს აზრი სტალინმაც გაიმეორა — ვ. შ.).

ნიკო ნიკოლაძეს თავისებური პასუხი ჰქონდა კითხვაზე, სად შეიძლებოდა ემუშავა ქართველ მოღვაწეს და რომელი ენით შეიძლება ეწერა. დღეს, როცა საქართველოდან მილიონზე მეტი ქართველია გასული გაჭირვების გამო სამუშაოდ საზღვარგარეთ, ამ საკითხს საკმარისი დატვირთვა გააჩნია.

პირველი, რაც შეიძლება აღინიშნოს, არის ის, რომ ნიკო ნიკოლაძე კოსმოპოლიტიზმისა და კოსმოპოლიტიური მოძღვრებების (მაგ. მარქსიზმი) წინააღმდეგი იყო. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ეროვნებას (ერს), მის დაცვას და განვითარებას: „ჩემი აზრით, იმ საშუალებათა შორის, რომელთა მეშვეობითაც კაცობრიობა ცდილობს, მიაღწიოს სწორი საზოგადოებრივი წყობის შექმნას, ეროვნება იყო და შეუძლია იყოს ერთ-ერთი ბერკეტი როგორც თავისუფლებისადმი სიყვარულისა, ასევე მატერიალური უზრუნველყოფისკენ სწრაფვისა, რელიგიური მოძღვრების დაცვისა და ა.შ.“

ყველაფერი დაიწყო იმით, რომ 1875 წლის 29 ოქტომბერს „დროებაში“ სერგეი მესხმა გამოაქვეყნა წერილი „ჩვენი მეცნიერები“. ავტორი მკითხველს აწვდიდა ინფორმაციას ვასილ პეტრიაშვილის ოდესის უნივერსიტეტის დოცენტად არჩევის შესახებ. იქვე მიუთითებდა, რომ პეტერბურგში




ორი ქართველი პროფესორი მოღვაწეობს: სამეცნიერო აკადემიაში — ივანე თარხნიშვილი, უნივერსიტეტში — ალექსანდრე ცაგარელი. ამ უწყების მერე ს. მესხი პრინციპულ კითხვას სვამდა და გადაჭრით იძლეოდა პასუხსაც: ყოველი ადამიანი და განსაკუთრებით გონება-გახსნილი, განათლებული კაცი თავის საკუთარ სამშობლოში, თავის ხალხში უნდა მოუშობდეს, უნდა მოქმედებდეს.

ასე ფიქრობენ ილიაც და აკაკიც. პრინციპულად ამ აზრს არც ნიკოლაძე ემიჯნებოდა, მაგრამ მისი შეხედულება უფრო განსხვავებული და პრაგმატული იყო: „სად უნდა შრომობდეს ჩვენებური ახალგაზრდა, რომელსაც ჩვენი ქვეყანა უყვარს? ჩემი აზრით, მთელი ჩვენი ახალგაზრდობა და მთელი ჩვენი ქართველობა ორ ნაწილად გაიყოფა. უმრავლესობას მარტო ერთი მიზანი და მიდრეკილება აქვს: თავისი კერძო ცხოვრების, თავისი კერძო სარგებლობის დაცვა და ძიება. „ჯერ თავო და თავო, მერე — ცოლო და შვილო“ — ეს არის ამ უმრავლესობის სახარება. მეორე ნაწილი, ერთი იოტის ტოლა, იმისთანა პირებისაგან შედგება, რომელთაც სა-

კუთარ სარგებლობაზე უმაღლეს ზოგადო სიკეთე და მამულის სიყვარული მიუძღვით. ჩემი აზრით, სადაც უნდა ცხოვრობდეს უმრავლესობის წევრები — სულ ერთია: ქვეყანას და საზოგადოებას იმათგან არავითარი ხეირი არ მოეღოს, გინდ შორაპანში იცხოვრონ, გინდ — პარიჟში. ყველგან და ყოველთვის ესენი მუქი მჭამელები და უხეირო წევრები იქნებიან თავიანთი ქვეყნისთვის. სწორედ ამნაირადვე, სადაც უნდა იცხოვროს ან იმოქმედოს მამულის მოყვარე პირმა, ჩემი აზრით, ყოველგან ის სასარგებლო იქნება თავის ქვეყნისთვის, თუ კი სურვილის გარდა, იმისთვის ბუნებას ნიჭი, ცოდნა და ძალა მიუნიჭებია. რითიმე, როგორმე, ყოველგან მოუტანს ის ხეირს თავის ქვეყანას, აქ იყოს, გინდ სტამბულს, გინდ მადრიდს. სიბრიყვეა ერთი რომელიმე უნიჭო და ურიგო კაცი თბილისის მოედანზე უსარგებლოთ დაეთრეოდეს, და თან ვინმე მშრომელს და ხეირიანს პირს, რომელიც პარიჟის ბიბლიოთეკაში შრომობს, მამულის უსიყვარულობას აბრალებდეს, მარტო იმისთვის, რომ საქართველოში ჩემსავით უსარგებლოდ რატომ არ დალოღიალობსო. სადაც გინდათ, იშრო-

მეთ, სადაც გასურდეთ, ისწავლეთ, რაც გინდა, ჰქენით, ოღონდ კი თქვენი მამული გიყვარდეთ, ოღონდ კი მის სასარგებლოთ იშრომეთ, ოღონდ კი მისი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, მისი სახელის გადიდებაზე, მისი კეთილდღეობის მოახლოებაზე იმეცადინეთ. ეცადეთ გონიერნი, სწავლულნი, ძლიერნი, პატიოსანნი გამოხვიდეთ და მარტო ამითაც შეგიძლიათ საქართველოსთვის ხეირის მოტანა, მარტო იმით, რომ სხვებს გაგება მაინც ექნებათ, რომ საქართველო სადმე არსებობს, რომ მასში კაცები ცხოვრობენ და არა ველური მხეცები, როგორც ესლა მთელს ევროპაკს ჰგონია. მართალია, ჩვენი ქვეყნისთვის ის უფრო ემჯობინება, რომ მისი ჩინებულად ნასწავლნი და დახელოვნებული შვილები მასშივე შრომობდნენ, დანარჩენ მის შვილებს პირდაპირ ეხმარებოდნენ, მაგრამ, ესეც რომ არ იყოს, მე ოცდაათს შინაურს უმეცარს ერთი „გასული“ ნასწავლი მირჩევნია. სხვა რომ არა იყოს რა, ჩვენებური კაცი, რუსეთში პროფესორად გამხდარი, ერთს ჩვენებურ სტუდენტს ხელს მაინც გაუწყობს, ერთს ჩვენს ყმანვილს მაინც დაიფარავს და შემწეობას მისცემს თავის გავლენით“.

ასევე განსხვავებულად და პრაგმატულად უდგებოდა ნიკო ნიკოლაძე საკითხს, რომელი ენით უნდა წეროს ქართველმა მოღვაწემ: „კაცმა რომ თქვას, მარტო რუსულ ან მარტო ევროპულ ენებზე უნდა ვწეროთ, ქართული კი სრულიად მივატოვოთ — ეს, რასაკვირველია, სიბრიყვე იქნება. ჩვენი მდგომარეობა ჩვენი ქვეყნის მოყვარეთაგან ორგვარ შრომას მოითხოვს. ერთის მხრივ ჩვენ უნდა ვშრომობდეთ თვითონ ჩვენი ხალხის გასანათლებლად, მისი გონების გასახსნელად, მისი ხასიათის გასამაგრებლად. უეჭველია, რომ ამგვარი შრომა მარტო ქართულს ენაზე შეიძლება. მაგრამ ამასთანავე ჩვენ უნდა ვშრომობდეთ რუსულსა და სხვა ენებზედაც, იმ ზარით, რომ სხვებს ჩვენი მდგომარეობა, ჩვე-





ნი საჭიროება და სურვილი გაცნობ. ეს უკანასკნელი შრომა ყოველთვის, ვისაც კი ცოტაოდენი ესმის პოლიტიკური ცხოვრების მოთხოვნილებები, თითქმის იმდენადვე აუცილებელი და საჭიროა, როგორც პირველი“. მეორეგან, ასევე მიუთითებდა, რომ „მე იმ პირებს არ ვეკუთვნი, რომელნიც ფიქრობენ, რომ შენთვის სარგებლობის მოტანა მარტო შენს საკუთარ ენაზე შეიძლება, მარტო შენს საკუთარ სახლში, შენთან ჯდომით და ლაპარაკით... ქართულ ენაზე გემსახუროს კაცმა, თუ გინდა თათრულზე, ოღონდ კი შენი უფლებები დაიცვას, შენი მდგომარეობა გააუმჯობესოს, შენი ძალა აღადგინოს და შენს მტერს მეხი დასცეს — სულ ერთია“ („სალამი“). თუ დღევანდელი გადასახედიდან შევაფასებთ, ნათელია, რომ ნიკოლაძე სრულიად მართალი იყო და საკითხს სწორად უდგებოდა. თანამედროვე ქართულმა ემიგრაციამ ნიკოლაძის ამ მიდგომით უნდა იხელმძღვანელოს და რაც შეიძლება მეტად გააცნოს საქართველო და ქართული ფასეულობანი სხვა ქვეყნებს, ასევე ამ ქვეყნებში მიღებული ცოდნა საქართველოს სამსახურში ჩააყენოს.

ნიკო ნიკოლაძე ასევე მოითხოვდა ახალგაზრდობის პატრიოტული და ზნეობრივი განათლების შეთავსებას, მოსწავლეთა ამაღლებული სულისკვეთებით აღზრდას და შემდეგ ქვეყნის სამსახურში ჩაყენებას. მისი აზრით, ახალგაზრდობის ზნეობრივი განათლება ასევე ხელიხელჩაკიდებული უნდა მიდიოდეს სამეცნიერო ანდა ტექნიკურ განათლებასთან... „ასევე აუცილებელია, რომ ლათინური ენის მასწავლებელსა და გიმნაზიის დირექტორსა, რკინიგზის ინჟინრებსაც... ერთნაირად ქონდეთ გამჯდარი ძვალსა და რბილში საერთო საზოგადოებრივი საქმის — სამშობლოს სიკეთის აუცილებელი ერთგულება და მისთვის თავდადებული სამსახური. საჭიროა ცოდნა, საჭიროა მისი გამოყენების უნარიც, მაგრამ ნუთუ ასევე საჭირო არ არის სუ-

ლი, რომელიც მხოლოდ ერთი ქმნის დიდ ერებს? რომელი საგანმანათლებლო დაწესებულება, განათლების რომელი სისტემა აძლევს ახალგაზრდობას ამ სულს?“ (ეს დღესაც ერთ-ერთი ძალზე აქტუალური საკითხია).

ნიკო ნიკოლაძე მიუთითებს, რომ ახალგაზრდობის აღზრდაზე დამანგრეველად მოქმედებს „მე“-სა და „ჩვენ“-ის დაურეგულირებლობა, საზოგადოების ეგოიზმი, რომელსაც პირადი ინტერესების გარდა არაფერი აღელვებს, თუნდ ნახევარი ქვეყანა ამოიწვას ანდა შიმშილით მოკვდეს. ნიკოლაძე ცდილობს, გააანალიზოს და ახსნას ეს მოვლენა. თავიდან იგი ფიქრობდა, რომ ყოველი პროფესია თანდათანობით ითრევს ხოლმე ადამიანს, თიშავს მას დანარჩენი ქვეყნიერებისგან და ზღუდავს მის მსოფლმხედველობასა და გონებრივ ინტერესებს, მაგრამ, როცა ჩაუღრმავდა ამ ადამიანთა ცხოვრებას და დაინახა, რომ მათთვის მათი პროფესიის ანდა სპეციალობის ინტერესებიც კი ხშირად უკან იხევს და მსხვერპლად ეწირება პირად, ვინაშინ გაგებულ სარგებლობას, რომ თვით პროფესიულ მოვალეობათა შესრულება დღითიდღე სულ უფრო მაშინაღური, უსულგულო და ყალბი ხდება, დარწმუნდა, რომ აქ სხვა მიზეზია და ეს არის შინაგანი სიცარიელე, ზნეობრივი არარაობა, ცალმხრივი განათლების შედეგი.

ნიკოლაძე აღნიშნავს, რომ ჩვენ ბავშვობიდანვე — შინ, სკოლაშიც და საერთოდ ცხოვრებაშიც გვასწავლიან მრავალნაირ სიბრძნეს. ამაში არაფერია ცუდი, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ყველა ეს ფორმები ზმნების, პრეფიქსების, ყველა ფორმულა და თეორემა, ცხოველთა ან მცენარეთა სახეები და ქვესახეები, მოვლენათა და მოღვაწეთა თარიღები და სახელწოდებები თანდათანობით ქრება ჩვენი მეხსიერებიდან, როდესაც თანდათანობით ჩვენც ვებმებით ყოველდღიურ ცხოვრებაში. რა მეცნიერული და ნათელიც არ უნდა იყოს ფაქტები, ისინი თავისთავად, დიდხანს ვერ დაამახ-

სოვრდება ადამიანს, უკეთეს ასეთივე მეცნიერული და ნათელი არაა მათგან გაკეთებული დასკვნები, რადგან მხოლოდ ეს დასკვნები რჩება ადამიანის მეხსიერებაში. მაგრამ სწორედ ამ დასკვნებს გავუბრუნებ ჩვენ: **„ბავშვებს, თუნდაც ოცდახუთწიანებს — ჩვენ ვეპყრობით ისე, როგორც უკვე დამდგარ მოაზროვნეებს: ჩვენ მათ ვუტენით თავს ნედლი, დაუმუშავებელი მასალებით, ფაქტებით, ციტატებით, სახელებითა და მონაცემებით, ხოლო დასკვნების გამოტანას, მათი მნიშვნელობისა და აზრის გარკვევას ღვთის ნებას ვანდობთ.** ამას გარდა, ჩვენ ბავშვობიდანვე სრულიად არ ვიცით ის ინტერესები, რომლებიც გარეშე ქვეყანასთან გვაკავშირებს, ის მოვლენები, რომელთაც საზოგადოება ცხოვრებაში გვაავალებს და, რაც მთავარია, ის მოღვაწეობა, ის დაბრკოლებანი და ბრძოლა, რომლებიც ცხოვრებაში მოგველის. ჩვენ შევდივართ ცხოვრებაში, როგორც მოსწავლე ქალები — „ფაქტებით“ გატენილები, ბრძოლისთვის მოუმზადებელი, სახელმძღვანელო აზრის უქონლად, უმიზნოდ და ვებმევით რა ყოველდღიური ურთიერთობის ბრძოლაში, მალე ვივინყვებთ ფაქტებს, რომლებიც დიდის ვაივაგლახით ჩავჩარეს თავში. აი, რატომ ვრჩებით მალე საკუთარი თავის ამაღრად, ჩვენი დაუმუშავებელი და თავშეუკავებელი ვინრო ბუნებით. აი, რატომ გვიპყრობს ჩვენ პრიმიტიული თვისების შეგრძნებები, რომელთაც წარმოშობენ მკერდსავსე ლურღეები, მსუყე სადილები და რბილი ავეჯი. და მაშინ, რა თქმა უნდა, ჩვენ ყურადღებით ვაკეთებთ მხოლოდ მას, რისთვისაც გვეძლევა ავეჯი და სადილი და რისთვისაც მკერდსავსე ლურღეა გვაჯილდოვებს თავისი მშვენიერებით. ყველა დანარჩენი კი წყალსაც წაუღია. და, როდესაც ასეთია უკეთესების, „განათლებულების“ ბედი, მაშინ ისმის კითხვა — რას უნდა ველოდეთ, ანდა რას უნდა ვითხოვდეთ, უბედური ღარიბებისა-





გან, რომლებიც თუმცა მიისწრაფოდნენ განათლებისაკენ, მაგრამ ვერ შეძლეს მისი მიღება.

ნუთუ შეიძლება მივენდოთ და სერიოზულად დავეყრდნოთ ამ უარყოფით ძალებს, ამ ავტორიტეტებს? ნუთუ საჭირო არ არის შევქმნათ დადებითი ძალები — ადამიანები, რომლებიც სამშობლოს გულწრფელნი, ერთგულნი იქნებიან და ყოველ ნუთში მზად იქნებიან მისცენ მას თავიანთი ძარღვების საუკეთესო სისხლი და თავის ტვინის საუკეთესო ძალები ისე, რომ არავითარი ჯილდოს მიღების იმედი არ ჰქონდეთ?

იმისათვის, რომ განათლება ნარვმართოთ სახელმწიფო სარგებლობისაკენ, იმისათვის, რომ განვავითაროთ მოსწავლეებში შეგნებული და განუსაზღვრელი ერთგულება სამშობლოსადმი და გამოვიმუშავოთ მათში წმინდა უანგარო პატრიოტიზმი, არ არის საკმარისი, ვაძიულოთ მოსწავლეები, იზეპირონ თანამედროვე ტრიფონ კორობენიკოვების სახელმძღვანელოები, რომლებიც ცდილობენ, რვა წლის ბიჭუნებს შთააგონონ გარეშე მტრების, მუსლიმანების სიძულვილი... დროა, ბოლოს და ბოლოს გავიგოთ, რომ ჩვენ ქვეყანაში, თვით ჩვენში, ჩვენი სამშობლოს ბევრად უფრო საშიში მტერი ზის. ეს არის მისი შვილების გულგრილი დამოკიდებულება სამშობლოს საარსებო ინტერესებისადმი“.

**ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა, რომელსაც ნიკოლაძე უყენებდა განათლების სისტემას, იყო სკოლისა და პედაგოგის დეპოლიტიზაცია, რაც ძალუმად ეხმაურება დღევანდელ მოთხოვნებს.** იგი წერს ერთ-ერთ პედაგოგზე, ბნჟელიხოვსკიზე, რომელიც პოლიტიკამ გაიტაცა და, რაც, ნიკოლაძის აზრით, „კარძალული ხილი უნდა იყოს ყველა პედაგოგისათვის. იმის მაგივრად, რომ ბავშვებისათვის აზროვნება ესწავლებინა და დახმარებოდა მათ დამოუკიდებლობის გამომუშავებაში, ჟელიხოვსკიმ მიზნად დაისახა, ჩაეტენა მათთვის თავში სპეციალურად შერჩეული და დამახინ-

ჯებული მზა დებულებები და ცნებები“.

ნიკოლაძე თვლის, რომ ნებისმიერ შემთხვევაში სკოლა არ უნდა აცდეს თავის უმთავრეს დანიშნულებას — ბავშვების სწავლა-განათლებას, პიროვნულ აღზრდას: „როგორც სულიერ მოძღვარს და ექიმს, ასევე პედაგოგსაც არ უნდა ამოძრავებდეს სხვა არაფერი, გარდა უშუალოდ თავისი უპირველესი მიზნისა — ასწავლოს ბავშვებს, გაანათლოს ისინი ისე, რომ მათგან დამოუკიდებელი ადამიანები ჩამოყალიბდნენ, რომელთაც მომავალში შეეძლება იცხოვრონ და იაზროვნონ საკუთარი გონებით. ბავშვებთან ურთიერთობაში სხვა მიზნებისკენ სწრაფვა, ცდა იმისა, რომ სკოლა გადააქციოთ დამტყუპებელი ადამიანების ფაბრიკაციის საშუალებად, ცალმხრივად გამსჭვალო ისინი გარკვეული იდეებით, თუნდაც უშესანიშნავესით (კომუნისტებს ეგონათ რომ ამ „შესანიშნავი“ იდეებით მსჭვალავდნენ სკოლის მოსწავლეებს და სტუდენტებს — ვ.შ.), ნიშნავს იმას, რომ ფაქტიურად სრულად მოსპო და გაანადგურო სკოლა“.

ამავე ლოგიკით უდგება ნიკოლაძე იმ პრობლემასაც, რომ სკოლა არ უნდა იქცეს სხვადასხვა ექსპერიმენტის და გარეგანი ეფექტის საცდელ პოლიგონად: „შემცდარია ის, — წერს ნიკოლაძე, — ვინც ახალგაზრდობის აღზრდის და საზოგადო განათლების საქმეში მარტო ენას ან გარეგან გამართლებას შეჩერებია და არსებით მხარეს — სწავლის შინაარსს ან მიმართულებას ივიწყებს“ (ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გავიხსენოთ ხელისუფლებაში მყოფი ნაციონალური მოძრაობის მიერ 2008-2012 წლებში ათასობით ინგლისური ენის მასწავლებლის საქართველოში ჩამოყვანა, რასაც დადებითის მაგივრად უსიამოვნო ეფექტი მოჰყვა რეგიონებში და მიზანს, ფაქტობრივად ვერ მიაღწია; ასევე კომპიუტერების დარიგება საამისოდ მოუმზადებელ პირველკლასელთათვის — ვ.შ.).

ნიკოლაძე იყო საქართველოს უდიდესი პატრიოტი, პატრიოტების ეტალონი და ქვეყნის სამსახურში უანგაროდ მდგარი პიროვნება. მისი შეხედულებით სამშობლოსადმი, იმ ტერიტორიისადმი სიყვარულს, სადაც დაბადებულხარ და გაზრდილხარ, სიყვარულს თვისტომისადმი, ნამდვილ პატრიოტიზმს ქვეყნისა და ერის აღორძინებაში, მისი კულტურის განვითარებაში უდიდესი მაგიური ძალა აქვს.

ნიკოლაძეს ეკუთვნის ბრწყინვალე თხზულება „მამულის სიყვარული და მსახურება“, ასევე სტატია „სალამი“. ესაა თავისი შინაარსით უნიკალური და ამაღელვებელი ნარკვევები, რომლებშიც გადმოცემულია ნიკოლაძის პატრიოტული მრწამსი და შეხედულებანი.

ნიკოლაძე სამშობლოსადმი, მშობლიური ქვეყნისადმი სიყვარულს ადამიანის ბუნებრივ აუცილებელ მოვალეობად თვლიდა. მას მიაჩნდა, რომ ადამიანი, რომელსაც თავისი სამშობლო არ უყვარს, ცხოველზე დაბლა დგას. ნიკოლაძეს ხეპრეობად მიაჩნდა იმის კვებნა, რომ მამულს ვემსახურები, მის სიკეთეს ვეძებ, მის სასარგებლოდ ვშრომობო: „**რომელი გონიერი კაცი დაიწყებს ქადილს, რომ დედაჩემს პატივს ვსცემო, კარგად ვასმევ და კარგად ვაჭმევო, მის ხეირიანად რჩენას ვცდილობო, მისი კეთილდღეობისთვის ვშრომობო? ხომ არავინ? ხეირიან და გონიერ საზოგადოებაში სწორედ ამნაირათვე საუკადრისო იქნებოდა ქადილი, რომ მამულს ვემსახურებო. თქვენ ნამოიდგინეთ, რა სიცილს და ხარხარს დააყრიან საფრანგეთში ან ინგლისში იმისთანა კაცს, რომელიც იმის თქმას გაბედავდა — ჩემი მამული მიყვარს და ჩემი სამშობლოს სიკეთისათვის ვშრომობო!.. ეს საყოველთაო მოვალეობაა, ისეთი, რომელიც ყოველ ხეირიან კაცს, ვინც ხეპრე, ქურდი ან უსულო არ არის, უნდა ჰქონდეს, და იმაზე უმეტესი სიტუტუცე რაღა იქნება, კაცი პირდაპირ ამტკიცებ-**



დეს, არც ხეპრე, არც ქურდი, არც უსულო ვარო“.

რაში მდგომარეობს მამულის მსახურება, როგორ უნდა ემსახურებოდეს კაცი თავის ქვეყანას? ნიკო ნიკოლაძე მომხრე იყო მამულისადმი საქმიანი სიყვარულისა, მას სწამდა, რომ ჩვენი ქვეყნის მძიმე მდგომარეობა ჩვენმა ახალგაზრდობის მტკიცე შეერთებულმა შრომამ უნდა გააუმჯობესოს... ამ შეერთებული შრომის სიმტკიცისათვის საჭიროა, რომ შიგ შინაგანი უთანხმოება და განხეთქილება არ არსებობდეს“ და იყოს სრული ეროვნული თანხმობა, შესაბამისად ნიკოლაძისთვის მიუღებელია სიტყვიერი და სუფრული პატრიოტიზმი, გულზე მჯილის ცემა და ქადილი, მყვირალა ფრაზები: „თუ ნამდვილად გვიყვარს ჩვენი მამული, — წერს ის, — ჩვენ ის უნდა გავაძლიეროთ, როგორც მატერიალურის მხრით — სამართლიანად ეკონომიურის განწყობილების დაფუძნებით, ისე ზნეობით — მისი გონებისა და ცოდნის გაუმჯობესებით. ის იმედი უნდა ჩაუფერგოთ მას, რომელიც ჩვენ თვითონ გვაქვს, იმ მომავლისკენ უნდა მოუბრუნოთ პირი, რომელიც ჩვენ გვწამს, იმ გზაზე უნდა დავაყენოთ, რომელმაც ყველა სხვა ხალხი გააძლიერა და გააბედნიერა. მარტო ის ხალხი აღირსი ბედნიერების, სთქვა ვიქტორ ჰიუგომ სომხებზე, რომელიც მომავალს შეჩერებიაო; და ვინც მარტო წარსულს შესცქერის, ის სამარეს ითხრისო“.

იშვიათია ისეთი სიტყვები, რომელიც ნიკო ნიკოლაძემ მიუძღვნა თავის თანამემამულეებს და თავის ქვეყანას: **„მას აქეთ, რაც მე ჩემს თავს ვიცნობ, მე ერთი წადილის მეტი არა მქონია, ერთი ღმერთის გარდა სხვისთვის თავი არ მიცია... მე შენ მიყვარდი, შენ მწამდი, შენ გამსახურებოდი, ავად თუ კარგად, როგორც შემეძლო, როგორც ჭკუა მიჭრიდა... მე დამივლია მთელი ევროპა და ბევრ ჩინებულ ქვეყნებში, ბევრ აღმტაც საზოგადოებაში გამიტარებია თვეები და წლები, მაგრამ ყოველგან და ყოველთვის, სადაც კი**

**ვყოფილვარ, ერთი საგანი მქონია: შენთვის დამზადება, შენთვის სამსახური, შენი სარგებლობა. არც საფრანგეთის ამალელებელ და აღმტაცებელ საზოგადოებას, არც იტალიის მშვენიერებას, არც შვეიცარიის თავისუფლებას არასოდეს, არც ერთი წამის განმავლობაში არ მოუხიბლავს ჩემი გრძნობა და გული, არ შეუცდენივარ და არ მიუზიდივარ, თუმცა ახალგაზრდა კაცის გულზე გვარიანი გავლენა აქვს იქაური დიდი სახელის და დიდი გავლენის იმედს... იმის მაგიერ, რომ იქაურს ცხოვრებას მივებარე და სხვებით დამევიწყა ჩვენი ერთი ნამცეცა ქვეყანა, ჩვენი ყველასაგან უცნობი ხალხი, მე ნიადაგ შენზე ვფიქრობდი, რომ სადმე, როგორმე, სადაც კი ყოფილიყო, შენთვის ცოტადენი სარგებლობა მაინც მომეტანა“.**

ნიკო ნიკოლაძე, საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი საქმიანი პატრიოტი, მზად იყო ქვეყნისთვის თავიც კი გაენირა და ეს უდიდესი ღირსების საქმედ მიაჩნდა. მას საამაყოდ მიაჩნდა სამშობლოსათვის და მისი ინტერესებისთვის ომი და ასეთ ომში გაატარა მან თავისი შეგნებული სიცოცხლე: **„მოგეხსენებათ, რა არის ომი, — წერდა იგი, — განსაკუთრებით ომი სამშობლოს ინტერესების დასაცავად. მოგეხსენებათ, რომ ეს ომი ღირსეული, დიდებული საქმეა“.**

ნიკო ნიკოლაძე სამშობლოს ინტერესების გათვალისწინებას, მისთვის შრომას მარტო კერძო პირებისგან კი არ ითხოვდა, არამედ პარტიებისა და საზოგადოებრივი ჯგუფებისგან, მოუწოდებდა მათ გონიერების და ზომიერებისკენ, უტოპიურ, აუხდენელ ოცნებათა უარყოფისკენ: „ვისაც ქართველობის შველა უნდა, მან თავისი პოლიტიკური გეგმა უნდა შეამსუბუქოს, ეგებ რაც შეიძლება უფრო მეტ ხალხს ერთი და იგივე ნამდვილი პრაქტიკული მიზანი აღუნიშნოს, მისთვის გასაგები და საჭირო. მარტო ეს შეგვძენს მტერ-მოყვრის ყურადღებას და მორიდებას. ჯერ ამას უნდა ვე-

ძებდეთ, და არა მიუწვდომელ კომპიდგან მზეთუნახავის მოტაცებას, რომლისთვისაც თოკის კიბეც კი არ გვაბადია“.

ნიკო ნიკოლაძე პირდაპირ აკავშირებდა ერთმანეთთან ადამიანის მოქალაქედ ჩამოყალიბებას და პატრიოტულ აღზრდას. იგი თვლიდა, რომ პიროვნება მოქალაქედ დაბადებიდანვე უნდა აღიზარდოს, მან პატარაობიდანვე უნდა შეისისხლბორცოს სამშობლოს სიყვარული და მისი მსახურება, მისი ერთგულება და მისთვის თავდადება (ეს დღესაც ძალზე მწვავე და სერიოზული პრობლემაა და აქტუალობას არ კარგავს).

ნიკოს სიტყვებით საზოგადოება, ავად თუ კარგად, ზრდის ვაჭარს, ტექნიკოსს, ვეტერინარს, პედაგოგს, ინჟინერს, ექიმს, მაგრამ არ ზრდის სამშობლოს სიყვარულით გაჟღენთილ და ამალეებულ მოქალაქეს: **„ჩვენ, ყველამ მივიღეთ კლასიკური, რეალური, ტექნიკური და სასულიერო განათლება, მაგრამ რომელმა ჩვენგანმა მიიღო სულ მცირედი პოლიტიკური ან სამოქალაქო აღზრდა? სად აწვინ გვასწავლა ჩვენ, რომ განუყოფელი შვილები ვართ ერთი და იმავე სამშობლოსი? რომელ ჩვენთაგანში ცდილობდნენ, გამოემუშავებინათ ბავშვობიდან სამშობლოს სიყვარული, ვაჟკაცურად დაცვა სახალხო საქმისა, სახელმწიფოსადმი ერთგული სამსახური, ერთი სიტყვით, რომელ ჩვენგანს ზრდიდნენ მოქალაქედ და არა ჩინოვნიკად?“**

ნიკო ნიკოლაძეს არასოდეს შეუცვლია თავისი მრწამსი — მთელი ცხოვრების მანძილზე იგი უანგაროდ, მუხლჩაუხრელად შრომობდა ქვეყნისთვის სხვადასხვა სფეროში. მას მართლაც შეეძლო ეთქვა: **„ყოველთვის იგივე ვყოფილვარ, რაც დღესა ვარ: ერთგული, ანგარიშიანი მწყემსი ქართველობის სიკეთისა, შეურიგებელი მტერი ყოველი მიმართულებისა, რომელიც საქართველოს ქონებას სხვის, უცხოეთის მიზანს თუ საქმეს სწირავს“.**

**ვაჟა უშუბითიძე,**

„ნიკო ნიკოლაძე — კაცი-სახელმწიფო“, 2013 წ.



საზინინი — ხატი „საქართველოს დიდება“



ИВАН ПЕТРОВИЧ НАУМОВ

ნოკო ზიროსგანი — „კალოს ლეწვა“